დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 23 - 29 იანვარი

N 5 1469

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## მაკრატლის ჩატოვება 6

„ამიხსენით, მომაკვდავი სააკაშვილი რანაირად აკეთებს ბავშვებს?!“ 3

## ბლოკადის გარღვევა 13

7 ვერიდოთ „დაუძინებელ მეგობრებს!“







## ვიეტნამის სინდრომი

ათუაშვილს, რომელმაც საგარეჯოში ატეხა სროლა, ეგონა, რომ ავღანეთში აფხაზეთისათვის იბრძვის! 9 8

## ხაზეიშვილის გადმოტრიალება 23



10

## ნაცმოძრაობის რუსული ანატომია

# აწამეზენო და, თურმე, ციხეში ზავშვეზს აკეთეზს!



მიხეილ სააკაშვილი და მისი ახალი შვილის დედა, უკრაინის რადას დეპუტატი ლიზა იასკო

***გასულ კვირას ტელეკომპანია „იმედმა“ გაავრცელა ექსკლუზიური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიული ალასანიამ მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის რადას დეპუტატის ლიზა იასკოს ახალშობილ ქალიშვილს ჟასმინ იასკოს კიევის ცენტრში, პრესტიჟულ უბანში, მდებარე ძვირადღირებული ბინა გადაუფორმა და დიდი ოდენობით თანხა — მილიონი უკრაინული გრივნაც აჩუქა. ტელევიზიის ცნობითვე, ბინა, რომელიც გიული ალასანიამ ჟასმინ იასკოს მიხეილ სააკაშვილის ნოტარიული თანხმობით გადაუფორმა, არასოდეს ყოფილა დაფიქსირებული სააკაშვილის ქონებრივ დეკლარაციაში.***

აი, სწორედ რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაისახა **მიხეილ სააკაშვილისა და ლიზა იასკოს ქალიშვილი ჟასმინ იასკო.**

ცხადია, რუსთავის ციხის გრძელვადიანი პაემნების ოთახში, სადაც პატიმარი სააკაშვილი და რადას დეპუტატი იასკო სიყვარულობდნენ, ჩვენ არ ვყოფილვართ და სანთელი არ გვჭერია, მაგრამ **ელემენტარული ლოგიკა იძლევა საშუალებას, მარტივად გამოვთვალოთ: სააკაშვილისა და იასკოს ურთიერთობის შესახებ** ინფორმაცია საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა სულ რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან, რაც საქართველოში ტრაილერით შემოპარული ნაცბელადი 2021 წლის 1 ოქტომბერს რუსთავის საპყრობილეში გაამწესეს;** სწორედ მაშინ გავრცელდა სოციალურ ქსელში ვიდეო, რომელიც წყვილს სააკაშვილის საქართველოში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაუწერია და რომელშიც ისინი საუბრობენ — **ერთმანეთი გვიყვარს და ერთად ვცხოვრობთო!** იმ დროისათვის — 2021 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის — სააკაშვილს იასკო დაფეხმძიმებული რომ ჰყოლოდა, ბავშვი მაქსიმუმ 9 თვის შემდეგ, ანუ **2022 წლის ივნისში უნდა დაბადებულიყო და არა 2023 წლის დასაწყისში ან თუნდაც 2022 წლის ბოლოს.** ლიზა იასკოს ორსულობის შესახებ პირველი არაოფიციალური ინფორმაცია სოციალურ ქსელებში 2022 წლის ივლისის დასაწყისში, ანუ სააკაშვილის დაპატიმრებიდან 10 თვის შემდეგ გავრცელდა, როცა ნაცბელადის სატრფომ საკუთარ „ინსტაგრამზე“ გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებშიც გაზრდილი მუცელი ეტყობოდა. შესაბამისად, აშკარაა, რომ **იასკო სააკაშვილის ციხეში ყოფნის ჟამს დაფეხმძიმდა და რაკი გაირკვა, რომ შვილი სწორედ მისგან ეყოლა, ე.ი. ბავშვის ჩასახვა რუსთავის ციხეში მოხდა.**

**იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილს პატიმრობის დასრულებამდე კიდევ 5 წელი აქვს დარჩენილი, დიდი შანსია, 2028 წლისათვის მისი კანონიერი და უკანონო შვილების რაოდენობამ ნაცმოძრაობის ამომრჩეველთა რიცხვს გადააჭარბოს!**

ამ ინფორმაციას ორი ძირითადი პლასტი აქვს, რომელიც ფარდას ხდის სააკაშვილის ცრუპენტელობასა და აფერისტობას.

ძალიან კარგად გემახსოვრებათ, რომ საქართველოდან გაქცეული სააკაშვილი მუდმივად ამტკიცებდა — ხელისუფლებაში ყოფნის დროს ფული არ მიშოვია, სამშობლოდან გროშ-კაპიკი არ წამომიღია და ახლაც პროფესორი დედაჩემი მარჩენს საკუთარი დანაზოგით, ზოგჯერ პენსიონერი ბებია მეხმარება, ხანაც ლექციების წაკითხვაში აღებული ჰონორარით გამაქვს თავი და როცა უკრაინიდან გასვლა მიწევს, თვითმფრინავის ბილეთს მეგობრები ყიდულობენო!

**ახლა კი უცებ აღმოჩნდა, რომ სააკაშვილს კიევის ცენტრში ძვირადღირებული სახლი ჰქონია, რომელიც დედამისმა ლიზა იასკოს შვილს გადაუფორმა!**

**აღარაფერს ვამბობთ ფეშენებელურ ვილაზე, რომელიც სააკაშვილმა კიევის გარეუბანში, მილიარდერების დასახლებაში, აიშენა და პენტჰაუსზე, რომელიც აშშ-ში, კერძოდ, ფლორიდაში შეიძინა ოკეანის ხედით.** შეგახსენებთ — ეს ის პენტჰაუსია, რომლის გასაღებსაც, რამდენიმე წლის წინათ გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერის მიხედვით, სააკაშვილის ბიძა **თემურ ალასანია** და მისი ცოლი **სანდრა რულოვსს** არ აძლევდნენ.

მოკლედ, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა თავის ახალ შვილს **ჟასმინ იასკოს** კიევის ცენტრში არადეკლარირებული, ძვირადღირებული ბინა და მილიონი უკრაინული გრივნა აჩუქა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რაც **ქართველმა საზოგადოებამ დიდი ხანია, იცის — კორუფციასთან მებრძოლის მანტიაში გახვეული სააკაშვილი, რეალურად, ელიტური კორუფციის მამაა, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტობის დროს მოქაფულ მრავალ მილიონს ოდესის გუბერნატორობის დროს მოქაფული მილიონებიც მიუმატა და ფაშასავით ცხოვრობდა, სანამ რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში აღმოჩნდებოდა.**





**მივმართავთ სააკაშვილის ადვოკატებს — შალვა ხაჭაპურიძესა და ვალერი გელბახიანს: თუ სააკაშვილი ისეთი სექსუალური კიბორგია, რომ მომაკვდავიც კი ქალებს აფეხმძიმებს, ემანდ, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში ლიზა იასკოში არ აერიოთ და რბილ ლოგინზე არ წამოგაქციოთ!**

აახლა გავიხსენოთ, როდიდან იღებს სათავეს რუსთავის ცი-

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

ცივი ომის და საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა ცნობილი ტერმინი: **„ენდე, მაგრამ გადაამოწმე“.** დავოსში მოვისმინე საინტერესო ფორმულა: **„არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“.** ასე რომ, მე მჯერა თანამშრომლობის.

„ინტერპრესნიუსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდის — **„ქართუ ფონდის“** გადაწყვეტილებით, **„ლაგუნა ვერეს“ სივრცე მუნიციპალიტეტს გადმოეცემა.** რაც შეეხება აბრეშუმის ქარხნის შენობის ტერიტორიას, ის განვითარდება ისე, რომ არსებული სივრცე არ დაინგრეს. ახლის და ძველის შერწყმით განხორციელდება პროექტი.

„ინტერპრესნიუსი“



**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*

საქართველოს, მის პრემიერ-მინისტრს რეალურად შეუძლია **მშვიდობის დამყარების კუთხით** ძალიან დიდი როლის შესრულება.

„აიპრესი“



**გელა ნიკოლაიშვილი**
*სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის ადვოკატი*

დარწმუნებული ვარ, 1 წლის მერეც **სააკაშვილი** ცოცხალი იქნება და ჯანმრთელიც.

„ახალი თაობა“





# „ამიხსენით, მომაკვდავი სააკაშვილი რანაირად აკეთებს ბავშვებს?!“



ლია კრიალაშვილი:

# ბოლოს და ბოლოს, გადაათრიეთ ქვეყნის გამყიდველი და მკვლელი სააკაშვილი ციხის საკანში!

# ნათელია, რას აკეთებს პატიმარი სააკაშვილი! რას და – ბავშვებს! მაგრამ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება და როდემდე აპირებს, სააკაშვილი ციხის საკნის მაგივრად კლინიკის ოროთახიან აპარტამენტში ანებივროს?!

...ხეში სააკაშვილის თვითგამოცხადებული კვდომის ქრონიკა?

**დაკავების მეორე დღესვე ნაცბელადმა შიმშილობა გამოაცხადა, რაც 40 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, რა თქმა უნდა, ხილფაფებისა და ხბოს ღვიძლის პაშტეტის მირთმევის ფონზე!**

სააკაშვილის დაკავებიდან დაახლოებით ერთ კვირაში მისმა თანაპარტიელებმა და ნაცმედიამ გააჩაღეს საინფორმაციო კამპანია, რომ სააკაშვილი უკიდურესად დაუძლურდა, სააკაშვილს გადაადგილება უჭირს, სააკაშვილს საუბარიც აღარ შეუძლია, სააკაშვილი კვდება და თუ სამოქალაქო კლინიკაში სასწრაფოდ არ გადაიყვანენ, მოკვდება!

**აი, სწორედ იმ პერიოდში, როცა ხბოს ღვიძლის პაშტეტის ჭამით მოშიმშილე სააკაშვილი დაუძლურებული იყო, გადაადგილება უჭირდა, საუბარი აღარ შეეძლო, კვდებოდა და თუ სამოქალაქო კლინიკაში არ გადაიყვანდნენ, მოკვდებოდა, მან რუსთავის ციხის გრძელვადიანი პაემნების ოთახში ლიზა იასკო დააფეხმძიმა!**

მოკლედ, როცა ნაციონალები გაიძახოდნენ, რომ სააკაშვილი ციხეში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი იყო, მაგ დროს სააკაშვილი იასკოს აფეხმძიმებდა; **როცა მარიამ ჯიშკარიანი და მისი ცენტრი „ემპათია“ ამტკიცებდნენ, რომ ციხეში სააკაშვილის ფარმაკოლოგიური წამება მიმდინარეობდა, სააკაშვილი მაგ დროს ლიზა იასკოს აფეხმძიმებდა;** როცა **ნიკა გვარამია** თვალცრემლიანი უყვებოდა საზოგადოებას — სააკაშვილი ისეთ დღეში ჰყავთ ჩაგდებული, გუშინ **ელენე ხოშტარიას** სახელი და გვარიც კი ვერ გაიხსენაო, **მაგ დროს სააკაშვილი ლიზა იასკოს აფეხმძიმებდა...**

ყოველივე ამის ფონზე, გვინდა, სააკაშვილის ადვოკატებს — **შალვა ხაჭაპურიძესა და ვალერი გელბახიანს** მივმართოთ: **ფრთხილად იყავით! თუ სააკაშვილი ისეთი სექსუალური კიბორგია, რომ წამებით გასავათებული, შხამით მოწამლული და მომაკვდავიც კი ქალებს აფეხმძიმებს, ემანდ, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში არ გეცეთ და რბილ ლოგინზე არ წამოგაქციოთ!** როგორც თქვენ ამტკიცებთ, დემენცია, ანუ ჭკუასუსტობა სჭირს და **სავსებით მოსალოდნელია, ლიზა იასკოსგან ვერც გაგარჩიოთ!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **სააკაშვილმა ციხეში ერთი ბავშვის გაკეთება უკვე მოასწრო!**

იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილს პატიმრობის დასრულებამდე კიდევ 5 წელი აქვს დარჩენილი, დიდი შანსია, **2028 წლისათვის** მისი კანონიერი და უკანონო შვილების რაოდენობამ ნაცმოძრაობის ამომრჩეველთა რიცხვს გადააჭარბოს!

ხოლო, **თუ სააკაშვილი ყველა წარდგენილ ბრალდებაში გამტყუნდა და ციხეში კიდევ დიდხანს მოუწია ჯდომა, ზურიკელა ვაშალომიძისა არ იყოს, მთელ ქვეყანაზე მისი შვილები ირბენენ!**

**ერთი სიტყვით, ნათელია, რას აკეთებს პატიმარი სააკაშვილი! რას და — ბავშვებს! მაგრამ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება და როდემდე აპირებს, სააკაშვილი ციხის საკნის მაგივრად კლინიკის ოროთახიან აპარტამენტში ანებივროს?!**

ეს ცირკი უნდა დამთავრდეს და დამთავრდება მხოლოდ მაშინ, როცა სააკაშვილს „ვივამედიდან“ იქ დააბრუნებენ, სადაც ლიზა იასკო დააფეხმძიმა!

*ჯაბა ხუბუა*



კადრი ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

ზურიკელა ვაშალომიძე:
**მე მოვიყვან ჩემთან ილიკოს და ილარიონს და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ — მე, ილიკო, ილარიონი და მერი. მე მეყოლება უამრავი შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით. მერე ჩვენ გავმრავლდებით და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით, აღარ დავილევით, აღარ გავთავდებით.**

***მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილის მომხრეები თითქმის წელიწადია, იუწყებიან პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის ტანჯვა-წამებით კვდომის შესახებ, ვრცელდება ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მიხეილ სააკაშვილისა და ლიზა იასკოს ახლად შეძენილ შვილს გიული ალასანიამ კიევის ცენტრში ძვირადღირებული ბინა გადაუფორმა. მუხროვანის ამბოხის დროს დახვრეტილი გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი მათ შორისაა, ვინც სააკაშვილს კიდევ ერთი შვილის დაბადებას არ ულოცავს:***

— სიმართლე გითხრათ, აღარ ვაპირებდი მიხეილ სააკაშვილზე საუბარს. ტელევიზორსაც კი აღარ ვუყურებ იმის შიშით, რომ **მისი ბარეწარი დედა გიული ალასანია** შემთხვევით არ დავინახო, მაგრამ მას შემდეგ, რაც დედა-შვილის უნამუსო საქციელზე კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა, თავი ვეღარ შევიკავე. წესით, უნდა გვიხაროდეს კიდევ ერთი პატარას ამქვეყნად მოვლინება, მაგრამ ამათ იმხელა ბოროტება დათესეს და დღესაც ისეთი ცინიზმით ცდილობენ საკუთარი კეთილდღეობის დაცვას, რომ ეს ბავშვი ასეთი მძიმე ტვირთის სატარებლად მეცოდება!

ამასწინათ ამ უტიფარმა დედაკაცმა კაცთმოძულე სააკაშვილის მონახულების შემდეგ განაცხადა — მიჭირს მისი ამ მდგომარეობაში ხილვაო... თურმე, ძალიან იკლებს წონაში. **ვაი**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



ფაქტია, რომ **მიხეილ სააკაშვილი** სასჯელს იხდის თბილისის ერთ-ერთ კარგ კლინიკაში „ვივამედში“ და არა ციხეში. მას უნდა უმკურნალონ და როგორც პროტოკოლი და წესი მოითხოვს, **დააბრუნონ იქ, სადაც მან სასჯელი უნდა მოიხადოს** ისე, როგორც სხვები იხდიან.

„TV იმედი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



ე.წ. **ელიტარულ კორუფციულ სისტემას** უშუალოდ **სააკაშვილი** ხელმძღვანელობდა, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მან და მასთან დაახლოებულმა პირებმა იმ პერიოდში შეიძინეს დიდი ქონება. **ეს არის შავი ფული, კორუფციული მეთოდებით მიღებული თანხები, ეს არის რეკეტით მიღებული თანხები,** რომლის სისტემაც სწორედ სააკაშვილმა ჩამოაყალიბა თავისი ხელისუფლების პირობებში.

„იმედინიუსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ყველა იმ მანკიერებას, რომელიც, ზოგადად, ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდებოდა და **რასაც სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებდნენ, ახლა ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ,** არაფერი ახალი და უცნაური ამ პროცესში ნამდვილად არ არის!

„იმედინიუსი“

**დავით სააკაშვილი**
*მიხეილ სააკაშვილის ძმა*



მე, პირადად, ვარ იდეალისტი და მჯერა ადამიანის ჰუმანურობის, კაცთმოყვარეობის **მჯერა, არ დავანახებთ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვართ ველური საზოგადოება,** არშემდგარი სახელმწიფო, სადაც კლავენ პრეზიდენტებს.

„ინტერპრესნიუსი“

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

შენს პატრონს და ვაი ამ ქვეყანას, ამის თქმის საშუალება რომ გაძლევს.

**ძუკნა და უტიფარო დედაკაცო, შენმა შვილმა სხვისი შვილები რომ ჩაანვინა მიწაში, იფიქრე იმაზე, როგორ უჭირდათ მათ მშობლებს საფლავის ქვის დანახვა? როგორი იქნება შენი გაზრდილი შვილი, როცა ქალს სისხლში გაქვს გამჯდარი ბოზობა, უტიფრობა და კაცთმოძულეობა!**



# „შეხედეთ, რას დაემსგავსა შალვა ხაჭაპურიძე, აღარაფერს ვამბობ ვალერი გელბახიანზე, რომელმაც დიდი ხნით ადრე მიჰყიდა სული ეშმაკს!“





## *ლია კრიალაშვილი:*

# მიხეილ სააკაშვილმა დიდხანს უნდა იწვალოს და იტანჯოს, რომ ბოლოს ფსიქიატრიულში რეჟიმის მიერ მოკლულმა ლანდებმა მოგუდონ!

გულისრევის შეგრძნება მაქვს, როცა შენ და შენს შვილს გხედავთ ეკრანზე. ერთადერთი, რატომ არ მინდა იცი, მისი სიკვდილი? ისევ ამ უბადრუკ ხელისუფლებას დაბრალდება. მიხეილ სააკაშვილმა დიდხანს უნდა იწვალოს და იტანჯოს, რომ ბოლოს ფსიქიატრიულში რეჟიმის მიერ მოკლულმა ლანდებმა მოგუდონ!

ბოლოს და ბოლოს, ვინ ხართ, რამ შეგქმნათ ასეთი ცივსისხლიანები, რომ არა და არ დასრულდა თქვენი ოჯახის პარპაში ამ ქვეყანაში?!

**— ფიქრობთ, ისევ პარპაშებენ საქართველოში?**

— რეჟიმი ხალხს რომ აწამებდა, ეს დედაკაცი მილიონიან ქონებებს ლარად იფორმებდა, დღეს კი ჩალის ფასად ხელში ჩაგდებულ ქონებებს სააკაშვილის „ნაბუშრებს“ ურიგებს. რა არის ეს, თუ არა ზღვარგადასული ცინიზმი და ჩვენს სულში ჩაფურთხება?! **ხელისუფლებავ, რატომ აძლევთ ამდენის უფლებას ამ უნამუსოებს? როდისღა უნდა შეაჩეროთ? რას ელოდებით, რატომ არ ასამართლებთ სამშობლოს ღალატის მუხლით?**

**— სამშობლოს ღალატის მუხლი ქართულ კანონმდებლობაში არ დევს...**

— მერე რა უშლით ხელს, რომ ამ საკითხზე იმუშაონ და კანონმდებლობაში ჩაიდოს ეს მუხლი? ყოველდღე რომ გვასმენინებენ, რა ქონებას ფლობს დამნაშავე **სააკაშვილის უცხვირპირო დედა გიული ალასანია,** ხარივით გვიფრიალებენ წინ წითელ ნაჭერს სააკაშვილის რეჟიმისგან გამწარებულ ადამიანებს, რატომ არ შეაქვთ ეს ცვლილება კანონში? გასაწმენდია ეს ქვეყანა, აივსო ნაგვით!

**ღალატის მუხლით უნდა გასამართლდნენ ის ექიმებიც, ექსპერტებიც და ადვოკატებიც, რომლებიც სააკაშვილის ციხიდან გამოსახსნელად ყველანაირ სიბინძურეზე მიდიან და ადამიანის სახე დაკარგეს!**

თითქოს ზედ აწერიათ ნაციონალობა.

შეხედეთ, რას დაემსგავსა **შალვა ხაჭაპურიძე,** აღარაფერს ვამბობ **ვალერი გელბახიანზე,** რომელმაც დიდი ხნით ადრე მიჰყიდა სული ეშმაკს. კაცი, რომელიც არაერთ ბრალდებას უყენებდა სააკაშვილს, დღეს მისი ნომერ პირველი დამცველია. ფუი, ასეთ კაცობას და ადვოკატობას! სხვათაშორის, წლების წინ ადვოკატად აყვანაზე უარი მითხრა, თურმე, დიდი ხნით ადრე გაყიდულა ფულზე. ლია კრიალაშვილის დაცვა რაში აწყობდა?!

ღალატი დასჯადი რომ იყოს და მუქთად შეძენილი ქონების კონფისკაცია მოახდინონ, ეს გარეწრები ამდენის უფლებას ვერ მისცემდნენ თავებს. **ძუკნა დედაკაცი გიული ალასანია** ამდენს ვერ ილაპარაკებდა და ხალხის წართმეულ ქონებას სააკაშვილის „ნაბუშრებს“ არ დაურიგებდა, თითო გიჟი ყველა ქვეყანაში რომ ჰყავს გაჩენილი. **სააკაშვილის დაპატიმრების მეათე დღიდან გაიძახიან, ცუდად არის და კვდებაო. ამიხსენით, მომაკვდავი სააკაშვილი რანაირად აკეთებს ბავშვებს?!**

სადამდე უნდა მივუშვათ წაგებული ომის ვითომ გენერლები და მოღალატეები, რომ არ ასვენებთ გამჩენი და ახალი ომის წამოწყებას ცდილობენ? ქვეყნის ღალატისთვის როდის უნდა აგონ პასუხი **ჭანკოტაძემ, ყურაშვილმა, ომიაძემ, აბუაშვილმა** და ა.შ.? რომელი იყო აქედან მეომარი? დაირიგეს გენერლობა და თავი კაცები ჰგონიათ. რუსეთთან ომი საქართველოს რომ მარტივ მამრავლებად დაშლის, მათაც მშვენივრად იციან, მაგრამ ფული სამშობლოზე მეტად უყვართ და ომის პარტიის გვერდით დგანან! აბა, ერთი მე ამოვიღო ხმა, მაშინვე სატუსაღოში მიკრავენ თავს.





საკაშვილ-ნაცხროვის მომხრე გენერლები და პოლკოვნიკები — მამუკა ყურაშვილი, ტარიელ აბუაშვილი, დევი ჭანკოტაძე და არჩილ ომიაძე

**„ქვეყნის ღალატისთვის როდის უნდა აგონ პასუხი ჭანკოტაძემ, ყურაშვილმა, ომიაძემ, აბუაშვილმა!“**

**ვენაცვალე უცნობის სიძეს, გაიხაროს მისმა მარჯვენამ! ჩემს ნაცვლადაც უთავაზა გვამების მოყვარულ მერაბიშვილს. ჯერ სად არის, კიდევ ბევრი პანღური მოხვდება!**

კაცი, რომელიც გვამებს ითხოვდა, მკვლელობებს უკვეთდა და სანაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიებს არიგებდა, ქუჩაში ცხვირს არ უნდა ჰყოფდეს. დიახ, **მის კისერზეა რობაქიძისა და გირგვლიანის სისხლი!**

**— ამის პასუხად თქვა უკვე — რაღა დროს რობაქიძე და გირგვლიანიაო...**

— სწორედ ამიტომ უნდა მოხვდეს და ჩაჯდეს ციხეში, ჩემი ძმის, სანდროს და ბევრი სხვა პატრიოტის მკვლელობის გამო! **ჯერჯერობით ისევ ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერი ვარ, მისი იმედი მაქვს, თუ დასჭირდება, გვერდითაც დავუდგები, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას** — ის, რასაც დღეს ეს ნაძირალები ბედავენ, დაწყებული გიული ალასანიათი დამთავრებული ვანო მერაბიშვილით, არის ჩვენი მასხრად აგდება! კაციშვილს არ აინტერესებს, რას ვგრძნობთ, როცა ჩვენი ძმების, მამების, შვილების საქმეები თაროზე დევს, მკვლელები კი ამაყად დადიან ქუჩაში, შვილებს ქონებებს უფორმებენ, ბუტას და სანდროს საქმეებს დრომოჭმულს უწოდებენ...

სააკაშვილი კეთილმოწყობილ პალატაში კი არა, ციხეში უნდა ჩალპეს! რატომ აკოტრიალებთ პალატაში?! რა აზრი აქვს მის პატიმრობას, თუ ლუქსის ნომერში უნდა იყოს გამოჭიმული?! მისი მონახულების შემდეგ საავადმყოფოდან გამოსულები კომენტარებს არიგებენ — ციხეს ვერ ჰგუობსო. **ჩემი ძმა, ზურამ შარაძე, გიორგი გამცემლიძე, ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი მიწას ჰგუობენ?** არავის აქვს უფლება, მათ შორის, არც ამერიკას, კაცთმოძულე სააკაშვილს სასჯელი გადაუვადოს. **უცხვირპირო ქალი დეგნანის ჭკუის სწავლებაღა გვაკლია!** ამერიკელმა ექსპერტებმა ჯერ ბაიდენის ჯანმრთელობა შეისწავლონ, ცოცხალი მუმია რომ უზით პრეზიდენტად და მერე გაიშვირონ თითი სხვა ქვეყნისაკენ, თორემ მონაგონი იქნება ის აქცია, რაც პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ერთადერთი ირაკლი ღარიბაშვილი გვაკავებს, რომელმაც ამერიკელებს გასაგებად უთხრა, რომ საქართველო მათ ხუშტურებზე სიარულს არ აპირებს.

**გეყოთ ჩვენს ნერვებზე თამაში! ამოვიდა ყელში მოღალატე სააკაშვილი და მისი ჰარამხანა! ბოლოს და ბოლოს, გადაათრიეთ ქვეყნის გამყიდველი და მკვლელი სააკაშვილი ციხის საკანში! ნუ დაივიწყებთ, რომ 2024 წლის არჩევნები კარს არის მომდგარი და რეჟიმის მიერ მოკლულ მოძმეთა სისხლი სამართალს ითხოვს!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# «შეიტანეთ კანონში სამშობლოს ღალატის მუხლი!»

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**არ მივესალმები რუსეთთან ფრენების აღდგენას!** — ამის მაგივრად, მთავრობა უნდა ზრუნავდეს ქვეყნის რეპუტაციაზე, კატეგორიულად პასუხობდეს გაჟღერებულ ბრალდებებს — **საქართველოს გზით სანქციების გვერდის ავლის შესახებ!**

„ინტერპრესნიუსი“

**კონდოლიზა რაისი**
*ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი*



**რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ჯერ კიდევ 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ უნდა დაწესებულიყო,** თუმცა, ფინანსური კრიზისისა და სხვა ეკონომიკური პრობლემების გამო ეს შეუძლებელი გახდა.

„ამერიკის ხმა“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**კონდოლიზა რაისი** ყვება, 2008 წელს როგორ დაუსახელა **ლავროვმა** საქართველოსთან დაკავშირებით ორი პირობა და მან უთხრა — „გასაგებია“. **რა გამოდის? აშშ-მა დაურეკა რუსეთს და ასე გადაწყდა საქართველოს ბედი?** 2008 წლის ომი ორ დიდ სახელმწიფოს შორის ზავის დადების შესაძლებლობა ხომ არ იყო? ინტერესები სამ დღეში გადანაწილდა — **მას შემდეგ, რაც ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი დაიკარგა, მხოლოდ შეშფოთებულ განცხადებებს ვისმენთ და ამას არ მოჰყოლია არავითარი სანქციები,** რომლებსაც საქართველოსგან დღეს აქტიურად ითხოვენ.

„POSTV“



# ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ:
# ᲘᲙᲘᲕᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲘᲬᲘᲕᲚᲝᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ!



***მაშინ, როდესაც ლამის ნომერ პირველ თემად იქცა ცოცხალი სააკაშვილის მკვდრად გამოცხადება, ფილმ „ჰეროკრატიის“ გმირი, სააკაშვილის რეჟიმის დროს ნაწამები ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ ხელისუფლებასა და ევროპარლამენტარებს მასკარადის დასრულებისკენ მოუწოდებს:***

— სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს სააკაშვილის პატიმრობის თემა არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო არენაზეც განიხილება. გამოხმაურება არის იმ ევროპარლამენტარების მხრიდანაც, რომლებიც ცოტა ხნის წინათ კორუფციაში ამხილეს. ერთადერთი პუტინი არ გამოხმაურებია სააკაშვილის დაპატიმრებას, რომლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეგობარიც გახლავთ. **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲐᲮᲚᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ!**

**— გადაჭარბებული ნათქვამი ხომ არ არის იმ ადამიანის მისამართით, რომელიც, თანაგუნდელების, ოჯახის წევრებისა და მოწვეული ექსპერტების თქმით, მომაკვდავია?**

— ეს ყველაფერი იმ მასკარადის ნაწილია, რომელიც სააკაშვილის გამოსახსნელად არის ატეხილი. კაცმა დაკავებამდე კუჭის ოპერაცია გაიკეთა და ნელნელა დასუსტდა, რა არის ამაში უჩვეულო? საღად მოაზროვნე პიროვნება რომ არ არის და ფსიქოპათი გახლავთ, ეს ხომ ადრეც ვიცოდით? სააკაშვილი მთელი ცხოვრება თამაშობს, რადგან ჩვეულებრივი ნაძირალაა!

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა, ხელისუფლებას მივმართო: **ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲚᲘ „ᲕᲘᲕᲐᲛᲔᲓᲘᲡ“ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲠᲘᲒᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ?!**

რატომ ვაყენებთ უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეზე წინ? მან ხომ საქართველოზე თქვა უარი? **ᲘᲙᲘᲕᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲘᲬᲘᲕᲚᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ!**

**— უცხოელი ექსპერტები სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი ამტკიცებენ, რომ მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა.**

— უცხოელი ექსპერტები არ ამბობენ, რომ მას კლინიკაში წოლა ეკუთვნის. სხვა ნებისმიერმა პატიმარმა რომ თქვას, თავს ცუდად ვგრძნობ, „ვივამედის“ კლინიკაში უნდა მოათავსონ? თუ, რადგანაც სხვა პატიმრების ოჯახებს ფული არა აქვთ და უცხოელი ექსპერტები ვერ ჩამოჰყავთ, უნდა დაიჩაგრონ? **ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲞᲧᲠᲝᲑᲝᲓᲔᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲘᲗ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ? ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲓᲒᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ!**

## ᲕᲘᲜ ᲯᲐᲜᲓᲐᲑᲐᲐ ᲔᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲘ, ᲛᲢᲘᲠᲐᲚᲐ, ᲥᲐᲚᲝᲘᲐ, ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ, ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐ, ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲡᲛᲔᲚᲘ, ᲙᲐᲛᲔᲠᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲡᲔᲥᲡᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲥᲕᲡ?

წინ და უკან რატომ დაატარებს თავის ცოლებს? მაშინ სხვა პატიმრებსაც მიეცეს ამის უფლება! როგორც ვიცი, სასჯელაღსრულების დაწესებულების შიდა განაწესი აღნიშნულს კრძალავს. გრძელვადიანი პაემნებისთვის სპეციალური სასტუმროები არსებობს და მას ამ მომსახურებით არცერთხელ უსარგებლია... თურმე, ტანჯავენ და აწამებენ, სინამდვილეში ბიჭი გულაობს — პალატაში ქალებს არ იკლებს!

რა უფლებით ექცევა ასე საშინლად ექთნებს? ამგვარი საქციელის გამო, წესით, პატიმრობის ვადა უნდა გაუხანგრძლივდეს, კარცერში ჩასვან, ტელეფონი ჩამოართვან ან რაიმე მსგავსი დასჯადი ღონისძიება გაატარონ. **ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲘᲜ ᲝᲮᲔᲠᲘᲐ?!** ის ყველაზე მეტი სისხლის სამართლის დამნაშავეა, ვინც კი დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ზის. **ᲠᲐ ᲞᲘᲯᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲚᲕᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲗᲐ, ᲙᲐᲪᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ!**

## ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ – ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲗ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ? ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐᲦᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲝᲡ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲕᲐᲚᲡ ᲔᲡᲕᲠᲘᲡ ᲔᲥᲗᲜᲔᲑᲡ? ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲨᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲝᲡ, ᲐᲠ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?





კადრები ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐᲡ ფილმიდან **„ჰეროკრატია“** — ᲚᲣᲙᲐ ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲘᲡ *(რეალური პროტოტიპი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ)* წამება ციხეში




**— სამწუხაროდ, სააკაშვილი მხოლოდ საზღვრის კვეთისა და პიჯაკების გამო გაასამართლეს და არა სისტემური დანაშაულისთვის.**

— მართლაც, სასჯელაღსრულების რომელი მინისტრია დაჭერილი? არცერთი! დაბალ რგოლზე — ბადრაგებზე და ციხის მომსახურე პერსონალზე გადატყდა ჯოხი!

კომფორტულად ცხოვრობს მაშინდელი გენერალური პროკურორი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ,** არც მისი მოადგილე **ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ** იხდის სასჯელს სისტემური დანაშაულის გამო... სად არის **ᲓᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ,** რა გახდა მისი დაკავება? თვალწინ ჰყავთ, მეტიც, ლექციებს კითხულობს დამნაშავე **ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔᲚᲘᲫᲔ,** რომელსაც „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ვამხელ. **ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲡ ᲛᲐᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ? ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘᲪ** დამნაშავეა, რომელმაც კონცლაგერად აქცია ტუბდისპანსერი, მაგრამ არც მისთვის მოუთხოვია ვინმეს პასუხი. **ᲛᲗᲔᲚ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲔᲙᲘᲡᲠᲔᲑᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲬᲔᲡᲘᲗ, ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.**

იმედი მაქვს, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს არ შეიწყალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც სააკაშვილის გვერდით აღმოჩნდება ისტორიის სანაგვეზე!

აღასრულეთ კანონი სააკაშვილთან მიმართებაში! ის არ არის ამხელა ყურადღების ღირსი! გინახავთ, როგორ გაჰყავდათ ყოველდღე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პლედებში გახვეული მიცვალებულები? როგორ კლავდნენ ცემით პატიმრებს? მე ამას ყოველდღე საკუთარი თვალით ვუყურებდი! **ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲛᲝᲠᲒᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ? ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ. ᲝᲠ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲠᲔᲯᲘᲛᲛᲐ ᲛᲝᲠᲒᲨᲘ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲮᲛᲐ ᲩᲐᲘᲒᲓᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲫᲐᲚᲛᲝᲛᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ!**

*ესაუბრა*
***ᲜᲐᲢᲝ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*



ვფიქრობ, ქართველების უმეტესობას ურჩევნია, **რუსეთმა გაიყვანოს საკუთარი ჯარები აფხაზეთიდან და ცხინვალიდან და შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, ვიდრე აღდგეს პირდაპირი ფრენები.** არ ვიცი, აქვთ თუ არა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს საქართველოში დაბრუნების პრობლემა, თუკი მათ ეს სურთ, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ **ძალიან ბევრი რუსი ჩამოდის საქართველოში!**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ**
*კინორეჟისორი*



ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲡ: ბაიდენს საიდუმლო დოკუმენტები აღმოუჩინეს, რაც 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მსგავსი ბრალდება ტრამპსაც წაუყენეს — **რა არის ეს, პრეზიდენტების თუ დემოკრატიის უკუსვლა აშშ-ში?**

„ᲢᲕᲘᲢᲔᲠᲘ“

**ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ლიკვიდაციას დიდი ხანია, ცდილობენ, მოწამვლაც ამიტომ მოხდა!

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ**
*„გირჩის“, „თავისუფლების“ პარლამენტარი*



საქართველოში **პოლიტიკური თამაშის ეს ეტაპი უნდა დასრულდეს** და უფრო საინტერესო პროცესი დაიწყოს, რისკენ მისასვლელიც **ნაციონალური მოძრაობის დაშლაა!**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

# მაკრატლის ჩატოვება,

## ანუ საბინა გულახმედოვასა და საქართველოს ერთნაირი ბედი

***განტერესებთ, რითი ჰგავს დღევანდელი საქართველოს ბედისწერა მისი მოქალაქის — 21 წლის საბინა გულახმედოვას ბედს?***

მაშინ, მოდით, ჯერ **საბინა გულახმედოვას** ისტორია მოვყვეთ:

თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრებმა 21 წლის გოგომ, რომელიც ონკოლოგიური პაციენტია, დაახლოებით სამი თვის წინათ „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში“ ოპერაცია გაიკეთა, სახლში გაწერიდან 10 დღის შემდეგ კი მუცლის ღრუში გაუსაძლისი ტკივილები დაეწყო. მძიმე მდგომარეობაში მყოფმა პაციენტმა კვლავ მარდალეიშვილის კლინიკას მიაკითხა, სადაც ექოსკოპია გადაუღეს და უთხრეს, რომ მუცლის ღრუში ყველაფერი რიგზე ჰქონდა, ტკივილები კი ქიმიოთერაპიით გამოწვეულ უკურეაქციას მიაწერეს და დიეტა დაუნიშნეს.

მიუხედავად ამისა, საბინას მდგომარეობა არათუ არ უმჯობესდებოდა, უფრო და უფრო მძიმდებოდა — გოგონას გაუვალობა სტანჯავდა, მუცელი საშინლად სტკიოდა, გული ერეოდა... ონკოპაციენტი **„მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში“** აღარ მივიდა და სხვა კლინიკას — **„ნიუ ჰოსპიტალს“** ეწვია, სადაც რენტგენოსკოპიით დადგინდა, რომ მუცლის ღრუში, არც მეტი, არც ნაკლები, მაკრატელი იყო ჩატოვებული.

**ცხადია, 21 წლის საბინას მაკრატელი არ გადაუყლაპავს!**

**მას სამედიცინო ინსტრუმენტი მუცელში მარდალეიშვილის კლინიკის იმ ექიმებმა ჩაუტოვეს, რომლებმაც სამი თვის წინათ ოპერაცია გაუკეთეს.**

გასულ კვირას **საბინა გულახმედოვას** მარდალეიშვილის კლინიკის რუსთავის ფილიალში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა და მუცლის ღრუდან მაკრატელიც ამოიღეს. როგორც ექიმები აცხადებენ, პაციენტი თავს კარგად გრძნობს და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

**მარდალეიშვილის კლინიკის ხელმძღვანელობა და ექიმები პაციენტის მუცელში მაკრატლის ჩატოვებას იმით ხსნიან, რომ სამედიცინო ბრიგადა, რომელმაც საბინა გულახმედოვას 9-საათიანი ოპერაცია გაუკეთა, გადაღლილი იყო, თუმცა, თავადვე აღნიშნავენ — ეს მომხდარს არ ამართლებს და მზად ვართ, ყველანაირი პასუხისმგებლობა ავიღოთო!**

ქართულ რეალობაში, განსაკუთრებით კი, ქართულ პოლიტიკაში ფრაზა — **„ვიღებ პასუხისმგებლობას“** — ძალიან ხშირად გამოიყენება, მაგრამ ერთობ ლიტონი და არაფრის მაქნისი გახლავთ, რადგან, **„პასუხისმგებლობის ამღები“,** რეალურად, პასუხს არაფერზე აგებს!

იმედია, მარდალეიშვილის კლინიკის ექიმები, რომლებმაც 21 წლის ონკოპაციენტს მუცელში მაკრატელი ჩაუტოვეს, **უპასუხისმგებლო ქართველი პოლიტიკოსებივით** არ მოიქცევიან და **პასუხისმგებლობას** მართლა აიღებენ!

კონკრეტულად როგორი უნდა იყოს და რაში უნდა გამოიხატოს პაციენტის მუცელში მაკრატლის ჩამტოვებელ **ექიმთა პასუხისმგებლობა,** ეს **ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტომ** უნდა განსაზღვროს, რომელმაც მოკვლევა უკვე დაიწყო.

თუ საჭირო გახდა, საქმეში სამართალდამცავი ორგანოებიც ჩაერთვებიან და დაადგენენ, რასთან გვაქვს საქმე — მედიკოსების მიერ გამოვლენილ პროფესიულ დაუდევრობასთან, დანაშაულებრივ გულგრილობასთან თუ, უბრალოდ, ადამიანურ შეცდომასთან?



განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ **ოპერაციის შემდეგ მარდალეიშვილის კლინიკაში გაუსაძლისი ტკივილებით მისულ პაციენტს ექოსკოპია ჩაუტარეს და მუცლის ღრუში ჩატოვებული მაკრატელი... ვერ აღმოუჩინეს!**

ნუთუ **„მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრს“,** რომელიც თბილისსა და მთელ საქართველოში ცნობილი კლინიკაა, ისეთი მოძველებული და ჯართში ჩასაბარებელი ექოსკოპიის აპარატი უდგას, რომელიც მუცლის ღრუში მაკრატლისხელა საგანს ვერ აფიქსირებს ან ისეთი არაპროფესიონალი ექიმები ჰყავს, რომლებმაც ექოსკოპიური სურათის წაკითხვა და გაშიფვრა არ იციან?

ერთიცა და მეორეც, ცოტა არ იყოს, ძნელად წარმოსადგენია!

**საკითხავია, ხომ არ გვაქვს საქმე ექიმების მიერ თავიანთი შეცდომის მიჩქმალვის მცდელობასთან, რაც დანაშაულის ტოლფასია?**

მოკლედ, ეს ყველაფერი შესაბამისმა უწყებებმა უნდა გამოარკვიონ, ამ ცუდ ისტორიაში კი კარგი ის არის, რომ 21 წლის საბინა გულახმედოვა სიკვდილს გადაურჩა!

**და რა ელის საბინა გულახმედოვას ბედქვეშ მყოფ საქართველოს?**

**რა ეშველება ქვეყანას, რომლის სხეულსა და სულშიც ისე არიან ჩატოვებული მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა, როგორც მაკრატელი საბინა გულახმედოვას მუცელში?**

## მარდალეიშვილის კლინიკის ექიმებმა პაციენტ გულახმედოვას მუცელში მაკრატელი ჩაუტოვეს, საქართველოს სულსა და სხეულში კი სააკაშვილი და ნაცხროვა მაკრატელივით არიან ჩატოვებული!




როგორც **საბინა გულახმედოვას** ტანჯავდა გაუსაძლისი ტკივილებით მის მუცელში ჩატოვებული მაკრატელი, სწორედ ისე ტანჯავენ და აწამებენ საქართველოს მის სახელმწიფოებრივ სულსა და სხეულში **მაკრატელივით ჩარჩენილი სააკაშვილი და ნაცბანდა!**

ყველაზე სავალალო კი, იცით, რა არის? **როგორც მარდალეიშვილის კლინიკის ექიმებმა და ექოსკოპისტებმა ვერ ან არ შენიშნეს მათ მიერ საბინა გულახმედოვას მუცელში ჩატოვებული მაკრატელი,** საქართველოს ასიათასობით მოქალაქეც სწორედ ასე ვერ ან არ ამჩნევს, რომ საქართველოს სულსა და სხეულში სააკაშვილი და ნაცსექტა **მაკრატელივით** არიან ჩატოვებული!

**კი, ნამდვილად ერთ ბედქვეშ არიან საქართველო და საბინა გულახმედოვა!**

**საბინა გულახმედოვა და საქართველო!**

არის განსხვავებაც: მარდალეიშვილის კლინიკის ექიმებს საბინა გულახმედოვას მუცელში **მაკრატელი** გამიზნულად არ ჩაუტოვებიათ — მათ ეს დაუდევრობით ან გულგრილობით მოუვიდათ, მაგრამ საქართველოს ეროვნულ სხეულში, მის სულსა და გულში სააკაშვილი და ნაცბანდა სრულიად შეგნებულად ჩატოვეს სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის **დემნანკუბილიუს-კრამონებმა** ვაშინგტონიდან, მოსკოვიდან და ბრიუსელიდან!

და კიდევ:

**საბინა გულახმედოვას ორგანიზმში ჩატოვებული მაკრატელი სამი თვის შემდეგ მაინც ამოუღეს, საქართველოს კი მის სულსა და სხეულში მაკრატელივით ჩატოვებული ნაცხროვა ლამის ოცი წელია, შიგნიდან აჩირქიანებს და ალპობს!**

ვინ და როდის უნდა ამოიღოს საქართველოს სულიდან და სხეულიდან შიგ ჩატოვებული **მაკრატელი** — სააკაშვილი და ნაცხროვა?

კიდევ რამდენ ხანს შეიძლება, გაუძლოს საქართველოს სახელმწიფოებრივმა სხეულმა და ეროვნულმა სულმა მათში **მაკრატელივით ჩატოვებული** უცხო სხეულებით — **სააკაშვილითა და ნაცებით** მოგვრილ საშინელ ტკივილებს?

ერთი ქართული სკაბრეზული შაირი ასე იწყება — **ზღვაში ბადე გადავაგდე,** მას ამოჰყვა მაკრატელი...

**ქართველი ხალხი უნდა იყოს ის მებადური, რომელიც ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ზღვაში ბადეს გადაისვრის და იქიდან საბედისწერო მაკრატელს — სააკაშვილსა და ნაცხროვას სამუდამოდ ამოიღებს!**

მუცელში მაკრატელჩატოვებული საბინა გულახმედოვა გადარჩა!

სულსა და სხეულში მაკრატელჩატოვებული საქართველოც უნდა გადარჩეს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



ბოლო კვირაში ლოს-ანჯელესის პოლიციამ დაკავებისას სამი ადამიანი მოკლა — **რაო, ევროპარლამენტმა და ქართველმა „უფლებადამცველებმა“ მკაცრად დაგმეს „დემოკრატიული უკუსვლა“?** ბროუდერმა უკვე შექმნა ლოს-ანჯელეს-მაგნიტსკის სია?

„იმედინიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*მოძრაობა „აი ის“ თანადამფუძნებელი*



**ხაზარაძე** პრემიერის დავოსში ვიზიტზე ქილიკობს — ქვეყანაში ინვესტიციები არ ხორციელდებაო. საინტერესოა, თუ ეკონომიკური ზრდა არ გვაქვს, **როგორ შეადგინა „თიბისი ბანკის“ მოგებამ 2022 წლის 11 თვეში 933.6 მლნ ლარი!**

„იმედინიუსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*„ნაციონალური პარტიის“ წევრი*



პარლამენტში **„გაჭედილები“** — ე.წ. ოპოზიცია, გარეთ გამოეტიეთ!

„ახალი თაობა“



ნანა კაკაბაძე

# ვერიდოთ «დაუძინებელ მეგობრებს!»




***ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა, რომელიც უკვე მერამდენედ ბედავს ქართველი ერის სახელით ლაპარაკს, მორიგი გამაოგნებელი განცხადება გააკეთა — ვფიქრობ, საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენაზე მეტად ქართველებს რუსეთის მიერ აფხაზეთიდან და ე.წ სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანა გაუხარდებათო!***

კი მაგრამ, **ქალბატონო კელი,** რა კავშირშია საქართველოს დეოკუპაცია რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენასთან?

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ფრენები 2019 წელს, თბილისში გავრილოვისადმი გამოჩენილი პოზიციის საპასუხოდ აკრძალა! ცხადია, ეს ჩვენი მოქალაქეების ინტერესების საზიანო გადაწყვეტილება იყო და **თუკი დღეს რუსეთი თვითონვე მოგვიხსნის მის მიერ დაწესებულ სანქციას, ჩვენ ამაზე უარი რატომ უნდა ვთქვათ?!**

**ქალბატონო ელჩო,** თქვენი შეხსენების გარეშეც ვიცით, რომ საქართველოს ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, ხოლო თქვენი მინიშნება იმაზე, რომ დეოკუპაციის მიღწევამდე რა დროს ფრენების აღდგენაა ან რა დროს ეკონომიკის განვითარებასა და საქართველოს მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, ძალიან ჰგავს **არაკეთილმოსურნის უხეშ ჩარევას საქართველოს საქმეებში!**

**კელი დეგნანის** ამ არაკორექტულ, არადიპლომატიურ და, რაც მთავარია, საქართველოს ინტერესების საზიანო განცხადებას უმალ გამოეხმაურნენ ჩვენს ქვეყანაში უცხო სახელმწიფოთა ინტერესების გამტარებელი **კოლექტიური ნაცები,** რომლებმაც, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნის ელჩის ჩარევის გამო უხერხულობა მაინც ეგრძნოთ, განაცხადეს — **ხომ ხედავთ, საქართველოს ხელისუფლება ისე გათავხედდა, რომ წითელი ხაზი გადაკვეთა და „მთავარი სტრატეგიული პარტნიორი“ გაანაწყენაო!**

აშკარაა, რომ ნაცები ამერიკის ელჩს მართლა საქართველოს დირექტორად ან ცეკას მეორე მდივნად აღიქვამენ, რითიც ჩანს, თუ როგორ ესმით მათ დამოუკიდებლობა, თავისუფლება და სუვერენიტეტი!

**სინამდვილეში, „წითელი ხაზები“ საქართველოს ხელისუფლებამ კი არა, სწორედ ამერიკის ელჩმა გადალახა, როცა კიდევ ერთხელ დაგვიქნია თითი და უკვე მერამდენედ მოგვთხოვა, ჩვენი სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ ვიმოქმედოთ!**

გასაგებია, რომ საქართველოს უმთავრესი მიზანი დეოკუპაციაა და ამ პრობლემის მოგვარებაში ეფექტიან დახმარებას სწორედ სტრატეგიული პარტნიორისგან ველოდით, თუმცა, მოლოდინი დღემდე მოლოდინად რჩება! **იქნებ კელი დეგნანმა უფრო კონკრეტულად გვითხრას, რა გზით წარმოუდგენია საქართველოს დეოკუპაცია და რა დააკლო ჩვენმა ხელისუფლებამ ამ მიზანს?** ვინაიდან აშშ-ის ელჩს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიციები თითქმის არასოდეს მოსწონს, მის მიერ გაკეთებული არაერთი განცხადების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ქალბატონი დეგნანი საქართველოს დეოკუპაციისათვის უკრაინულ გზას, ანუ რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში შესვლას გვთავაზობს!** თუმცა, მან, წესით, კარგად უნდა იცოდეს, რომ **საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის გზას კატეგორიულად არ ემხრობა, რადგან ამის მწარე გამოცდილება გააჩნია და დღემდე იმკის უმძიმეს შედეგებს — ტერიტორიების დაკარგვით დაწყებული, გენოფონდის გაჟლეტით დამთავრებული!**

დარწმუნებული ვარ, სინამდვილეში, **კელი დეგნანმა** ქართველი ხალხის განწყობა ძალიან კარგად იცის და ამიტომაც არის, რომ საკუთარი ქვეყნის — ამერიკის პოზიციებს, რომლებიც ხშირად არანაირ თანხვედრაში არ მოდის ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის პოზიციებთან, თვითონ კი არ ახმიანებს, არამედ სხვებს — თავის მარიონეტებს აჟღერებინებს. მაგალითად, **აშშ-ის ელჩი ვერ ბედავს, პირდაპირ გაამჟღავნოს სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების სურვილი, მაგრამ ამას გამოხატავს აწ უკვე ვადაგასული ომბუდსმენის ლომჯარიას პირით!** სწორედ დეგნანისა და აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით ცდილობდა **ლომჯარია,** თავისი უფლებამოსილების გამოყენებით გამოეძებნა არასამართლიანი და არაკანონიერი გზები „განსაკუთრებული პატიმრის“ ციხიდან გამოსაყვანად! **გაიხსენეთ კელი დეგნანის განცხადება — ნინო ლომჯარიას 100-პროცენტიან ნდობას ვუცხადებო! დიახ, ამას ამბობდა ამერიკის ელჩი სახალხო დამცველზე, რომელსაც ქართველ ხალხში ნულპროცენტიანი ნდობაც არ გააჩნდა!**

საქმე ის არის, რომ **კელი დეგნანი** და საქართველოს სხვა **„დაუძინებელი მეგობრები“** სააკაშვილში ხედავენ ერთადერთ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც აქ სიტუაციის არევასა და მეორე ფრონტის გახსნას შეძლებენ!

**ამერიკის ელჩმა კიდევ ერთხელ დაგვიქნია თითი და მოგვთხოვა, ჩვენი სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ ვიმოქმედოთ!**

ამიტომაც არის, რომ კელი დეგნანს არასოდეს უცდია, სიმართლისთვის თვალებში ჩაეხედა და სააკაშვილისათვის მოეწოდებინა — **თავი დაანებოს ჯანმრთელობის თვითდაზიანებითა და ავადმყოფობის სიმულირებით ციხიდან გამოსვლის მცდელობას!**

ამერიკის ელჩი თავისი არადიპლომატიური, უსამართლო განცხადებებით არაპირდაპირ აყენებს სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნას, რაც ღია წინააღმდეგობაშია როგორც სამართალთან, ისე ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან!

**კელი დეგნანის განცხადებები ცალსახად წარმოადგენს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, რასაც ქართველმა ხალხმა და ქართულმა სახელმწიფომ შესაბამისი პასუხი უნდა გასცეს!**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*უფლებადამცველი*



**როდემდე უნდა ვიმეგობროთ უკრაინასთან ცალმხრივად?!** ასე არ გამოვა! ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას — **იგი საქართველოსთან კონფლიქტშია ისეთ ფუნდამენტურ საკითხში, რასაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება ჰქვია.**

„საერთო გაზეთი“

**დავით კაჭარავა**
*„ხალხის ძალის“ წევრი, რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე*



ძალიან კარგია, რომ არსებობს **მეცენატი ბიძინა ივანიშვილი!**

„ახალი თაობა“

**დიმიტრი შაშკინი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



„ქართული ოცნება“ არის 10 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებაში — **ყველაფერზე, რაც ხდება საქართველოში, პასუხისმგებელია „ქართული ოცნება“!**

„ახალი თაობა“

**აკაკი მინაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



იმისთვის, რომ **საქართველოს დარჩეს ევროპული პერსპექტივა და ჰქონდეს შანსი, მიიღოს ევროკავშირის კანდიდატობა,** მიხეილ სააკაშვილი ქვეყნიდან ჰუმანიტარული მიზნით უნდა გაიყვანონ.

„ინტერპრესნიუსი“

**ბორის ფილატოვი**
*დნიპროს მერი*



ომის პირველივე დღიდან ვამბობდი, რომ **არესტოვიჩი** არის საკუთარ თავზე შეყვარებული საქონელი.

„რეზონანსი“



## არნო ხიდირბეგიშვილი

# ათუაშვილს, რომელმაც საგარეჯოში ატეხა სროლა, ეგონა, რომ ავღანეთში აფხაზეთისთვის იბრძვის!



ნოდარ ათუაშვილი




***სააკაშვილის ნაცებისა და ამერიკელი ელჩის ოცნება ახდა — როგორც იქნა, საქართველო აშშ-ს დაემსგავსა: ქართველი სამხედროები, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში ამერიკისთვის ომობდნენ, შინ დაბრუნების შემდეგ ძარცვავენ ბანკებს, ესვრიან მშვიდობიან მოქალაქეებს და სიცოცხლეს სუიციდით ასრულებენ, როგორც ამას ვიეტნამგამოვლილი ამერიკელი სამხედროები აკეთებდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი გადამდგარი ქართველი სამხედრო, რომელიც უკრაინაში საბრძოლველად გაემართა, აპირებს, აფხაზეთის გავლით საქართველოში ტანკებით დაბრუნდეს და სამხედრო გადატრიალების გზით სააკაშვილს ძალაუფლება დაუბრუნოს.***

**სტატისტიკა შემზარავია:** 10 თვის განმავლობაში უკრაინაში იმდენივე ქართველი დაიღუპა, რამდენიც 12 წლის განმავლობაში ერაყსა და ავღანეთში — 40 მებრძოლი! სხვისი ომები სხვის მიწაზე, რომლებშიც მოტყუებული ქართველები მონაწილეობდნენ, არასოდეს დასრულდება და, ღმერთმა ნუ ქნას, ავღანეთსა თუ უკრაინაში ნაბრძოლებმა ომი შინაც განაგრძონ. **აკი, ათუაშვილს, რომელმაც საგარეჯოში ატეხა სროლა, ეგონა, რომ ისევ ავღანეთშია და აფხაზეთისთვის იბრძვის!**

არცთუ შორეულ წარსულში ქართველები საცინლად აიგდებდნენ ყველას, ვინც იტყოდა, რომ ოდესმე საქართველოში ლგბტ უფლებები დაკანონდებოდა, **მაგრამ ეს მოხდა!** ქართველები ვერც იმას დაიჯერებდნენ, რომ საქართველოში შეიარაღებული ადამიანები მძევლებს აიყვანდნენ და, დასავლეთის მსგავსად, ბანკებს გაძარცვავდნენ, **მაგრამ ესეც რეალობად იქცა!** ავღანეთში ნაბრძოლ **ბადრი ესებუას,** რომელმაც 2020 წლის 21 ოქტომბერს ზუგდიდის ცენტრში ბანკში ადამიანები დაატყვევა, შეიძლება გაუგო კიდეც — მას ხომ არავინ მოუკლავს, უბრალოდ, მოთხოვნილი ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო და არც სამართალდამცავებს დააყენა ჯაფა, ისე ოსტატურად გაუჩინარდა. მისგან განსხვავებით, ქართველმა ოფიცერმა, ორდენოსანმა **ნოდარ ათუაშვილმა, რომელიც 15 წელი იბრძოდა საერთაშორისო მისიებში, მათ შორის, ავღანეთში,** გასულ კვირას, ცხელ წერტილებში ნამსახურები ამერიკელი სამხედროების მსგავსად, აიწყვიტა და ფსიქიკური აშლილობის ფონზე საგარეჯოში 5 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. გამოდის, რომ **„ვიეტნამის სინდრომმა“** ჩვენთანაც გაიღვიძა? არადა, ეს ხომ შეიძლება, ახალი, პერმანენტული ტრაგედიების დასაბამი გახდეს? **განა ერთსა და ორ ქართველს გამოუვლია „სამშვიდობო მისიების“ შირმით შენიღბული აპოკალიპტური ომების მარათონი?**

გახსოვთ ბოევიკი **„რემბო: პირველი სისხლი“** — რა მოიმოქმედა ვიეტნამის ომის ვეტერანმა სპეცრაზმელმა **ჯონ რემბომ,** როცა პოლიციელებმა უსამართლოდ შეავიწროვეს? დღეს ხომ უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ვიეტნამის ომი იყო ყველაზე სისხლიანი ეპოპეა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელშიც **აგრესორი აშშ — ნომერ პირველი ბირთვული ზესახელმწიფო** — სამარცხვინოდ დამარცხდა! დამარცხდა ისევე, როგორც გასულ წელს გამოუყვანეს წირვა ავღანეთში და როგორც წააგებს უკრაინაში, **რადგან მისი საქმე სამართლიანი არ არის!**

ამერიკელთა ოპერაციამ ვიეტნამში მძიმე დაღი დაასვა მეომართა ფსიქიკას. **ჯარისკაცები მიხვდნენ, რომ მობილიზებული იყვნენ მშვიდობიანი მოსახლეობის გასანადგურებლად, სახლში ცოცხლად დაბრუნებულთა უმეტესობამ კი ეს საშინელი უსამართლობა ვერა და ვერ დაივიწყა. სახელმწიფომ ისინი განმათავისუფლებლებად კი არა, უკვე მკვლელებად და სადისტებად ჩამოაყალიბა, როცა უიარაღო ტყვეებს ხოცავდნენ და პირისაგან მიწისა ჰგვიდნენ სოფლებს დიდიან-პატარიანად.** მარტო ქიმიური იარაღის გამოყენებით აშშ-მა 400 ათასი ვიეტნამელი გაანადგურა და რა დიდი ამბავია ვაშინგტონისთვის, თუ ორმილიონიანი, ერთი მუჭა საქართველო გაიჟუჟება!

მაგრამ შემდეგ ვიეტნამელებმა ისწავლეს ბრძოლა და ამერიკელებს თავზარი დასცეს! კოშმარი, რომ ჯუნგლებიდან მოულოდნელად გამოჩენილი ყოფილი მსხვერპლი უმოწყალოდ გაუსწორდებოდა, სახლში დაბრუნებულ ამერიკელ ჯარისკაცებს, მათ მთელი ცხოვრების მანძილზე არ აძლევდა მოსვენებას, ხშირ შემთხვევაში კი უბიძგებდა თანამოქალაქეების, ქალებისა და ბავშვების მიმართ გაუაზრებელი დანაშაულისკენ და ბოლოს — თვითმკვლელობისკენ! **აზრმა, რომ ისინი მოატყუეს, გამოიყენეს ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის და ჭუჭყიანი ხელთათმანივით მიაგდეს, ვიეტნამის ომის ვეტერანები ჭკუიდან შეშალა.**

დიახ, სწორედ ესაა **ვიეტნამის სინდრომი,** რომლითაც დაავადდნენ ავღანეთსა და ნატო-აშშ-ის სხვა მისიებში მებრძოლი ქართველები, რაც ელოდება უკრაინაში დაქირავებულ მებრძოლებსაც... არადა, **ჩვენს გმირ წინაპრებს გაცილებით უფრო მძიმე ბრძოლების შემდეგ, თუნდაც დიდი სამამულო ომის კვალდაკვალ, არ აწუხებდათ არავითარი ფსიქიკური აშლილობა თუ სინდრომი,** რადგან იბრძოდნენ სამართლიანი საქმისათვის, იცავდნენ სამშობლოს და გაიმარჯვეს კიდეც!

**მედიცინის ენაზე ვიეტნამის სინდრომი არის პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ანუ მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ფსიქიკაზე ზემძლავრი ნეგატიური ზემოქმედების შედეგად. დიახ, ეს გახლავთ ნოდარ ათუაშვილის დიაგნოზი... მოვლენის ტრავმული ხასიათი**

## კვირგვინოსნები

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



ვხედავთ, რომ საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, **დასავლეთის მხრიდან ზეწოლას განიცდის, რომელიც ღიად და ურცხვად მოითხოვს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან მიერთებას.** ამ პატარა ქვეყანას და მის მთავრობას აქვს გამბედაობა, თქვას, რომ ისინი საკუთარი ინტერესებით, ეკონომიკური ინტერესებით, იხელმძღვანელებენ, ეს შექებას იმსახურებს.

„ინტერპრესნიუსი“

**ბენ ჰოჯესი**
*ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი მეთაური, გენერალი*



ნებისმიერი ჟურნალისტის დაპატიმრება, აშკარა კრიმინალური საქმიანობის გარდა, პრობლემურია, **ჟურნალისტს თუ აპატიმრებენ პოლიტიკური მიზეზებით,** შეშინებული უნდა იყვნენ სხვა ჟურნალისტებიც.

„პირველი არხი“

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



მარადიული კითხვა **„გვეშველება რამე?“** უკვე არც ისე რიტორიკულად ჟღერს.

„GTMEDIA“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი*



**რეალური საფრთხე არსებობს,** რომ საქართველოში, პირდაპირი მნიშვნელობით, **საბჭოთა კავშირი აღდგეს!**

„ახალი თაობა“






**„აპოკალიფსი ახლა“ – ფრენსის ფორდ კოპოლას კინოშედევრი ვიეტნამის ომის შესახებ**

# ვიეტნამის სინდრომი –

## აი, რით დაავადდნენ ავღანეთსა და ნატო-აშშ-ის სხვა მისიებში მებრძოლი ქართველები, რაც ელოდება უკრაინაში დაქირავებულ მებრძოლებსაც...

**მჭიდრო კავშირშია საკუთარ უმწეობის განცდასთან სახიფათო სიტუაციაში ეფექტიანი მოქმედების შეუძლებლობის გამო, როდესაც ადამიანს გადარჩენის იოტისოდენა შანსიც კი არა აქვს.**

**ფსიქოლოგიური ტრავმის შემდეგ ნარჩუნდება ისეთი დამახასიათებელი სიმპტომები, როგორიცაა ფსიქოპათოლოგიური ხელახალი განცდა, ღამის კოშმარები და შფოთვის მაღალი დონე. ეს სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს როგორც უშუალოდ ტრავმის მიღებისთანავე, ასევე მრავალი წლის შემდეგაც (!). პოსტტრავმულმა სტრესულმა აშლილობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი პრობლემები, როგორიცაა დეპრესია, გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა, პანიკის შეტევები, ადიქცია, სუიციდური ქცევა, აგრესიულობა.**

ყველა ზემომოყვანილი ფრაზა იმ ქართველებს ეხებათ, რომლებიც ომობენ საქართველოდან შორს და არა საქართველოსთვის, მათ შორის — **ვიეტნამის სინდრომით** დაავადებულ ავღანეთის ვეტერან **ნოდარ ათუაშვილს,** რომელმაც წინა კვირას საგარეჯოში სისხლიანი სასაკლაო მოაწყო!

**„თქვენ იბრძვით ერაყსა და ავღანეთში თქვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისთვის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად! ამისთვის საქართველოს ნატოში მიიღებენ, ხოლო ნატო დაეხმარება საქართველოს, წაართვას თავისი ძირძველი ტერიტორიები რუსეთს“!** — დასავლური პროპაგანდა 12 წლის განმავლობაში შთააგონებდა ამ ყალბ თეზას გულუბრყვილო ქართველ ჯარისკაცებს და ოკუპანტ აგრესორებად აგზავნიდა საერთაშორისო მისიებში სასიკვდილოდ! ავღანელები ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ გურჯებს, სანამ ქართულმა კონტინგენტმა — ყველაზე მრავალრიცხოვანმა ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის! — მათ მიწაზე ფეხი არ დაადგა. **შემდეგ კი აშშ-მა ავღანეთიდან მოკურცხლა ქართულ კონტინგენტზე ადრე, არც საქართველო მიიღეს ნატოში და არც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაუბრუნეს. რისთვის ვიბრძოდით და ვიხოცებოდით?** — კითხულობენ დღეს **ვიეტნამის სინდრომით** დაავადებული ქართველი სამხედროები — **„ფულიც კი ვერ შევაგროვეთ და აღარავის ვუნდივართ...“.**

**ნოდარ ათუაშვილი მიხვდა,** რომ ერაყსა და ავღანეთში ტყუილუბრალოდ დაიღუპა 40 ქართველი ჯარისკაცი, ასობით დაჭრილსა და ხეიბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ! **ათუაშვილი ხედავდა,** თუ როგორ იღებენ ქართველები ამერიკელებზე ათობით ათასი დოლარით ნაკლებ ხელფასს, თუმცა, ავღანეთსა და ერაყში არანაკლებ რისკავდნენ (რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკულ სამხედრო პენსიებზე)! **ქართული კონტინგენტი, რომელიც ასრულებდა ამერიკული ბაზების დაცვისა და პატრულირების საბრძოლო ამოცანებს, მუდმივი შფოთვისა და საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა — ავღანელები ბაზებს ხშირად ესხმოდნენ თავს, ხოლო ნებისმიერ „უპოვარს“, არასრულწლოვან მაწანწალას ან „საბრალო ავღანელ მათხოვარს“, მიწაზე ფეხშიშველა მჯდომსა და მოსასხამში გახვეულს, შეეძლო, კობრასავით მსწრაფლ შეეტია მიახლოებული პატრულ-ჯარისკაცისთვის და ტანსაცმლის ფართო სახელოებში დამალული ჟანგიანი დანებით ორივე მხრიდან სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა თირკმლებსა თუ მუცელში, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. ათუაშვილმა** ისევე, როგორც ყველა ჯარისკაცმა, ვინც ავღანეთი გამოიარა, იცოდა, რომ დღეს თუ სასწაულებრივად გადარჩა, ხვალ შეიძლება ძაღლივით მოკლან, მაგრამ ვერაფერს იღონებს კონტრაქტის დასრულებამდე. ... და დარბოდა ათუაშვილი ავტომატით ხელში თავისი ბინის ერთი აივნიდან მეორეზე, **რადგან ეჩვენებოდა, რომ თავს იცავდა სამხედრო ბაზის მოალყე მოჯაჰედებისგან!** ავღანეთში კი, როგორც ათუაშვილს **სააკაშვილ-კეზერაშვილის პროპაგანდისტულმა არხებმა და აშშ-ის ელჩმა** შთაუნერგეს, ის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად იბრძოდა! საგარეჯოში კი მარტო დღეს გაიხსენეს, თუ როგორ დასდევდა დღისით-მზისით **ათუაშვილი** თავის მეუღლეს „მაკაროვით“ ხელში, რის შემდეგაც მეუღლემ, რა თქმა უნდა, მიატოვა...

**ნამდვილად არ მინდოდა გახსენება, მაგრამ მომიწევს:** შარშან დავკარგე ჩემი უახლოესი ბავშვობის მეგობარი. არ მინდა მისი ახლობლების შეწუხება და სახელს არ ვიტყვი. იგი აფხაზეთში იბრძოდა, მოგვიანებით კი მიხვდა, ვინ და რატომ გააჩაღა ეს დანაშაულებრივი ომი. გასულ წელს იგი ექიმების დანაშაულებრივი შეცდომის გამო მძიმე ორმხრივი პნევმონიით გადაიყვანეს კლინიკა **„ვივამედში“,** სადაც დღეს მიხეილ სააკაშვილი ნებივრობს. ემერჯენსთან შეიარაღებული ფორმიანების დანახვისას **(კლინიკის შეიარაღებული დაცვა გააძლიერეს სააკაშვილის იქ ყოფნის გამო),** ჩემმა მეგობარმა რატომღაც ჩათვალა, რომ ისევ აფხაზეთშია და მის დასატყვევებლად მივიდნენ, რის შემდეგაც დალეწა ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდა, ძირითადად, სამედიცინო აღჭურვილობა. მედპერსონალმა, დახმარების ნაცვლად, აღშფოთება გამოხატა — აქაოდა, ასეთ შლეგს ვერ გავუმკლავდებითო და ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ, გადაეყვანათ იგი ალადაშვილის კლინიკაში, სადაც ექიმების მცდელობის მიუხედავად, გარდაიცვალა.

დღეს მინდა, ვკითხო **ამ უსიამოვნო ქალბატონს, „ემპათიის“ ხელმძღვანელს: რატომ იქექება უკვე ერთი წელია, სიმულანტი სააკაშვილის ბანაკალში იმის ნაცვლად, რომ ომგამოვლილი ბიჭების ფსიქიკის რეაბილიტაციას მიხედოს?!**

**მინდა, ვკითხო ამერიკის ელჩ კელი დეგნანს,** რომელმაც გასულ პარასკევს ტელევიზიით იცრუა — **„რუსეთს სურს, წაართვას ქართველებს ენა, იდენტობა და სუვერენიტეტი“** და ამიტომაც არ არის საჭირო რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენაო. მაშ, რა ვუყოთ **ვიეტნამის სინდრომით** დაავადებულ ათასობით ქართველს, აშშ-ის ინტერესებისთვის სხვადასხვა ცხელ წერტილში რომ იბრძოდნენ? **რატომ არ ფიქრობს აშშ მათ რეაბილიტაციაზე? რა ვუყოთ მათ, ვინც უკრაინიდან იარაღით ხელში დაბრუნდება, რათა შური იძიოს თანამემამულეებზე, იმავე მამულაშვილის „ქართულ ლეგიონს“?** ქართველებმა ქართველები უნდა დახოცონ? თქვენ ეს გინდათ?

**მინდა, ვკითხო ზელენსკის, კელი დეგნანს და ქართულ რადიკალურ ოპოზიციას, ყველას, ვინც უკმაყოფილოა, რომ დღეს, უახლეს ისტორიაში პირველად, საქართველო არსად და არავის ეომება:** ნუთუ საჭიროა რომ ქართული არმიის ათასობით ჯარისკაცი ეომოს რუსეთს, თავს დაესხას რუსეთის ბაზებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, „ქართული ოცნების“ მშვიდობიანი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ?!

### ბოლოთქმა

ღამეულ მდუმარებაში ავტომატი კაკანებს. ვის დაეძებს ამჯერად ტყვია? არადა, ათუაშვილმა ხომ უკვე მოიკლა თავი? **ვიეტნამის დრო საქართველოს დროს 5 საათით უსწრებს!**

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



საქართველოს ხელისუფლება **არ დაუშვებს,** რომ საქართველოს სახელმწიფო ჩაბმული აღმოჩნდეს სამხედრო დაპირისპირებაში!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ზუსტად ვიცი, ეს არის **ვანო მერაბიშვილის** დაგეგმილი, ჩათვალა, **აუდიოჩანაწერის გავრცელებას** შეეძლო გავლენის მოხდენა არჩევნების შედეგებზე.

„TV პირველი“

**ანზორ მელია**
*ექიმი, ნიკა მელიას მამა*



დარწმუნებული ვარ, რომ **ნიკა მელია,** მიუხედავად იმისა, როგორ დამთავრდება ნაციონალურ მოძრაობაში არჩევნები, **სხვა პარტიაში არ წავა!**

„ინტერპრესნიუსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობის არჩევნები იქნება **მათი დაშლისა და ქართული პოლიტიკური სივრციდან გაქრობის** თარიღი. სიბინძურე გამოვა ამ პარტიიდან.

„TV იმედი“

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



რთულად წარმომიდგენია **სოზარ სუბარის ან დიმიტრი ხუნდაძის** პრორუსობა — **ისინი ანტიმედასავლეთეს ნიშის დაკავებას ცდილობენ,** რაც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სტრატეგიაა.

„პალიტრანიუსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*



**მაგნიტსკისა და სააკაშვილის** მდგომარეობის შედარება არ შეიძლება, **მაგნიტსკის** რუსულ ციხეში წამებით ამოხადეს სული, **სააკაშვილი** კი უკვე ცხრა თვეა, ლუქს-პალატაში მკურნალობს.

„პირველი არხი“

# ნაცმოძრაობის

*როგორც მთლიანად ნაციონალურ მოძრაობას, ისე მასთან დაკავშირებულ ცალკეულ სუბიექტებსაც ერთი უცნაური ტენდენცია ახასიათებთ —* ***იჭინთებიან ანტირუსული რიტორიკით, აფრიალებენ ანტირუსულ დროშას, მუდამ სხვა ბანაკში ეძებენ პუტინისტებსა და კრემლის აგენტებს, მაგრამ უცაბედად აღმოჩნდება, რომ*** *ყველაზე დიდი პრორუსებიც თავად არიან და რუსულ სპეცსამსახურებთანაც თავად აქვთ კავშირი.*





მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია, კახა ბენდუქიძე

თუნდაც **სააკაშვილი** ავიღოთ, რომლის პოლიტიკური პორტრეტიც თითქმის მთლიანად რუსული ტონებისა და შტრიხებისაგან შედგება:

**სააკაშვილი სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში,** რომელიც საბჭოთა უშიშროების კადრების ლაბორატორიად იყო აღიარებული!

**სააკაშვილი მსახურობდა უკრაინის სასაზღვრო ჯარში,** რომელიც „კაგებეს" საკურატორო სფეროში შედიოდა!

**სააკაშვილს პოლიტიკური გზის გაკაფვაში ეხმარებოდა დედის ძმა თემურ ალასანია,** რომელიც ჯერ საბჭოთა „კაგებეს", ხოლო შემდეგ რუსული „ფეესბეს" ნომენკლატურას წარმოადგენდა!

**„ვარდების რევოლუციის" კულმინაციურ მომენტში, როცა შევარდნაძის გადადგომის საკითხი წყდებოდა,** სააკაშვილს რუსთაველის გამზირზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **იგორ ივანოვი** ედგა გვერდით!

მერეც, **როცა სააკაშვილის ძალაუფლების სრულად გამყარებისათვის აჭარიდან ასლან აბაშიძის განდევნა გახდა საჭირო,** ისევ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **იგორ ივანოვი** ჩამოვიდა და აბაშიძე მოსკოვში წაიყვანა!

**ნაციონალური მოძრაობის მთელი 9-წლიანი მმართველობაც სხვა არაფერი იყო,** თუ არა დასავლური რიტორიკის ფონზე რუსული საქმეების კეთება და კრემლის ინტერესების მსახურება!

**სწორედ პროდასავლური რიტორიკის მქონე ნაციონალურმა მოძრაობამ ჩააბარა რუსეთს** კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი!

**სწორედ პროდასავლური რიტორიკის ფონზე მიჰყიდა ნაცების რეჟიმმა რუსულ სახელმწიფო კომპანიებს** ქართული სტრატეგიული ობიექტები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ!

იგივე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ **სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთს ცალმხრივად გააუქმა სავიზო რეჟიმი, მხარი დაუჭირა რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ხმა მისცა ევროსაბჭოს რეზოლუციას,** რომელშიც ეწერა, რომ რუსული სამხედრო ინტერვენცია წარმოადგენდა პასუხს ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვაზე!

აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობისეულ ქვეყნის მართვის სტილსა და მეთოდზე, რომელიც მშვიდობიანი აქციების დარბევით, უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახოცვით, პოლიტიკური ოპონენტების დევნითა და დაპატიმრებით, ციხეში პატიმრების სისტემური წამება-გაუპატიურებით, ტოტალური ფარული თვალთვალითა და მიყურადებით, შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობებითა და მკაცრად ცენტრალიზებული სახელისუფლო ვერტიკალით მთლიანად რუსული იყო!

**აღარც იმაზე საუბარში დავკარგავთ დიდ დროს,** რომ სააკაშვილის მიერ მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი და ქართული ეკონომიკის მამად გამწესებული **კახა ბენდუქიძე** მთლიანად რუსული პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის პროდუქტი გახლდათ ისევე, როგორც ნაცმოძრაობის ახლანდელი პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე **კობა ნაყოფია,** რომელიც რუსეთთან ბიზნესკავშირებს დღემდე არ წყვეტს. ამასთან, კობა ნაყოფიას ვაჟი, რომელიც ნაცმოძრაობის მიერ ოკუპირებული „რუსთავი-2"-ის საკონტროლო პაკეტს ფლობდა, საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქეა.

ისიც კარგად გემახსოვრებათ, რომ რუსეთის მოქალაქეობასა და რუსულ პასპორტს თვით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც კი ცოცხალი თავით ვერ ელეოდა სააკაშვილის ხელისუფლების მინისტრი და შემდგომში ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოსმოსისა და ბირთვული შეიარაღების განყოფილების ყოფილი თანამშრომელი **გრიგოლ ვაშაძე.**

მოკლედ, **ნაციონალურ მოძრაობას საიდანაც არ უნდა შემოუარო, ყოველი მხრიდან**




## ეს

## ვაშა-ძე კი არა, УРА-ძე ყოფილა!

## კვირგვინოსნები



**გივი ჩხარტიშვილი**
*თბილისის საკრებულოს დეპუტატი მაჟორიტარი*

**ჭიჭე ვაშაძეს — ადეიშვილის ხელისბიჭს, რომელიც ახლა ქეზერაშვილის** დაკვეთებს ასრულებს, ჰგონია, 11 წლის შემდეგ ხალხს დაავიწყდა **სააკაშვილის** რეჟიმი! არა, ბატონო ვაშაძე, **გვახსოვს, როგორ ართმევდით ხალხს ქონებას, ღამის 3 საათზე იძულებით აფორმებინებდით სახელმწიფოზე ან მერაბიშვილ-ადეიშვილის კარის ბიზნესმენებზე,** მერე კი შენი „რეფორმირებული" იუსტიციის სახლი როგორ „ათეთრებდა" ამ ყველაფერს.

„იმედინიუსი"



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

**ჭიჭე ვაშაძეს რუსებისთვის ბინა მიუქირავებია,** როცა საზოგადოებას ამუნათებ, რუსები არ შემოვუშვათო და ამ დროს მათზე ბინას აქირავებ, **რა კაცი ხარ?**

„პირველი არხი"



**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*

ნაციონალურ მოძრაობაში დაგეგმილი არჩევნები არის **ნაციონალური მოძრაობის ეპიტაფია.** 2024 წლის არჩევნებზე **800 ათას** ხმას კი არა, **200 ათასს** ვერ მიიღებენ. ამით დამთავრდება ყველაფერი.

„ახალი თაობა"



**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*

**თუ ვინმეს იმედი აქვს, რომ ომში გამარჯვებული ზელენსკი სააკაშვილს გამოიხსნის ტყვეობიდან** და ხელისუფლებაში ნაციონალურ მოძრაობას დააბრუნებს, **ძალიან ცდება!**

„კვირის პალიტრა"



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" ლიდერი*

ჩანს, პატიმარი **სააკაშვილი** თავის პატრონებს დაემუქრა, **თუ არ გაათავისუფლებენ, ალაპარაკდება როგორც ოქროს მოწმე 2008 წლის ომზე,** ასევე — საქართველოში მის შემოყვანაზე.

„აიპრესი"

# რუსული ანატომია

**კრემლის კუდი მოუჩანს, თუმცა კი, იფიცება — პროდასავლური ვარო!**

ეს ის შემთხვევაა, როცა არც ფიცი გვწამს და არც ბოლო გვაკვირვებს!

პროდასავლურობას იჩემებს სააკაშვილის ხელისუფლებაში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე, ყოფილი ნაცდეპუტატი და ახლა საკუთარი პარტიის — „დროას" თავმჯდომარე **ელენე ხოშტარია,** რომელიც რუსეთის უშიშროების კადრების ნამდვილ სამჭედლოში — **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში,** იგივე **„მგიმოში"** სწავლობდა!

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში თუ ვინმე რუსი ჩამოვიდა, **პოლიტიკოს გავრილოვით** დაწყებული და **ჟურნალისტ პოზნერით** დამთავრებული, ყველას **ელენე ხოშტარია** მიუვარდა და გამოეკიდა, ზოგს სტვენით გამოუჭედა ყურები და ზოგსაც ლაყე კვერცხები დაუშინა, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ხოშტარიასა და მის ოჯახს რუსეთის **ფედერალური ბიუჯეტიდან** პერიოდულად მილიონობით რუსული რუბლი ერიცხებათ.

უკანასკნელ ბრიყვსაც კი გაუჭირდება იმის დაჯერება, რომ მილიონობით რუსული რუბლი, **ლიაკა ხოშტარიასა და მის ოჯახს** რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან რომ ერიცხებათ, გარდაცვლილი ნათესავის — ცნობილი ქართველი მხატვრის **სოლიკო ვირსალაძის** ჰონორარია, რომელიც მისი საავტორო უფლებების მემკვიდრეებს კანონით ერგებათ!

სასაცილოდ არ ეყოფა ადამიანს ამ საკითხთან დაკავშირებით **ლიაკა ხოშტარიას მამის, ცნობილი პუტჩისტის გოგი ხოშტარიას** კომენტარიც — **რუსეთის ბიუჯეტიდან ფული რატომ არ უნდა ავიღო, აბა, პუტინს დავუტოვო, რომ უფრო მეტი ტანკი იყიდოსო?**

აი, ასე ებრძვიან ნაცები რუსეთს და ასე ტოვებს **მამა-შვილი ხოშტარია** რუსულ არმიას ტანკების გარეშე!

რუსეთთან ბრძოლის თავისებური სტრატეგია აქვს **„სტრატეგია აღმაშენებლის" თავმჯდომარე გიორგი ვაშაძესაც,** რომელსაც **გირჩელმა ვახტანგ მეგრელიშვილმა** მეგრულად „ჭიჭე", ანუ პატარა დაარქვა.

**ეს ის ვაშაძეა,** რომელიც ხმის ჩახლეჩამდე ითხოვდა რუსეთის მოქალაქეებისათვის საქართველოს საზღვრის ჩაკეტვას, მკერდზე მჯიღს ირტყამდა — არ დავუშვებ, რომ ჩემი ქვეყანა რუსებმა წალეკონ და ხელისუფლებას უკიჟინებდა — სასწრაფოდ გაყარეთ უკრაინაში ომის





კობა ნაყოფია, გრიგოლ ვაშაძე, ელენე ხოშტარია

## საქართველოში არსად და არაფერში, თვით ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებზეც კი, რუსეთი იმხელა დოზით არ არის წარმოდგენილი, როგორც ნაციონალურ მოძრაობაში!

დაწყების შემდეგ საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეები, რადგან შეუძლებელია, გაარჩიო, მათ შორის ვინ არის პუტინის რეჟიმს გამოქცეული და ვინ — რუსული სპეცსამსახურების აგენტიო!

**ვერ გეტყვით, აქვს თუ არა თავად ვაშაძეს რაიმე სპეცმეთოდი ან სპეცდეტექტორი, რომლის მეშვეობითაც რუსეთიდან პუტინის რეჟიმს გამოქცეულ და საქართველოში რუსული სპეცსამსახურების მიერ შემოგზავნილ პირებს ერთმანეთისგან გაარჩევს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ თბილისში, დიღმის მასივში მდებარე საკუთარი ბინა სწორედ რუსეთის მოქალაქეებს მიაქირავა.**

როცა ვაშაძეს საიდუმლო გაუსკდა და ცნობილი გახდა, რომ მშობლების სახელზე რეგისტრირებული ბინა რუსეთის მოქალაქე პოპოვზე აქვს გაქირავებული, დიდ ანტირუსად თავწარმოჩენილმა **„ჭიჭემ"** თავის მართლება მეტად უსუსურად სცადა — **მართალია, ჩემი მდგმური რუსეთის მოქალაქეა და საქართველოში რუსეთიდან ჩამოვიდა, მაგრამ დაბადების მოწმობაში უწერია, რომ თავის დროზე საწუთროს უკრაინაში, კერძოდ, ხარკოვში მოევლინაო!**

რა თქმა უნდა, **გიორგი ვაშაძე** ანტირუსულ რიტორიკას არც ამ სამარცხვინო ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ შეწყვეტს და კვლავ ხმამაღლა მოითხოვს საქართველოდან რუსეთის მოქალაქეების გაძევებას, მეორე დღეს კი რუსეთის მოქალაქე მდგმურების მიერ გადახდილ ბინის ქირას ჩაიკეცავს ჯიბეში ზუსტად ისე, როგორც **ელენე ხოშტარია** — რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გადმორიცხულ რუბლებს!

**ასეთია ამათი მორალი, უფრო სწორად, მორალური ფსკერი, რომელიც ამჯერად გიორგი ვაშაძემ გახვრიტა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში არსად და არაფერში, თვით ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებზეც კი, რუსეთი იმხელა დიდი დოზით არ არის წარმოდგენილი, როგორც ნაციონალურ მოძრაობაში!**

ვაშაძემ ასევე დაამტკიცა, რომ ღირსია, ქართველმა საზოგადოებამ ამიერიდან არა ვაშა-ძედ, არამედ **УРА**-ძედ მოიხსენიოს, რადგან ქართული **„ვაშა"**-ს ადეკვატური შეძახილი რუსულში **„УРА"** გახლავთ!

## საქართველოში ორსახოვანი და ორსაჯდომიანი ნაცსექტანტების „ვაშა" და „УРА" ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

საქართველოში ორსახოვანი და ორსაჯდომიანი ნაცსექტანტების „ვაშა" და „**УРА**" ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ომარ ნიშნიანიძე**
*პოლიტიკოსი*



ერთადერთი, **ვისაც მიშას სიკვდილი არ უნდა,** „ქართული ოცნებაა", აი, ოპოზიცია კი გულში ფიქრობს, ნეტავ რამე დაემართოსო!

„ჯორჯიან თაიმსი"

**ლალი მოროშკინა**
*პოლიტოლოგი, პროფესორი*



**სააკაშვილი** საზღვარგარეთ სამკურნალოდ კი არა, დაუყოვნებლივ კარცერში უნდა იქნეს გადაყვანილი. მიშა ერთობა, **მედპერსონალი — სასჯელს იხდის!**

„საერთო გაზეთი"

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



**ნაციონალური მოძრაობის დაშლა გარდაუვალია,** წაგებული მხარე დატოვებს პარტიას და შემდგომი სერია წინ გველოდება. საქმის გაკეთება თუ გვინდა, **ნაცმოძრაობის დეპუტაციამ უნდა აიკრიფოს გუდა-ნაბადი და დატოვოს სამარცხვინო პარლამენტი,** სადაც თავიანთი შესვლით ხელისუფლება თავის დროზე გადაარჩინეს.

„პირველი არხი"

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



თუ დავუშვებთ, რომ ის მართლაც მიზანმიმართულად მოწამლეს, **არ მჯერა, რომ ეს საქართველოს ხელისუფლების გაკეთებულია,** რადგან **სააკაშვილის დაზიანება ყველაზე ნაკლებად სჭირდებათ.** უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შედის მასთან, ვის რა შეაქვს, აკონტროლებს ვინმე?

„კვირის პალიტრა"

**მამუკა გამყრელიძე**
*ყოფილი დიპლომატი*



**ნაციონალური მოძრაობა არჩევნების შემდეგ დაიშლება!**

„ახალი თაობა"

# არტისტოვიჩმა არესტოვიჩი დაკარგა!




***ვაი, რა ბოძი წაექცათ ქართველ ნაცლიბერასტებს! უი, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა! ოჰ, როგორ უცაბედად შეიწირა მუხთალმა შემთხვევამ ალექსი არესტოვიჩის თანამდებობა!***

მართალია, **არესტოვიჩს,** ერთი შეხედვით, დიდი არაფერი თანამდებობა ეკავა — უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლად მუშაობდა, მაგრამ, რეალურად, ზელენსკის ხელისუფლების მთავარი იდეოლოგი და სპიკერი გახლდათ!

კერძოდ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ არესტოვიჩი 24 საათის განმავლობაში სატელევიზო და ინტერნეტ-არხებზე იყო გამოჯგიმული, როგორც სამხედრო-პოლიტიკური მიმომხილველი, რომელიც კრემლის წინააღმდეგ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ომს წარმართავდა და უკრაინის მოსახლეობას ილუზიებით კვებავდა — **დღეს თუ არა ხვალ ოკუპანტებს გავყრით და თუ ჭკვიანად არ იქნებიან, ტანკებით მოსკოვსაც მივადგებითო!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **წარსულში მსახიობად ნამუშევარი არესტოვიჩი,** რომელსაც რუსულ სერიალებში მეორეხარისხოვანი როლების შესრულების საკმაო გამოცდილება აქვს, უკრაინის მოსახლეობის წინაშე „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟის — ზებოს ამპლუაში გამოდიოდა, არქიფო სეთურს ჭაში რომ ჰყავს ჩაყუდებული და ხალხისთვის „იმედს აკეთებინებს“.

**არესტოვიჩი,** როგორც უკრაინის ხელისუფლების გავლენიანი ფიგურა, განსაკუთრებით საიმედო იყო ნაციონალური მოძრაობისათვის, რომელსაც ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთ იმედად ისღა დარჩენია, რომ უკრაინა რუსეთს დაამარცხებს და მერე გამარჯვებული უკრაინული არმია საქართველოსაც გაათავისუფლებს **„ივანიშვილის პრორუსული რეჟიმისაგან“.**

აკი, **არესტოვიჩმა** ერთხელ განაცხადა კიდეც — **უახლოეს მომავალში, როცა უკრაინა რუსეთთან ომში უპირატესობას მოიპოვებს, მოგვიწევს, ჩვენი ძალის დემონსტრირება საქართველოშიც მოვახდინოთ და ქართველები პრორუსული ხელისუფლებისაგან დავიხსნათო!**

იგივე **არესტოვიჩი** გახლდათ უკრაინის ხელისუფლების მიერ წარმოებული **ანტიქართული პოლიტიკის** ერთ-ერთი ფლაგმანი, რომელიც აქტიურად ეწეოდა პროპაგანდისტულ კამპანიას საქართველოს ომში ჩათრევისა და ე.წ. მეორე ფრონტის გახსნის მიმართულებით!

აღარაფერს ვამბობთ მიხეილ სააკაშვილისათვის მართლმსაჯულების არიდების მიზნით მიმდინარე პოლიტიკურ სპეცოპერაციაზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე არესტოვიჩიც გახლდათ!

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?

გასულ კვირას **არესტოვიჩმა** თავისი ერთი განცხადებით უკრაინის ხელისუფლებას ყელში დანა გამოუსვა, ხოლო რუსეთის ხელისუფლებას დიდებული საჩუქარი გაუკეთა!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **არესტოვიჩმა თავისი ერთი განცხადებით წყალში ჩაყარა უკრაინული და ევრო-ამერიკული მედიის მთელი საინფორმაციო-პროპაგანდისტული ნარატივი იმის შესახებ, რომ ტერორისტულმა სახელმწიფომ — რუსეთმა ქალაქ დნიპროში საცხოვრებელი კორპუსი დაბომბა და მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის, ბავშვები დახოცა!**

მეორე მხრივ,

## არესტოვიჩმა თავისი განცხადებით ერთიორად გაუნოყიერა ნიადაგი რუსულ პროპაგანდას, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთი ტერორისტული სახელმწიფო კი არა, ფრთიანი ანგელოზია, რომელსაც უკრაინა და დასავლეთი ათას სიბინძურეს უგონებენ და აბრალებენ!

საქმე ის არის, რომ **არესტოვიჩმა** განაცხადა — **დნიპროში საცხოვრებელ კორპუსს რაკეტა რუსებმა კი არ ესროლეს, არამედ რუსული რაკეტა, რომელიც საცხოვრებელ კორპუსს დაეცა და აფეთქდა, უკრაინის საჰაერო თავდაცვის სისტემამ ჩამოაგდოო!**

ე.ი. **არესტოვიჩის** განცხადებით, დნიპროში საცხოვრებელი კორპუსის აფეთქება და მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვა რუსების გამიზნულ ქმედებას კი არა, უკრაინის სამხედრო ძალების ფატალურ შეცდომას მოჰყოლია!

ბუნებრივია, ამ განცხადების გამო **არესტოვიჩი** უკრაინაში საყოველთაო აღშფოთებისა და რისხვის ობიექტად იქცა და მისი თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით რადაში ხელმოწერების შეგროვებაც უმალ დაიწყო!

თუმცა, **არესტოვიჩმა** დაასწრო და სანამ თანამდებობიდან გაგდებულის სახელი დაერქმეოდა, წასვლის შესახებ განცხადება თავადვე დაწერა, ხოლო საკუთარი ნათქვამი — **დნიპროში საცხოვრებელი კორპუსის აფეთქება უკრაინული მხარის მიერ რუსული რაკეტის ჩამოგდებამ გამოიწვიაო** — უძილობასა და გადაღლილობას მიაწერა!

მიაწერა, მაგრამ ძალიან ბევრმა არ დაუჯერა და სოციალურ ქსელში ქოქოლაც დააყარა — **რომელ უძილობასა და გადაღლილობაზე ლაპარაკობ, უძილოები და გადაღლილები ის უკრაინელი ჯარისკაცები არიან, რომლებიც სამშობლოს ფრონტის ხაზზე იცავენ, შენ კი ტელევიზიასა და ინტერნეტში ლაქლაქის მეტს არაფერს აკეთებო!**

ძალიან ბევრს მყისვე მოაგონდა **არესტოვიჩის** შავბნელი წარსულიც, როცა იგი მკვეთრად ანტიდასავლურ და პრორუსულ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა კრემლის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგ **ალექსანდრე დუგინთან** ტანდემში.

კერძოდ, **2005 წელს, როცა** **ე.წ. ნარინჯისფერი რევოლუციის შედეგად უკრაინის სათავეში ვიქტორ იუშჩენკოს პროდასავლური ხელისუფლება მოვიდა, ალექსი არესტოვიჩი პრორუსული და ანტიდასავლური პარტიის — „საძმოს“ თავმჯდომარის მოადგილე და ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.** ინტერნეტში ახლაც ხელმისაწვდომია 2005 წელს მოსკოვში გამართული იმ პრესკონფერენციის ვიდეო, რომელზეც **ალექსი არესტოვიჩმა,** პრორუსული პარტია „საძმოს“ თავმჯდომარე **დიმიტრი კორჩინსკიმ** და კრემლის იდეოლოგმა **ალექსანდრე დუგინმა** ერთობლივი ორგანიზაციის — **„ანტინარინჯისფერი ევრაზიული ფრონტის“** შექმნის შესახებ გამოაცხადეს. პრესკონფერენცია, რომელიც არესტოვიჩმა დუგინთან ერთად ჩაატარა, ასე იყო დასათაურებული — **„დასავლური ჭირის, როგორც ფერშეცვლილი ქამელეონის, შემოჭრა პოსტსაბჭოთა სივრცეში“.**

**დუგინის პარტნიორი არესტოვიჩი,** რომელიც 2005 წელს „პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლური ჭირის ქამელეონივით შემოჭრაზე“ წუხდა, თვითონ გახდა თუ არა ქამელეონი და იცვალა თუ არა ფერი ანტიდასავლურ-პრორუსულიდან დასავლურ-ანტირუსულისაკენ?

ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს, როცა არესტოვიჩს უკრაინის საწინააღმდეგო და რუსეთის სასარგებლო განცხადების გაკეთების გამო თანამდებობის დატოვება მოუხდა!


მიხეილ არტისტოვიჩი
„ა-დ“. 2023 წლის №3

გასული წლის ზაფხულში, როცა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველ **არესტოვიჩს** დუგინთან ურთიერთობისა და 2005 წელს მასთან ერთად ჩატარებული პრესკონფერენციის შესახებ ჰკითხეს, უპასუხა — **იმ პრესკონფერენციაზე უკრაინის დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლის რანგში ვიმყოფებოდიო!**

ე.ი. კრემლის მთავარი იდეოლოგი და რუსული იმპერიალიზმის პროპაგანდისტი **დუგინი,** ასევე მის ზურგს უკან მდგომი რუსეთის სპეცსამსახურები ისე დაშტერებულან და გაბრიყვებულან, რომ უკრაინის დაზვერვის აგენტი არესტოვიჩი ვერ გაუშიფრავთ!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქმე ასეა: **ახლო წარსულში ალექსი არესტოვიჩი კრემლის მთავარი იდეოლოგის — ალექსანდრე დუგინის პარტნიორი იყო და მასთან ერთად ებრძოდა „დასავლური ჭირის შემოჭრას პოსტსაბჭოთა სივრცეში“, ახლა კი უკრაინის საწინააღმდეგო და რუსეთის სასარგებლო განცხადების გაკეთების გამო უკრაინის ხელისუფლებიდან გააიმასქნეს!**

გონივრულ ეჭვზე უფრო მაღალი სტანდარტით შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ **არესტოვიჩის წასვლის შემდეგ უკრაინის ხელისუფლებაში რუსული სპეცსამსახურების შპიონებისა თუ კრემლის გავლენის აგენტების რაოდენობა ერთით შემცირდა!**

ხოლო ყოველგვარი ვარაუდის გარეშე, გადაჭრით და დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ ომის პარტიას — ნაციონალურ მოძრაობას არესტოვიჩის სახით უკრაინის ხელისუფლებაში ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გამოეცალა!**

და კიდევ: **„ასავალ-დასავალის“ 2023 წლის 9-15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მიხეილ არტისტოვიჩი“ ვწერდით,** რომ ალექსი არესტოვიჩის მეგობარსა და კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში არტისტობით დაკავებულ სააკაშვილს, რომელიც, მისივე თქმით, თავს ასი პროცენტით უკრაინელად გრძნობს, ძალიან მოუხდებოდა **არტისტოვიჩის წოდება** ან სულაც **არტისტოვიჩის გვარი!**

ჩვენი წერილის გამოქვეყნებიდან ათიოდე დღეში **მიხეილ არტისტოვიჩმა ალექსი არესტოვიჩი** დაკარგა!

უფრო ზუსტად, **არტისტოვიჩი** უკრაინის ხელისუფლებიდან წასული **არესტოვიჩის** სახით ერთი დიდი ქომაგის, გულშემატკივრისა და ლობისტის გარეშე დარჩა!

**ალექსი არესტოვიჩი** პატიმარი ნაცბელადის ქომაგობას, ალბათ, მომავალშიც გააგრძელებს, მაგრამ ეს **მიხეილ არტისტოვიჩისათვის** დიდი ვერაფერი შეღავათი იქნება, რადგან რუსეთის სასარგებლო განცხადების გაკეთების გამო უკრაინის ხელისუფლებიდან გაგდებული კაცის სიტყვას ბუმბულის წონა და ჩალის ფასიც აღარ აქვს!

**აწი რაღა არესტოვიჩს ულაპარაკია და რაღა ლევან ხაბეიშვილს გაუფუჭებია ჰაერი კლინიკა „ვივამედის“ წინ, მიხეილ არტისტოვიჩის პალატის ფანჯრის ქვეშ!**




**ალექსი არესტოვიჩი კრემლის მთავარი იდეოლოგის — ალექსანდრე დუგინის პარტნიორი იყო და მასთან ერთად ებრძოდა „დასავლური ჭირის შემოჭრას პოსტსაბჭოთა სივრცეში“!**

**ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ ომის პარტიას – ნაციონალურ მოძრაობას არესტოვიჩის სახით უკრაინის ხელისუფლებაში ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გამოეცალა!**

*ჯაბა ხუბუა*

# ვერსიონალისტები

№6-7 (174-175) ★ 2023 წლის 23 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ბლოკადის გარღვევა




***1943 წლის 18 იანვარს საბჭოთა არმიამ გმირული და შეუნელებელი წინააღმდეგობის შედეგად თვალუწვდენელი წითელი იმპერიის მეორე დედაქალაქის — ლენინგრადის ბლოკადა გაარღვია და ერთ წელიწადში, 1944 წლის 27 იანვარს, ქალაქი ფაშისტებისაგან საბოლოოდ გაათავისუფლა. ჰიტლერის მიერ საგანგებოდ დაგეგმილი ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ნორდლიხტ“-ი, ანუ „ჩრდილოეთის ნათება“, რომელიც მოსკოვამდე ლენინგრადის აღებას ისახავდა მიზნად, საბოლოოდ ჩაფლავდა.***

თითქმის 900-დღიანი, უფრო სწორად კი, 872-დღიანი საშინელი ალყისგან გათავისუფლდა **პეტრე დიდის** მიერ 1703 წელს დაარსებული ქალაქი, ხოლო უნიჭიერესი გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი **ვილჰელმ ფონ ლეები,** რომლის გახმაურებული ნაშრომი **„თავდაცვა“** დღესაც ყველა სერიოზული სამხედრო თეორეტიკოსის სამაგიდო წიგნად ითვლება, ლენინგრადთან დამარცხდა და ფაშისტურმა გერმანიამ სტრატეგიული ამოცანის შესრულება ვერ შეძლო. **ჰიტლერის სტრატეგია კი იმაში მდგომარეობდა, რომ მხოლოდ ლენინგრადის დაკავებით, სადაც მაშინ 3 მილიონ 200 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა და 333 უმსხვილესი საწარმო ფუნქციონირებდა, გერმანია გააკონტროლებდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის 12 პროცენტზე მეტს და ფონ ლეების არმიათა დაჯგუფება „ჩრდილოეთი“ დიდ დახმარებას გაუწევდა არმიათა დაჯგუფება „ცენტრს“, რომელიც მოსკოვს უტევდა...** გარდა ამისა, ლენინგრადის კუნწეროზე ფაშისტური დროშის აფრიალებით, **ჰიტლერი** მთლიანად გაბატონდებოდა ბალტიის ზღვაზე და ფაშისტებს ნორვეგიიდან და ფინეთიდან სტრატეგიული ტვირთების რუსეთის ტერიტორიაზე გადმოტანა ძალიან გაუადვილდებოდათ.

ზუსტად არავინ უწყის, რამდენი გერმანელი და საბჭოთა მოქალაქე ემსხვერპლა ლენინგრადისთვის ბრძოლას.

## როგორც ამბობენ, ქალაქის დაცვას, სადაც ოქტომბრის რევოლუციის აკვანი დაირწა, დაახლოებით 3 მილიონნახევარზე მეტი საბჭოთა ადამიანი შეეწირა. მათ შორის, დაახლოებით, მილიონნახევარი საშინელი შიმშილით დაიღუპა.

**ლენინგრადის ბლოკადის დროს ადამიანები ვირთხებს ჭამდნენ, იყო კანიბალიზმის შემთხვევებიც.**

სტალინის ბრძანებით, მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ჩარხებთან და დაზგებთან იდგნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმული ქვეყნისთვის პროდუქციას ქმნიდნენ, დღე-ღამეში მხოლოდ 250 გრამ პურს აძლევდნენ, ხოლო მოხუცებსა და ბავშვებს — 125 გრამს... იმ საშინელმა ბლოკადამ მაშინ საბჭოთა ადამიანებს შეუძლებელი შეაძლებინა და კბილებამდე შეიარაღებული მტერი დაამარცხებინა, მაგრამ **უფრო წყეული და დამთრგუნველია ბლოკადა, რომელსაც „სიცოცხლის გზა“ არ გააჩნია, რადგან ის არა გაყინულ ლადოგის ტბაზე, არამედ უსამშობლო და გადაგვარებულ თაობაზე გადის!**






**სტალინის ბრძანებით, მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ჩარხებთან და დაზგებთან იდგნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმული ქვეყნისთვის პროდუქციას ქმნიდნენ, დღე-ღამეში მხოლოდ 250 გრამ პურს აძლევდნენ, ხოლო მოხუცებსა და ბავშვებს — 125 გრამს... იმ საშინელმა ბლოკადამ მაშინ საბჭოთა ადამიანებს შეუძლებელი შეაძლებინა და კბილებამდე შეიარაღებული მტერი დაამარცხებინა...**

გუშინწინ, გვიან ღამით, წერეთლის გამზირის მხრიდან „დინამოს“ სტადიონს ჩავუარე და იმ საშინელმა ღრიანცელმა და ხმაურმა, რომელმაც ჩემი ყურთასმენა ლამის წალეკა, საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ქვეყანა მართლაც ბლოკადაშია. ეს იმ **ბეი-კლუბ „ბასიანიდან“** გამოსული ხორხოცი, წივილ-კივილი და ხმაური იყო, რომელიც მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა, როგორც ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო „თავისუფალი“ სივრცე. **სინამდვილეში ეს გახლავთ გარყვნილების ბუნაგი, რომელსაც ამ ოთხი წლის წინათ პოლიტიკურად და მორალურად გარყვნილი და მოღალატე ვალერი გელბახიანი გამოესარჩლა და ხელისუფლების მიერ ჩატარებული ანტინარკოტიკული რეიდი, როგორც ადვოკატმა, სულ თვალების ბრიალით გააპროტესტა.** უცნაურად დაწვრილებული ხმითა და თვალების მორცხვი ფახურით „ბასიანს“ მაშინ ლეღვის ფოთოლივით აეფარა **ცნობილი გენეტიკური მოღალატე რომან გოცირიძე,** რომელმაც განაცხადა — **ეს ერთი თავისუფალი სივრცე მაინც დაგვიტოვეთო!** სხვა ბევრიც იცავდა მაშინ „ბასიანს“... მათ შორის, ზოგი „ბასიაკი“ იყო, ზოგი — ხელფასიანი, ზოგი — ბოსიანი, ხოლო ზოგი — თავად ბოსი...

აი, მაგალითად, **გიორგი გახარიამ,** რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოსად მუშაობდა, მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, შეკრებილ პლანაქეშებსა და ნარკომანებს, რომლებიც სწორედ „ბასიანიდან“, „გალერიდან“ და სხვა ბუნაგებიდან „მომსერდნენ“ და ტელეკამერების წინ ღნაოდნენ და პირში დორბლს ვერ იკავებდნენ, **ბოდიში მოუხადა,** რაც დიდი სიტუტუცე და სიაბდლე გახლდათ! **გახარიას ეს საქციელი იმას ჰგავდა, ლენინგრადის ბლოკადის დროს ქალაქის დამცველებს ფელდმარშალ ფონ ლეებისთვის შაშხანისა და ხიშტის ნაცვლად უკანალი რომ მიეშვირათ ანდა შეეთვალათ — ბოდიში, ბატონო ფელდმარშალო, არ ვიცოდით, თუ ჩვენი დაპყრობა გსურდათ, თორემ წინააღმდეგობას როგორ გაგიწევდითო?!**

მოკლედ, „დინამოს“ სტადიონის წინ ქუჩაში გამოფენილმა ადამიანებმა და ხალხმა, რომლებსაც **„ბასიანის“** ალმური ასდიოდათ, გული მომიკლეს. **არცერთი არ იყო იქიდან ისეთი, რომელსაც თამარ მეფე 1203 წლის ბასიანის ძლევამოსილი ტრიუმფის წინ პირჯვარს გადასახავდა და მერე თურქ-სელჩუკთა 400-ათასიანი ურდოს წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნიდა.**

## მე იქ ქართველები ვერ ვნახე, სამაგიეროდ, ვნახე ის გადაგვარებული, „გაკურდღლებული“ და ილაჯგაწყვეტილი, ღრეობასა და ნარკოტიკებში ჩამხრჩვალი თაობა, რომელსაც ამ საცოდავი ქვეყნის ხვალინდელი დღე ფეხებზე ჰკიდია.

უბედურება ის გახლავთ, რომ ანალოგიური სიტუაციაა თითქმის ყველგან — საქართველოზე მოფიქრალ და მოლაპარაკე ახალგაზრდობას მე ვერსად ვხედავ! **ქართველი ახალგაზრდები დღეს არა**

გაგრძელება მე-2 გვერდზე

**ბლოკადა დასრულდა, ბლოკადა გრძელდება!**

# ბლოკადის გარღვევა

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

დასაწყისი პირველ გვერდზე



**ლენინგრადის ბლოკადაზე უფრო წყეული და დამთრგუნველია ბლოკადა, რომელსაც „სიცოცხლის გზა“ არ გააჩნია, რადგან ის არა გაყინულ ლადოგის ტბაზე, არამედ უსამშობლო და გადაგვარებულ თაობაზე გადის!**

**ქვეყნის დეოკუპაციაზე, დემოგრაფიულ კატასტროფაზე, ეკონომიკასა და მიტაცებულ ქართულ სოფლებზე, არამედ კომპიუტერულ თამაშებსა და მათ უახლეს ვერსიებზე ბჭობენ!**

არა — საქართველოს ისტორია, არა — საქართველოს გეოგრაფია, არა — ქართული ენა და ლიტერატურა, მხოლოდ — საყველპურო ინგლისური და რკინის ლაგამი ტვინსა და პირში, რომელიც თავს გვერდზე არ გაგატოკებინებს და ამ ქვეყნის სიტურფეს ბოლომდე არ განგაცდევინებს, რათა უცბად გული არ მოგიტრიალდეს და არ გაიფიქრო **ის, რაც ერთხელ ცხონებულმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს გაცხადებულ მოღალატეებს ქვეყნის უმაღლესი ტრიბუნიდან გასძახა — „კარგი, მე ცუდი ვარ, მაგრამ ამ საწყალმა ქვეყანამ რა დაგიშავათ?“**

ლენინგრადის ბლოკადის დროს ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ საიმპერატორო ქალაქის დამცველებს, ბოლოს და ბოლოს, გატეხდა და კისერს მოუღრეცდა... მამა-პაპით ლენინგრადელებსა და წითელარმიელებს, რომელთა შორისაც მაშინ **ვასილ მჟავანაძეც** ირიცხებოდა, ფაშისტებზე არანაკლები მტერი გამოუჩნდათ — ვირთხები, რომლებიც ქალაქისთვის განკუთვნილ ისედაც მწირ სურსათ-სანოვაგეს პირწმინდად ანადგურებდნენ. **აი, ზუსტად იმ ვირთხებივით უტევენ და ხრავენ ქართულ კულტურას, ჩვენს იდენტობასა და მართლმადიდებლობას ის გადაგვარებულები და გაყიდულები, ის მეხუთე კოლონელები, რომლებმაც ჩვენი უბედური სამშობლო დიდი ხანია, ბლოკადაში მოაქციეს და მის ბოლომდე მოსასპობად გეგმაზომიერად იბრძვიან.**

**როცა** მიკროფონიანი ჭინკები და აგენტები უმაღლეს სასულიერო იერარქს ეკლესიის საკურთხეველში უვარდებიან და წირვას უშლიან, **როცა** გაურკვეველი წარმომავლობის ქართველ „მსახიობს“ საერთაშორისო კონკურსზე ტაშს მხოლოდ იმიტომ უკრავენ, რომ ქართული ცეკვა სოდომისტების რიტუალად გამოაცხადა და ქართული ჩოხა წაბილწა, **ეს იმას ნიშნავს, რომ**

**საქართველო ბლოკადაშია და ამ ბლოკადის თანმდევი ტრაგედიები და ნგრევის მასშტაბები არაფრით გახლავთ იმაზე ნაკლები, რაც ლენინგრადის მოსახლეობამ 1941–1944 წლებში განიცადა.**

**ის, რომ** საქართველოს 2022 წელს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მისცეს და უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით, ყურით მოთრეული „ევროპული პერსექტივა“ მიუგდეს, სწორედ იმის უტყუარი ნიშანია, რომ ქვეყანა ბლოკადაშია!

**ის, რომ** გამუდმებით გვიჩხიკინებენ და უკრაინის ომისკენ გვექაჩებიან, ესეც იმას ნიშნავს, რომ დაგვბლოკეს!

**საქართველოს ბლოკადაში მოქცევას თავისი ხანგრძლივი და სამარცხვინო ისტორია აქვს. ეს ისტორია ჯერ კიდევ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიწყო და მერე მისი დევნილობისას გაგრძელდა. ზვიად გამსახურდია შევარდნაძის მსტოვრებს ხიბულაში არ მოუკლავთ, პირველ პრეზიდენტს ყველგან კლავდნენ — გერმანიის ბუნდესტაგსა თუ პოლონეთის სეიმში, ამერიკის სენატსა თუ უნგრეთის პარლამენტში... საქართველო და მისი ჭეშმარიტი ლიდერი ბნელმა ძალებმა ისეთ სამარცხვინო ბლოკადაში მოაქციეს, რომ ამ თემაზე შეჩერება ღირს!**




როგორც ცნობილია, 1992 წლის დეკემბერში ზვიად გამსახურდიამ ჩეჩნეთიდან ევროპაში იმოგზაურა. საქართველოს დევნილ პრეზიდენტს უნგრეთის მაშინდელი პრეზიდენტი **არპად გენცი** დაემალა. არადა, მანამდე გენცი ფინეთში მყოფ გამსახურდიას ტელეფონით ესაუბრა და თავისთან მიიპატიჟა. ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამსახურდიას ვიზა არ გაუგრძელეს და რომ არა მისი უახლოესი მეგობარი და დიდი თაყვანისმცემელი, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი და ავსტრიის კრონპრინცი, მისი უდიდებულესობა **ოტო ფონ ჰაბსბურგი,** არავინ იცის, რით დასრულდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ვოიაჟი. გამსახურდიას ვიზას არ აძლევდნენ თურქეთისა და შვეიცარიის საკონსულოებშიც. უფრო მეტიც, გერმანიაში გაურკვეველმა პირებმა ქუჩაში სცემეს ქართველი ემიგრანტის **რუსუდან შმიდტის** გერმანელი მეუღლე **ერვინ შმიდტი.** მიზეზი, დიდი ალბათობით, ის გახლდათ, რომ რუსუდან შმიდტი ზვიად გამსახურდიას ევროპული მოგზაურობის დროს აეროპორტში დახვდა და პირველ პრეზიდენტს დიდი დახმარებაც გაუწია.

**გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა თურქეთის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი, რომელსაც ევროპიდან უკან დაბრუნებული საქართველოს დევნილი პრეზიდენტი ისევ უნდა შეხვედროდა. გამსახურდიასა და ოზალს შორის ეს შეთანხმება არსებობდა, მაგრამ ოზალს არ დასცალდა...**

ყველა ზემოხსენებული ფაქტი თავის მოგონებებში აღწერა უზენაესი საბჭოს დეპუტატმა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლმა **მერაბ კიკნაძემ,** რომელმაც საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ერთად ევროპაში იმოგზაურა და 2014 წლის 27 ივლისს ქართულ ციფრულ მედიაში გამოაქვეყნა ძალზე საინტერესო დოკუმენტური მასალა — **„ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში“.** აი, რას ვკითხულობთ მერაბ კიკნაძის მოგონებებში: „გერმანიის საკონსულოს ჰელსინკში ვიზებისათვის განმეორებით მივმართეთ. კონსულმა აილან იინიმაას პრივატულად განუცხადა, რომ აპლიკაციების შეტანას აზრი არ აქვს, ოფიციალურ, წერილობით პასუხზე კი ცივი უარი განაცხადა. ამის პასუხად ზვიადმა კანცლერ კოლს ფაქსით წერილი გაუგზავნა დაახლოებით ასეთი სულისკვეთების: **„კომუნისტური რეჟიმის დროიდან ვცდილობ გერმანიაში მოხვედრას, სადაც მამაჩემმა — ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა — განათლება მიიღო და რომელთან მეც, როგორც მკვლევარს, უამრავი რამ მაკავშირებს. კომუნისტები ჩემი ქვეყნიდან არ მიშვებდნენ, ახლა თქვენ თქვენს ქვეყანაში არ მიშვებთ. რამ შეგაშინათ, არანაირი პოლიტიკური, მითუმეტეს „დესტრუქციული“ მოქმედების გაშლას მანდ არ ვაპირებ. კერძო მოწვევით მსურს ჩამოსვლა!“**

ცხადია, ეს წერილი, უპასუხოდ დარჩა, თუმცა, ინფორმაციამ გერმანულ პრესაში გაჟონა და უმსხვილესმა გერმანულმა გაზეთმა Frankfurter Algemein-ემ გამოაქვეყნა წერილი — „მეტერნიხი ბონში“, სადაც ეწერა: **„ზვიად გამსახურდიას თავისი სიმართლე აქვს. მისაღებია ეს სიმართლე თუ არა, ჩვენი განსჯის საგანი არ არის. ცხადი ისაა, რომ ამ სიმართლეში რაღაც ძალზე უსიამოვნოა კანცლერ კოლისათვის. სხვანაირად რომ იყოს, რატომ შეეწინააღმდეგებოდა ერთი კაცის ქვეყანაში შემოშვებას?“**

მოკლედ, ავტორს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ გერმანიაში ზვიადის შეშვება-არშეშვების საკითხს კოლი წყვეტდა. მოგვიანებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უტიფრად განაცხადა: ვიზაზე უარი არ გვითქვამს, უბრალოდ, აპლიკაცია არ შემოუტანიაო!

აი, იმ სისხლიანი და უსინდისო ეპოქიდან დაიწყო, ძვირფასო ქართველებო, საქართველოს ბლოკადაში მოქცევა, რომელიც დღესაც გრძელდება!

**ლენინგრადთან წითელი არმია რომც დამარცხებულიყო, ქვეყანა მაინც არ დაიღუპებოდა, რადგან საბჭოთა კავშირს ომის მოსაგებად უზარმაზარი რესურსი ჰქონდა, ხოლო ჩვენ დამარცხების უფლება არ გვაქვს, რადგან ერთი ქალაქი კი არა, მთელი ქვეყანა ამერიკის აგენტურის ბლოკადაშია!**

*დიტო ჩუბინიძე*




**ბლოკადა დასრულდა, ბლოკადა გრძელდება!**






**ჟურნალისტის სიტყვა** ★

*ქართულ-უკრაინულ ურთიერთობასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი და საქართველოს ხელისუფლებას მეტი სიფხიზლისკენ მოუწოდებს:*

## ჯეფრი სილვერმანი:

# გერმანიას სურს, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის 80 წლისთავზე უკრაინაში ტანკები შეიყვანოს!



ვიოლა ფონ კრამონი



ჰერმან გერინგი

# „ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის ქალიშვილობის გვარია – გერინგი!“

— მართალია, გასულ კვირას რამშტაინის ავიაბაზაზე შეხვედრისას მოკავშირეებმა საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, მიაწვდის თუ არა გერმანია უკრაინას „ლეოპარდის“ ტიპის ტანკებს, მაგრამ სურვილი იმისა, რომ ამ ტანკებმა უკრაინის მიწაზე გადაიარონ, ძალიან დიდი აქვთ. და თუ ეს მოხდა, რაც ძალიან მეეჭვება, ეს იქნება **1943 წლის 18 იანვარს** ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის 80 წლისთავზე გერმანიის მხრიდან ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახალი შეჭრა! რამშტაინში ეს შეხვედრა 2023 წლის 20 იანვარს სიმბოლურად დაემთხვა ამ ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოთა არმიამ ბლოკადა გაარღვია და ქალაქში დარჩენილთათვის საკვების მიწოდება მოახერხა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეს იყო გადამწყვეტი ნაბიჯი ფაშისტურ გერმანიაზე გასამარჯვებლად. ეს თარიღი არც რუსებს ავიწყდებათ და არც — გერმანელებს!

**— მაგრამ დღეს სხვა სიტუაციაა, რამშტაინის ბაზაზე შეხვედრაში 15 ქვეყნის თავდაცვის მინისტრი მონაწილეობდა...**

— ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება ბერლინში უნდა მიიღონ, **გერმანიას დღესაც შოლცები და გერინგები მართავენ.** ბუნდესტაგის ყოფილი წევრი და ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონის** ქალიშვილობის გვარია — **გერინგი**, ხოლო გერმანიის კანცლერის **ოლაფ შოლცის** ხსენებაზე ჰიტლერის არმიის გენერალ-ლეიტენანტ **ფრიც ფონ შოლცზე** იწყებენ საუბარს. ამიტომ ფრთხილად! **როდესაც ვიოლა ფონ კრამონი საქართველოში ჩამოვიდა, აქ მყოფმა ერთმა ტურისტმა იხუმრა — გერინგი კავკასიაშია — ახტუნგ! ახტუნგ!**

**— მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყებიდანვე საქართველომ უკრაინას უდიდესი დახმარება გაუწია, გასულ კვირას რადას წევრმა ალექსეი გონჩარენკომ განაცხადა — საქართველოს ჩვენთვის ერთი ტყვია ან დანაც კი არ გამოუგზავნია, მხარი სიმბოლურად მაინც დაეჭირათო...**

— საქართველომ მათთვის ყველაფერი გააკეთა, მათ შორის, გაგზავნეს საჰაერო თავდაცვის სისტემები და ელექტრონული ომის შემაფერხებელი აღჭურვილობა. რაც შეეხება დაჭერას, გონჩარენკოსა და მთელ მათ გუნდს, უკრაინელი ხალხი მალე გაკოჭავს და ქვეყნის განადგურებისთვის პასუხს აგებინებს. **არესტოვიჩიც** თითს უქნევდა საქართველოს — თქვენთან მეორე ფრონტის ხაზი უნდა იყოსო, მაგრამ ვირთხასავით გაიქცა ჩასაძირად განწირული გემიდან. კითხვის ნიშნები ჩნდება გასულ კვირას კიევის ერთ-ერთ ოლქში ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის **დენის მონასტირსკის,** მისი პირველი მოადგილის **ევგენი ენინისა** და სახელმწიფო მდივან **იური ლუბკოვიჩის** დაღუპვის გამოც. ვერტმფრენი უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამსახურს ეკუთვნოდა და აშკარაა, რომ უკრაინაში მონასტერი აერიათ. ამას ვამბობ პირდაპირი მნიშვნელობითაც — წვავენ მართლმადიდებლურ ტაძრებს, ჭინკების ცეკვებს აწყობენ. გენერალმა **მარკ მილმა** გასაგებად თქვა: უკრაინაში რუსეთის ომი, სავარაუდოდ, მოლაპარაკებით დასრულდება და არა ბრძოლის ველზეო. ამას გარდა, ბრძოლა რომ გაგრძელდეს და გერმანიამ უკრაინას დამატებითი ტანკები მიაწოდოს, მათ მთელი ეკიპაჟები ესაჭიროებათ, რადგან უკრაინელებმა იმ ტანკების მართვა არ იციან.

**— ჯერჯერობით ბრძოლა გრძელდება, სადაც ქართული ლეგიონის წევრებიც მონაწილეობენ და ამასთან ერთად, საქართველოს მიმართ მუქარის ვიდეოჩანაწერებს ავრცელებენ...**

— ქართველი ლეგიონერი, რომელიც ვიდეოს ავრცელებს და ამბობს — საქართველოს გადავუვლიო — არ ჩანს ფსიქიკურად გაწონასწორებული. თუკი გავითვალისწინებთ მთავრობის მოწინააღმდეგეთა კავშირებს უკრაინასთან და იმ იარაღის მოცულობას, რისი შემოტანაც შეუძლიათ, საქმე მეტად სერიოზულია. არ დაგავიწყდეთ, სახლის დასაწვავად ბავშვს ასანთს აძლევენ, ხოლო მკვლელობის ჩასადენად იარაღს აჩეჩებენ გაუწონასწორებელ ადამიანებს.

**— რას გულისხმობთ?**

— გაგახსენებთ ყვარელში 2005 წლის 22 მაისს მომხდარ ინციდენტს, როდესაც გასვენებაში ჩასული **ლევან სამხარაული** თანაკლასელმა მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა. სამხარაული პრემიერ-მინისტრ **ზურაბ ჟვანიას** საქმის ერთ-ერთი ექსპერტი იყო, რომელსაც თავიდანვე ეჭვი შეეპარა გაზით ჟვანიას გაგუდვაში. ამიტომ ის სასწრაფოდ მოიშორეს მისივე იმ თანაკლასელის ხელით, რომელზეც ამბობდნენ — სამხარაულისგან ბავშვობისდროინდელი წყენა ახსოვდა, თან ფსიქიკურად დაავადებული იყოო. როგორც იცით, სამხარაულის მკვლელობის მერე ეს კაცი საკუთარ სახლში მივიდა, იარაღი აიღო და თავი მოიკლა, თან, როგორც ცნობილი გახდა, ორი იარაღით. ცხადია, ორი იარაღით ის თავს ვერ მოიკლავდა, მოკლეს და შემდეგ ეს ყველაფერი ერთ უწყინარ გასვენებას და კლასელების ბავშვობისდროინდელ რაღაც წყენას დაუკავშირეს. ახლა იმასაც შეგახსენებთ, რომ მაშინ კახეთი უკრაინაში თავშეფარებული კრიმინალის **ზურაბ ადეიშვილის** გავლენის ქვეშ იყო, რომელსაც საცეცები ახლაც აქვს გადგმული.

### ვაფრთხილებ საქართველოს მთავრობას და ირაკლი ღარიბაშვილს – მიიღონ თავდაცვის უპრეცედენტო ზომები, თუკი პრემიერი საგარეჯოში მოკლულთა გასვენებას დაესწრება!

დაცვა საგანგებოდ უნდა იყოს მობილიზებული, საჭიროა, გააქტიურდნენ მესაზღვრეები და შეამოწმონ ყველა პირი, ვინც უკრაინიდან შემოდის, განსაკუთრებით იქაური მებრძოლები.

**— ომში მონაწილე მოხალისეებიც?**

— ყველა, ვინც იქ იბრძვის! **ერთმა ყოფილმა სამხედრომ რა გააკეთა საგარეჯოში და ახლა სხვებიც რომ ჩამოვლენ, წარმოგიდგენიათ, რა ამბებს დაატრიალებენ?!** ნაბრძოლ პირებს ხშირად აქვთ სტრესისგან გამოწვეული აშლილობა. მათ ნარკოტიკს აძლევენ და ვეღარ ხვდებიან განსხვავებას ომსა და რეალობას შორის. უკრაინაში მყოფი ამჟამინდელი ჯარისკაცები და მოხალისეები ფინანსდებიან უცხოური სპეცსამსახურების მიერ, უნდათ, რომ საქართველო რუსეთთან კონფლიქტში ჩაერთოს და მათი დაფინანსებაც გაგრძელდეს. ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან ამერიკის ელჩმა **კელი დეგნანმა** და საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა.**

**— უფრო კონკრეტულად...**

— მათ რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს — რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენას არ მივესალმებითო, ანუ კონფლიქტის მომხრენი არიან! მათ სულაც არ აღელვებთ რუსეთში მყოფი მილიონზე მეტი ქართველის ბედი. ზურაბიშვილს, როგორც საქართველოს მთავარსარდალს, ისიც უნდა აინტერესებდეს, საიდან შემოდის საქართველოში იარაღი — ავღანეთიდან, უკრაინიდან თუ სხვა ქვეყნებიდან და სად ინახება! გამომძიებლებმა სამეგრელოსა და დასავლეთ საქართველოში უნდა დაიწყონ იმ საწყობების დათვალიერება, რომლებიც დაკავშირებული იყო თხილის პროექტებთან... **არსებობს სხვა საფრთხეც — თურქული ტერორისტული ჯგუფი „რუხი მგლები“...** ასე რომ, საქართველოში სიტუაცია გაუარესდება, თუკი მთავრობა არ შეაჩერებს ქვეყნის შიგნიდან რღვევას, არ შეაჩერებს მავნებლურ ანალიტიკურ ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**— ცხადია, თვალს ადევნებთ სააკაშვილის სასამართლო პროცესებს . რა მოხდება, თუკი მას გაათავისუფლებენ?**

— სააკაშვილი მოკლევადიანი თამაშისთვის გამოიყენეს და მიაგდეს. ახლა გინდა, ლოგინიდან გადავარდეს, გინდაც — ლოგინზე მიებას, მაგრამ სასჯელი უნდა მოიხადოს. უკვე სასაცილოა მაგის ექსპერტების ლაპარაკი დემენციაზე!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# ჯუმბერ პატიაშვილი:

# 1989 წლის 9 აპრილი გორბაჩოვისთვის იყო სისხლიანი სიურპრიზი, რომელიც მას მოუწყვეს!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2022 წლის №43-44, 2023 წლის №1-2, 3-4, 5*

***საბჭოთა საქართველოს ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, 80-იანი წლების პოლიტიკური პროცესების შუაგულში ტრიალებდა, ხაზგასმით აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასათვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია:***




— ამას უკვე მერამდენად ვამბობ, მაგრამ მაინც გავიმეორებ: დიახ, **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავასათვის** კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია, თუმცა, ეს სხვამ უნდა ილაპარაკოს!

**— ბატონო ჯუმბერ, თქვენ ილაპარაკეთ, ვერავითარ პრობლემას ამაში ვერ ვხედავ!**

— ჰკითხეთ აბაშის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს **ზურაბ გუნავას** — აბაშაში, სოფელ ონტოფოში, ვინ გააკეთა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, რაშიც 150 ათასი მანეთი დაიხარჯა? ნამყოფიც არ იყვნენ და არც იყო მაგათი ადგილი... არც იცოდნენ, ვინ გააკეთა და რა გააკეთა!

**— 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვარში საქართველოში რაც მოხდა, ის რა იყო — დემოკრატიული რევოლუცია თუ სახელმწიფო გადატრიალება?**

— ცხადია, სახელმწიფო გადატრიალება, ზვიადი იარაღით დაამხეს!

**— ვინ მოაწყო ეს გადატრიალება?**

**— გადატრიალება მოაწყო იმან, ვინც ზვიადის შემდეგ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა!**

**— შევარდნაძის გარეშე გადატრიალება მოხდებოდა?**

— არ არსებობს, გამორიცხულია, **ედუარდ შევარდნაძის** გარეშე საქართველოში ვერანაირი სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოხდებოდა!

**— აფხაზეთის ომი ვინ გააჩაღა?**

— ჩვენ!

**— აფხაზეთის ომი შევარდნაძემ გააჩაღა?**

— არა, მხოლოდ შევარდნაძე აფხაზეთის ომს ვერ გააჩაღებდა, რადგან აფხაზეთის ომის უკან სხვა ძალებიც იდგნენ. იმ ძალებიდან, რომლებსაც აფხაზებისა და ქართველების ერთად ყოფნა ხელს არ აძლევთ, ზოგი ევროპაშია, ზოგი — რუსეთში, ხოლო ზოგი — ამერიკაში!

**— ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს?**

— არ ვიცი, მაგრამ, მგონი, ზვიადი თავს მოიკლავდა!

**— რატომ ფიქრობთ ასე?**

— იმიტომ, რომ საქართველოში დაბრუნებით თავის მიზანს ვერ მიაღწია... ზვიად გამსახურდიას მკვლელობას თავი გავანებოთ, სოხუმი რომ დაეცა და ხალხი ჭუბერის გზას გაუყენეს, სამეგრელოსკენ მომავალი გზა ვინ გადაკეტა?

**— შევარდნაძე და მისი ხალხი ამ გზის გადაკეტვას ზვიად გამსახურდიასა და ლოთი ქობალიას აბრალებენ!**

— ჰოდა, ეს არის...

## ჩვენ არ ვლაპარაკობთ და ვერ ვლაპარაკობთ სიმართლეს! ეს, პირველ რიგში, მეც მეხება, რადგან რა უნდა ვთქვა, როცა

## გვარს ვერ ვასახელებ და სახელს?!

**— 9 აპრილის თემას მივუბრუნდეთ! თუ შევარდნაძე 8 აპრილს თბილისში იყო, მაშინ რა გამოდის, 9 აპრილის სადამსჯელო ექსპედიციას ედუარდ ამბროსოვიჩი პირადად ხელმძღვანელობდა?**

— ვერ ვიტყვი, რომ პირადად ხელმძღვანელობდა, მაგრამ **შევარდნაძე რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო და იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო, ამაში ეჭვი არ მეპარება!**

**— ის პარტიები, რომლებმაც 1988 წლის ნოემბრის აქციები დაიწყეს — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, ხომ არ იყვნენ მართული შევარდნაძის მიერ?**

— რასაკვირველია, იყვნენ! „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ **გია ჭანტურია** რომ პირდაპირ შევარდნაძის კაცი იყო და ძალიან ახლოს იყო მასთან, ეს შემიძლია, დაგიდასტუროთ! **გორბაჩოვს** და, განსაკუთრებით, **შევარდნაძეს,** ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირის დანგრევა არ უნდოდათ. თუ ასე არ იყო, შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე რატომ დაბრუნდა? შევარდნაძეს რომ საქართველოში ჩამოსაყვანად ამზადებდნენ, ეს ფაქტია და ამაში სრულად გეთანხმებით!

**— შევარდნაძესა და გორბაჩოვს შორის სიამტკბილობა იყო?**

— არა, **შევარდნაძესა და გორბაჩოვს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, მათ ერთმანეთი არ უყვარდათ და ამის მოწმე პირადად ვარ!**

**— თუ ისინი ერთმანეთს ვერ იტანდნენ, მაშინ გორბაჩოვი შევარდნაძის საგარეო საქმეთა მინისტრობას როგორ იტანდა?**

## – საქმე ის არის, რომ გორბაჩოვს

## რაც არასოდეს მითქვამს...

## რეალური ძალაუფლება არ ჰქონია და ისიც მართვადი იყო!

9 აპრილი გორბაჩოვისთვის იყო სისხლიანი სიურპრიზი, რომელიც მას მოუწყვეს და საშინელი ფაქტის წინაშე დააყენეს!

**— ე.ი. 9 აპრილის უბედურებაში გორბაჩოვი გარეული არ ყოფილა?**

— ჩემი აზრით, არ ყოფილა! **9 აპრილის უბედურებაში გორბაჩოვი გარეული რომ ყოფილიყო, არ გააკეთებდა ბევრ ისეთ რამეს, რაც ტრაგედიის შემდეგ გააკეთა!**

**— დააკონკრეტეთ!**

— 9 აპრილის შემდეგ ცეკას პლენუმი ჩატარდა... ამ დროს მე უკვე უმუშევარი ვიყავი. მოსკოვში შემომთავაზეს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა, რაზეც კატეგორიული უარი ვთქვი — მე მანდეთ წამომსვლელი არ ვარ-მეთქი! მაშინ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ცეკას შემადგენლობიდან რამდენიმე ათეული კაცი გამოიყვანეს, მათ შორის, **გრომიკო, დემირჩიანი და ბაგიროვი.** მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, რომელიც გახლდით უმუშევარი, მაგრამ პარტიის ცეკაში დამტოვეს და იქიდან არავის გამოვუყვანივარ. როგორც შემდეგ მითხრეს, ეს ყოფილა პირადად **გორბაჩოვის** გადაწყვეტილება, რომელსაც უთქვამს — ჯუმბერი ცეკაში დავტოვოთო! ახლა გავიხსენებ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია ჩემი და გორბაჩოვის პირისპირ საუბართან!

**— ეს როდის მოხდა და სად?**

— სავარაუდოდ, ეს მოხდა 1986 ან 1987 წელს, ყოველ შემთხვევაში, 9 აპრილის ტრაგედიამდე დიდი ხნით ადრე. **გორბაჩოვი მეკითხება ასეთ რამეს** — საქართველოში ჩემ წინააღმდეგ ვინ აგროვებდა მაკომპრომეტირებელ მასალებს? — **მიხეილ სერგეევიჩ, ეს ყველაფერი გაუგებარია, რას მეკითხებით, მე წარმოდგენა არ მაქვს ამის შესახებ-მეთქი!** — არ ხართ თქვენ საქმის კურსში? — არა, ასეთი რამ პირველად მესმის... შევარდნაძე ხომ თქვენი მეგობარია, თქვენ გვერდით ზის და იმას ჰკითხეთ, მას ეცოდინება-მეთქი! შევარდნაძის ხსენებაზე გორბაჩოვმა ხელი აიქნია და მითხრა — **და პაშოლ ონ!** არადა, მე მართლა მეგონა, რომ შევარდნაძე მისი მეგობარი იყო, მაგრამ, თურმე, მათ შორის, სულ სხვა ურთიერთობა ყოფილა. ამის შემდეგ გორბაჩოვი ისევ მომიტრიალდა მითხრა — **ნეტ, ტი დოლჟენ ზნატ, ჩტო პროტივ მენია სობირალ მატერიალი! კტო ბილ ეტოტ ჩელოვეკ?**

**— ეს საუბარი სად შედგა?**

— ეს საუბარი შედგა ბიჭვინთაში, სადაც გორბაჩოვი სამ-




*მიხეილ გორბაჩოვი და ედუარდ შევარდნაძე*

**„1989 წლის მარტში, ვიდრე 9 აპრილი დატრიალდებოდა, გორბაჩოვი შევარდნაძეს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან უშვებდა!“**



*იგორ როდიონოვი*



# „საქართველოში სობჩაკისა და რეიგანის ძეგლები უნდა იდგეს და სტალინის ძეგლი არა?“

თავრობო აგარაკზე იყო ჩამოსული. დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა, მე და გორბაჩოვი ერთმანეთს რომ დავშორდით და მაშინვე დავურეკე შინაგან საქმეთა მინისტრ **შოთა გორგოძეს!**

**— შოთა გორგოძეს მე სიკვდილის წინ შევხვდი და ვრცელი ინტერვიუ ჩამოვართვი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია!**

— შოთა გორგოძე კარგი კაცი იყო, მაგრამ მაგასაც შეეშალა!

**— რა შეეშალა?**

— რა შეეშალა და 9 აპრილს რუსთაველზე სამხედროები საერთოდ არ უნდა ყოფილიყვნენ, იქ უნდა ყოფილიყო პოლიცია!

**— გასაგებია, მაგრამ შოთა გორგოძეს ვინმემ რამე ჰკითხა? ყველაფერი ხომ რუსებმა გადაწყვიტეს თვითნებურად?**

— **იგორ როდიონოვსა** და **შოთა გორგოძეს** შორის დიდი დაპირისპირება მოხდა... აღარ მინდა ახლა ამ თემაზე საუბარი, რადგან ყველაფერს მაინც ვერ ვიტყვი. მოკლედ, იქნებოდა დაახლოებით ღამის სამის ნახევარი, როცა **შოთა გორგოძეს** ბიჭვინთიდან დავურეკე და ვკითხე — **გორბაჩოვის წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელ მასალებს საქართველოში თუ აგროვებდა ვინმე-მეთქი?** შოთამ ძლივს გაიხსენა — კი, ვიღაც იყო მოსკოვიდან ჩამოსული და რაღაც მასალებს ნამდვილად აგროვებდაო!

**— მაინც რა მასალებზე იყო საუბარი?**

— გეტყვით! დილით გორბაჩოვი ვნახე და მოვახსენე — მიხეილ სერგეევიჩ, როგორც წუხელ გავარკვიე, ასეთი რამ მართლაც ყოფილა, ვიღაცები მოსკოვიდან ჩამოსულან და თქვენ წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელ მასალებს ნამდვილად აგროვებდნენ-მეთქი! — კარგი, მოჰკიდე ხელი შენს გენერალს და ჩემთან მოსკოვში ჩამოიყვანეო! ეს რომ მითხრა, გორბაჩოვი დამემშვიდობა და ბიჭვინთიდან მოსკოვში გაფრინდა. ცხადია, ჩავედით მოსკოვში, სადაც მე, **გორბაჩოვი და შოთა გორგოძე** ერთმანეთს შევხვდით. შოთა გორგოძემ გორბაჩოვს ამომწურავად მოახსენა ყველაფერი და დაუსახელა გვარები, თუ ვინ ჩამოვიდა მოსკოვიდან, რას ეძებდნენ, რას იკვლევდნენ და, საერთოდ, რაში იყო საქმე!

**— რას უკავშირდებოდა ეს ყველაფერი?**

— ეს ყველაფერი უკავშირდებოდა **გორბაჩოვის** ცეკას მდივნობას სტავროპოლის მხარეში, სადაც საზკვების უფროსი იყო ეროვნებით ქართველი — გორბაჩოვის ახლო მეგობარი, ხოლო იმ ქართველის ძმა აქ, საქართველოში, მუშაობდა მსუბუქ მრეწველობაში. გორბაჩოვმა თქვა — ჩამოვიდნენ ჩვენთან სტავროპოლში და ჩემი ქართველი მეგობრის წინააღმდეგ დაიწყეს რაღაც მოქმედებები, რომელიც დაიჭირესო! **შოთა გორგოძე** ამ ყველაფერს იწერდა და ინიშნავდა... ეტყობა, იმ ქართველი კაცის საშუალებით გორბაჩოვზე უნდოდათ გასვლა... დაახლოებით თხუთმეტ წუთში ჩვენი საუბარი დამთავრდა. გორბაჩოვმა შოთა გორგოძეს მადლობა გადაუხადა და კაბინეტიდან გამოვედით. გასასვლელთან დაგვხვდა საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრი **კრიუჩკოვი,** რომელსაც გორბაჩოვმა უთხრა — მნიშვნელოვან მასალებს გადმოგცემო! ამ შეხვედრიდან დაახლოებით ორ კვირაში ჟურნალ „ოგონიოკში“ დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, თუ როგორ „ავერბოვკებდნენ“ და აწვალებდნენ ხალხს იმის გამო, რომ გორბაჩოვის წინააღმდეგ ჩვენება მიეცათ. ის ქართველი — გორბაჩოვის მეგობარი, რომელიც დაჭერილი ჰყავდათ, სულ მალე ციხიდან გამოუშვეს...

**— საერთოდ, გორბაჩოვს ქართველების მიმართ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?**

— კარგი, ძალიან კარგი! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **მე ვერ ვიტყვი და არ შემიძლია იმის თქმა, რომ 9 აპრილი ქართველებს გორბაჩოვმა მოგვიწყო! გორბაჩოვი ჩემი ძმაკაცი არ ყოფილა, მაგრამ 9 აპრილის მოწყობას მე მას ვერ დავაბრალებ!**

**— უკვე მერამდენედ გეკითხებით, აღარც კი ვიცი — 9 აპრილი ქართველებს შევარდნაძემ მოგვიწყო? ჰქონდა მას ისეთი გავლენა და ძალა, რომ მსგავსი რამ დამოუკიდებლად ჩაედინა?**

## – შევარდნაძეს ჰქონდა იმის გავლენა და ძალა, რომ საქართველოში 9 აპრილის უბედურება გორბაჩოვის ზურგს უკან, მისი თანხმობის გარეშე დაეტრიალებინა!

9 აპრილი ვინც მოაწყო, ღმერთმა სუყველას გადაუხადა! აი, ის საცოდავი ხალხი რომ გაწირეს, ღმერთმა არავის აპატია!

**— გორბაჩოვთან შეხვედრისას კიდევ რას გაიხსენებთ?**

— 1989 წლის მარტში, ვიდრე 9 აპრილს ის უბედურება დაგვემართებოდა, ცეკას პლენუმი ჩატარდა, არჩევნებისთვის ვემზადებოდით. პირადად ჩემთვის ეს იყო ცეკას ბოლო პლენუმი. ასი კაცის სია შედგა და პირველი სიაში ჩაწერეს ცნობილი კინორეჟისორი **თენგიზ აბულაძე.** აბულაძის შემდეგ მოდიოდნენ პოლიტბიუროს წევრები. ერთადერთი, ვინც ამ სიაში არ იყო, გახლდათ სწორედ შევარდნაძე... პლენუმი ისის იყო მთავრდებოდა, რომ შევხვდი გორბაჩოვს. ბიჭვინთაში



**სააკაშვილის ხელისუფლების მიერ თბილისში დადგმული ანატოლი სობჩაკის ძეგლი**



**სააკაშვილის ხელისუფლების მიერ თბილისში დადგმული რონალდ რეიგანის ძეგლი**



**სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გორში ჩამოგდებული სტალინის ძეგლი**

გამართული საუბრის შემდეგ, ცხადია, ვიცოდი, რომ **გორბაჩოვსა** და **შევარდნაძეს** შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. მოკლედ, მივედი გორბაჩოვთან და ვკითხე — **თქვენი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე სიაში რატომ არ არის-მეთქი? — ნიჩეგო, პერეჟივიოტ!** — მოკლედ მიპასუხა გორბაჩოვმა!

**— იმ სიაში შევარდნაძის არშეყვანა რას ნიშნავდა?**

— ეს იმას ნიშნავდა, რომ **1989 წლის მარტში, ვიდრე 9 აპრილი დატრიალდებოდა, გორბაჩოვი შევარდნაძეს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან უშვებდა!**

**— ანუ მერე შევარდნაძემ 9 აპრილი მოაწყო და შემდეგ, მოსალოდნელი გართულებების შიშით, გორბაჩოვმა მისი გაშვება ველარ გაბედა?**

— ერთ რამეს გეტყვით:

## 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ღამეს 60 ჯარისკაცი დასახიჩრდა! ერთ რუს ჯარისკაცს კლინიკური სიკვდილი ჰქონდა, რის გამოც საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა იგორ როდიონოვს სულ დედა აგინა – ჯარისკაცი რატომ გადაარჩინეთო?

ჩვენებს, ქართველებს, რკინის ხელკეტები ჰქონდათ... ვიღაცამ ეს ხომ გააკეთა? ვინ იყვნენ ის პროვოკატორები, რომლებმაც 9 აპრილის ღამეს ჩვენებს რკინის ხელკეტები მისცეს და სწორედ ამას მოჰყვა **გენერალ ლებედის** დაქვემდებარებაში მყოფი მხეცების მოქმედება? იცით თუ არა, რომ საერთაშორისო „წითელ ჯვარს“ ხელი არა აქვს მოწერილი იმ დასკვნებზე, რომელიც ჩვენებმა დადეს? **ანატოლი სობჩაკს** თბილისში ძეგლი რომ დაუდგეს, ეს ნორმალურია? საქართველოში სობჩაკისა და რეიგანის ძეგლები უნდა იდგეს და სტალინის ძეგლი არა?

**— ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სკანდალური საკითხია, რამაც შესაძლოა, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვიოს! მოკლედ, თქვენ აცხადებთ, რომ 9 აპრილის ღამეს მომიტინგეებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ვიღაცებმა რკინის ხელკეტები, კერძოდ, არმატურის ნაჭრები დაურიგეს?**

— აბა, რა, კაცო! **მათ შორის, ვისაც არმატურის ნაჭერი ეჭირა ხელში, ზოგი ახლაც ცოცხალია, მაგრამ არ მინდა გვარისა და სახელის დასახელება!**

**— იქნებ გამწარებულმა კაცმა იმ საშინელებაში სადღაც არმატურის ნაჭერი მოგლიჯა და იმ მკვლელებს დაერია!**

— არა, ის არმატურის ნაჭრები გამზადებული იყო და ქართველ ბიჭებს დაურიგეს! ეს იყო პროვოკაცია...

**— შევარდნაძე ამ დროს სად იყო?**

— შევარდნაძე ამ დროს უკვე თბილისის აეროპორტში ბრძანდებოდა... დიახ, 8 აპრილს შევარდნაძე უკვე თბილისში იყო, რასაც **გენერალი ლებედიც** ადასტურებს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**21 იანვარს, საბჭოთა იმპერიის ფუძემდებლის ვლადიმერ ლენინის გარდაცვალებიდან ზუსტად 99 წლისთავზე, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ДИМИТРИ МЕДВЕДЕВМА განაცხადა, რომ კონფლიქტს უკრაინასა და ევროპაში უნდა ეწოდოს ახალი სამამულო ომი, რომელსაც რუსეთი აუცილებლად მოიგებს! ამგვარად გამოეპასუხა რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი ევროკავშირის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს ჟოზეფ ბორელის, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს უკრაინის შესაიარაღებლად მოუწოდებს. მედვედევმა მას ნაპოლეონისა და ჰიტლერის არმიების წინააღმდეგ რუსეთის გამძლეობის შესახებ შეახსენა: „ბორელს ახსოვს, რომ რუსეთმა დაამარცხა ნაპოლეონი და ჰიტლერი, შენიშნავდით — მან თვითონ გაავლო პარალელი. შესაბამისად, უკრონაცისტები და დასავლეთ ევროპა არიან უშუალო მემკვიდრეები, ვინც რუსეთს ეომებოდა და ამჯერად უკვე მათთან ომიც ახალ სამამულო ომად გადაიქცა. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, როგორც 1812 და 1945 წლებში“ — დაწერა მედვედევმა თავის ტელეგრამ არხზე.** — *„ფრთხილად, ქართველებო, თუ რუსეთი სამამულო ომს აცხადებს, ეს ნიშნავს, რომ პლანეტა ახალ რეჟიმზე გადადის!“* **— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ორგანიზაცია „ქართული მისიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, სააკაშვილის რეჟიმისგან პოლიტრეპრესირებულმა ბიზნესმენმა და ექიმმა რამაზ გაგნიძემ:**



— თითქმის ერთი წელია, უკრაინაში ომი მძვინვარებს, რამაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, დაანგრია ქალაქები და დასახლებული პუნქტები, მთლიანად მოშალა უკრაინის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა... თუმცა, რუსეთი აქამდე მოვლენებს **ომად** არ აღიარებდა და **„სპეციალურ ოპერაციად“** მოიხსენიებდა. 21 იანვრიდან პლანეტის დღის წესრიგი მთლიანად იცვლება, ვინაიდან **დიმიტრი მედვედევმა** გამოაცხადა, რომ დასავლეთ ევროპელი და უკრაინელი ფაშისტების წინააღმდეგ ამიერიდან რუსეთი **სამამულო ომს** აწარმოებს! **ძალზე მწვავედ მენიშნა, როცა მედვედევმა ჰიტლერული ფაშიზმის მემკვიდრეებად დაასახელა ის ძალები, რომლებიც რუსეთს უპირისპირდებიან და პარალელი გასული საუკუნის 40-იან წლებში მიმდინარე სამამულო ომთან, ასევე რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიის შემოსევასთან გაავლო,** რადგან ამ ომებში რუსეთმა მოწინააღმდეგე პირწმინდად დაამარცხა!

**— მაგრამ მედვედევის განცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციაა.**

— პირიქით! **მიმაჩნია, რომ მედვედევის პირით ეს განცხადება თვით რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გააკეთა.** მედვედევი არ გახლავთ ჩვეულებრივი სახელმწიფო მოღვაწე, შეგახსენებთ, რომ,

**უკვე დიდი ხანია, რაც პუტინ-მედვედევის ტანდემი სინქრონულად მართავს რუსეთს, რაც მე რუსეთის ღერბზე გამოსახულ ორთავიან არწივს მაგონებს, რომლის ერთი თავი არასოდეს მოქმედებს**

**მეორის წინააღმდეგ ან მეორისგან დამოუკიდებლად!**

**— მსოფლიოში რა იცვლება დიმიტრი მედვედევის ამ განცხადებით?**

— ის, რომ ომი თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის და საყოველთაო ხასიათს იღებს. ეს დაპირისპირება უკვე აღარ შემოიფარგლება პერიოდულად პოზიციების დაკავებით და მერე უკან დახევით ანდა წერტილოვანი სარაკეტო დარტყმებით. **ამიერიდან ამ ომში რუსეთი მოახდენს იმ მძიმე ტექნიკის, სალოკაციო სისტემების და ავიაციის მობილიზაციას, რომელიც აქამდე არ გამოუყენებია.** რაც მთავარია, ომის ასეთი სტატუსი თავისთავად რუსეთის მოსახლეობაში ამ ომისადმი დამოკიდებულების ხარისხს ზრდის.



## არის ასეთი აზრი! ★

აქამდე რუსეთის მოსახლეობას ბოლომდე არ შეუცნია, რომ ომში ჩართული სახელმწიფოს მოსახლეობას წარმოადგენს, ამიერიდან რუსეთი აამოქმედებს პროპაგანდის მექანიზმებს. **რუსი პოლიტოლოგები იუწყებიან, რომ უახლოეს მომავალში რუსეთმა შესაძლოა, 18-დან 50 წლამდე ასაკის მილიონნახევარი რეზერვისტის მობილიზაცია გამოაცხადოს, რაც ძალიან დიდი რაოდენობაა.**

მსოფლიოში მძვინვარებს რუსეთის წინააღმდეგ შავი პიარი, რომლის მიხედვით, იგი არის აგრესორი ქვეყანა, არადა, სინამდვილეში, რუსეთი თავს იცავს ნეოფაშისტური ძალებისგან, ხოლო მიმდინარე მოვლენების „სამამულო ომად“ გამოცხადებით, ნელ-ნელა იწყებს ახალი რესურსების მობილიზებას. ყველაზე მთავარი აქ იდეოლოგიური ფაქტორია — რუსეთს ხომ აქამდე არცერთი სამამულო ომი არ წაუგია! მენიშნა ერთი გარემოებაც: **დიმიტრი მედვედევმა** თავისი განცხადება დაასრულა სიტყვებით — **„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“** — რაც ძალიან ჰგავს დიდი სამამულო ომის დასაწყისში იოსებ სტალინის ცნობილი მიმართვის ტექსტს — **„ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“** ხოლო რა შედეგით დასრულდა ის ომი, ყველასთვის ცნობილია — ფაშისტური სვასტიკიანი დროშები გამარჯვებულმა საბჭოთა ჯარისკაცებმა მთავარსარდალს ფეხებთან დაუყარეს!

**— საქართველომ რა პოზიცია უნდა დაიკავოს, თუ რუსეთი მართლაც „სამამულო ომის“ ფაზაში გადაზრდის უკრაინის ეპოპეას?**

— 1941-1945 წლებში საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკა იყო და ფაშიზმს — ცივილიზაციის ამ ავთვისებიან სიმსივნეს — მოძმე ერებთან ერთად უპირისპირდებოდა. ფაშიზმთან მსოფლიოს კეთილი ნების საზოგადოების მაშინდელ ომს ქართველი კაცი სარდლობდა და მისი ნიჭის შედეგად ბრძოლა ფაშიზმის დაჩოქებით დასრულდა! მაგრამ ამჟამად კეთილი ნების თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებას იმ ფაშისტების შთამომავლები დაემუქრნენ და ქართველებმა ფაშიზმის რეანიმაცია არ უნდა დავუშვათ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსეთის მხრიდან ამ ომის „სამამულო ომად“ აღიარებით დაპირისპირება სარწმუნოებრივ ფორმატში ექცევა! შეიძლება, რუსეთის მხარე არ დავიკავოთ, მაგრამ შემირცხვენია ის ქართველი, რომელიც მართლმადიდებელ სარწმუნოებას შეებრძოლება!

**— ამასობაში საქართველოს „ფაქტობრივმა“ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ აუკრა ხელი რუსეთისგან გამოწვდილ მარჯვენას, რომელმაც საქართველოს საჰაერო მიმოსვლის აღდგენა შესთავაზა.**

— როგორც ჩანს, ჩვენი პრეზიდენტი კვლავ **ძელი დეგნანის** და იმ დასავლური ძალების გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელსაც რუსეთი უკვე **„სამამულო ომით“** უპირისპირდება! დაე, ნუ შეჭამს ქალბატონი პრეზიდენტი რუსულ შაქარს და რუსული ხორბლისგან გამომცხვარ პურს! **როცა საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე უარს აცხადებს, ზურაბიშვილი რუსეთში მცხოვრებ მილიონზე მეტ ქართველს ართმევს საშუალებას, სამშობლო და ახლობლები მარტივად მოინახულონ!** სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი კი არა, უცხო ქვეყნების რეზიდენტია! თვალსაჩინო ლიბერალი და ფაშისტური განწყობების პროპაგანდისტია! იმ ძალების მარიონეტია, ვისაც ომში ფაშიზმის მხარეს ჩვენი ჩაბმა სწადია!

ქართველებო, დაფიქრების დროა! ვინც ქრისტეს ებრძვის, ის სამშობლოსაც ებრძვის, კარგად უნდა გავიაზროთ ჩვენი თითოეული ნაბიჯი, რათა უნებურად ქრისტეს მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ აღმოვჩნდეთ!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# რამაზ გაგნიძე:

# პუტინმა დიმიტრი მედვედევის პირით სამამულო ომის დაწყება გამოაცხადა!

**Медведев назвал конфликт с украинскими нацистами новой Отечественной войной**

Медведев назвал конфликт с нацистами на Украине и Европой новой Отечественной войной

Заместитель руководителя Совета безопасности России Дмитрий Медведев заявил, что конфликт на Украине и в Европе можно назвать новой Отечественной войной, в которой Россия одержит победу. Об этом он высказался в своем Telegram.



Фото: Виталий Тимкив / РИА новости

Бывший президент России ответил главе дипломатии Евросоюза Жозепу Боррелю, который призвал западные страны вооружать Украину, вспомнив о стойкости России в войнах с армиями Наполеона и Адольфа Гитлера. Медведев назвал молодцом «Борреля с потухшим лицом».

«[Боррель] вспомнил, что наша страна победила Наполеона и Гитлера. Заметьте, это он сам провел аналогию. Соответственно, укронацисты и Западная Европа — прямые наследники тех, кто воевал с Россией. И война, стало быть, с ними новая Отечественная. И победа будет за нами. Как в 1812 и 1945-м», — написал Медведев.

Боррель также подчеркивал, что Евросоюз не принимает и не собирается принимать участие в конфликте на Украине. Он также напомнил, что украинский конфликт начался еще в 2014 году, а Европа до последнего момента пыталась избежать войны.

**„დიმიტრი მედვედევმა თავისი განცხადება დაასრულა სიტყვებით – „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“ – რაც ძალიან ჰგავს დიდი სამამულო ომის დასაწყისში იოსებ სტალინის ცნობილი მიმართვის ტექსტს – „ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“ ხოლო რა შედეგით დასრულდა ის ომი, ყველასთვის ცნობილია – ფაშისტური სვასტიკიანი დროშები გამარჯვებულმა საბჭოთა ჯარისკაცებმა მთავარსარდალს ფეხებთან დაუყარეს!“**

# რით განსხვავდებოდა საბჭოთა საქართველოსა და ესტონეთის ჰიმნები დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნებისგან

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ჰიმნების შექმნის ისტორიას ეხმიანება და იმ მიზეზებს ასახელებს, რის გამოც საბჭოთა საქართველოსა და ესტონეთის ჰიმნები ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ჰიმნისგან გამორჩეული და განსხვავებული იყო:***

— საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ჰიმნები 1944-1946 წლებში შეიქმნა. მანამდე, როგორც საბჭოთა კავშირი, ისე მოკავშირე რესპუბლიკები სარგებლობდნენ „ინტერნაციონალით“, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის ჰიმნია და წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით ძალიან სასიამოვნო მოსასმენია.

**— რა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნების შექმნა სწორედ 1944 წელს, გაგანია მეორე მსოფლიო ომის დროს გაახსენდათ?**

— სტალინმა, რომელსაც საბჭოთა კავშირი თანამედროვე ევროკავშირის ტიპის გაერთიანებად ესახებოდა და სადაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკას თავისი სუვერენიტეტი უნდა ჰქონოდა, 1944 წლიდანვე დაიწყო ზრუნვა, რათა გაეროში საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკები შესაბამისი სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკით, მათ შორის, ჰიმნით, ღირსეულად წარმოჩენილიყვნენ. აქედან გამომდინარე, 1945 წელს იალტის კონფერენციაზე წამოაყენა წინადადება, რომ გაეროში თექვსმეტივე მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკა ცალ-ცალკე გაწევრიანებულიყო, როგორც გაეროს დამფუძნებელი ქვეყნები. სამწუხაროდ, **პრეზიდენტმა რუზველტმა,** რომელიც აქამდე სტალინს ყველაფერში მხარს უჭერდა, ბელადის ამ მოთხოვნას მხარი არ აუბა მაშინ, როცა **ჩერჩილის** პოზიცია ასეთი კატეგორიული არ ყოფილა!

**— რა გახდა ამის მიზეზი? მოგეხსენებათ, სტალინისადმი დამოკიდებულებაში ჩერჩილი გაცილებით მაქსიმალისტი და შეუპოვარი იყო, ვიდრე რუზველტი!**

— ბრიტანეთს სურდა, გაეროს დამფუძნებელ ქვეყნებში ცალკე სახელმწიფოებად გაეყვანა ახალი ზელანდია და კანადა. აქედან გამომდინარე, სტალინის ზემოხსენებულ წინადადებას **ჩერჩილი** კატეგორიულად არ უპირისპირდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით **რუზველტზე.** ამერიკის პრეზიდენტი მოქმედებდა პრაგმატულად და მან სტალინს არ მისცა საშუალება, გაეროში ერთის ნაცვლად თექვსმეტი ხმა ჰქონოდა. თუ ამ თექვსმეტ ხმას დავამატებთ იმ ხმებსაც, რომლებიც ოდნავ მოგვიანებით ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებსაც ექნებოდათ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით კაპიტალისტურ ბანაკში არ იყო ერთობა (იტალიაში სოციალისტები მძლავრობდნენ, ხოლო დეგოლისტები საფრანგეთში სტალინს აღმერთებდნენ), მივალთ იქამდე, რომ მთელი გაერო სტალინის გულმხურვალე მხარდამჭერი და გულშემატკივარი შეიძლება ყოფილიყო, რაც ამერიკისა და ბრიტანეთის ინტერესებში არ შედიოდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ სტალინგრადის, ოპერაცია „ბაგრატიონისა“ და კურსკის ტრიუმფის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სტალინისადმი წარმოუდგენელი სიმპათიითა და აღფრთოვანებით იყო გამსჭვალული. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოკავშირეები საბოლოოდ იმაზე შეჯერდნენ, რომ **საბჭოთა უკრაინა და ბელორუსია** გახდებოდნენ გაეროს წევრები, ხოლო დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელი გაეროში იქნებოდა საბჭოთა კავშირი. აი, სწორედ ეს პროცესები უძღოდა წინ იმ ფაქტს, რომ 1944 წელს ოფიციალურად მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ჰიმნების შექმნის შესახებ!



**— 1944 წლამდე საქართველოს ჰიმნი არ ჰქონია?**

— საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში არსებობდა ჰიმნი „დიდება“, რომლის მუსიკაც **კოტე ფოცხვერაშვილმა** დაწერა, ხოლო ამის შემდეგ, ვიდრე 1944 წლამდე, საბჭოთა საქართველოს ოფიციალური ჰიმნი არ ჰქონია. არსებობდა ჰიმნი **„სამშობლო“,** რომლის ჰანგებითაც ყოველ დილით ჩვენი რადიოეთერი იხსნებოდა, მაგრამ ის არ იყო ოფიციალური ჰიმნი. საბჭოთა საქართველოს ოფიციალური სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი დაწერეს **გრიგოლ აბაშიძემ და ალექსანდრე აბაშელმა,** ხოლო მუსიკა შექმნა **ოთარ თაქთაქიშვილმა.** ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ კომუნისტური საქართველოს ჰიმნი სამმა არისტოკრატული წარმოშობის ქართველმა დაწერა და ეს ჰიმნი კომუნისტური ესტონეთის ჰიმნთან ერთად არის დანარჩენი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ჰიმნისგან განსხვავებული იმით, რომ არც ერთგან და არც მეორეგან **სიტყვა არ არის ნახსენები რუს ერზე, როგორც გამათავისუფლებელსა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელზე!**

**— საბჭოთა სომხეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნებში რუსი ერი ნახსენებია?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: როგორც ლიტვისა და ლატვიის, ისე სომხეთის, აზერბაიჯანის, შუა აზიის რესპუბლკების, უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა ჰიმნებში საგანგებოდ არის მოხსენიებული **რუსი ერი, როგორც მხსნელი,** მაგრამ საქართველოსა და ესტონეთის ჰიმნებში ამას ვერ ვხედავთ.

### საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი
*(თავდაპირველი ვარიანტი)*

**იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ,**
**გმირთა კერა ხარ გაუქრობელი,**
**ქვეყანას მიეც დიდი სტალინი**
**ხალხთა მონობის დამამხობელი.**
**შენი ოცნება ასრულდა,**
**რისთვისაც სისხლი ღვარეო,**
**აყვავდი, ტურფა ქვეყანავ**
**ილხინე, ქართველთ მხარეო.**
**დიდი ოქტომბრის შუქით ლენინმა**
**შენ გაგინათა მთები ჭალარა,**
**სტალინის სიბრძნემ ძლევით შეგმოსა,**
**გადაგაქცია მზიურ ბაღნარად.**
**მოძმე ერების ოჯახში**
**დამკვიდრდი, გაიხარეო,**
**აყვავდი, ტურფა ქვეყანავ**
**ილხინე, ქართველთ მხარეო.**
**უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი**
**აზრი, ხმალი და გამბედაობა,**
**დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს**
**სჭედს სტალინური წრთობის თაობა.**
**საბჭოთა დროშა დაგნათის,**
**მზესავით მოელვარეო,**
**აყვავდი, ტურფა ქვეყანავ**
**ილხინე, ქართველთ მხარეო.**

### საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი
*(ხრუშჩოვის მიერ გადაკეთებული ვარიანტი)*

**იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,**
**გმირთა კერა ხარ განახლებული,**
**დიად პარტიის ნათელი აზრით**
**ლენინის სიბრძნით ამაღლებული.**
**შენი ოცნება ასრულდა,**
**რისთვისაც სისხლი ღვარეო,**
**მშრომელი კაცის მარჯვენით**
**აყვავებულო მხარეო.**
**დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა**
**შენ გაგინათეს მთები ჭალარა,**
**თავისუფლებამ და შემართებამ**
**გადაგაქციეს მზიურ ბაღნარად.**
**მოძმე ერების ოჯახში**
**ამაღლდი, გაიხარეო,**
**მეგობრობით და გმირობით**
**გამარჯვებულო მხარეო.**
**უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი**
**აზრი, ხმალი და გამბედაობა,**
**დღეს საქართველოს ნათელ მომავალს**
**სჭედს ლენინური წრთობის თაობა.**
**კომუნიზმის მზე დაგნათის,**
**კაშკაშა, მოელვარეო,**
**იდიდე მრავალჟამიერ,**
**ჩემო სამშობლო მხარეო!**

## სვიმონ მასხარაშვილი:

## სტალინს საბჭოთა კავშირი ევროკავშირის ტიპის გაერთიანებად ესახებოდა, სადაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკას თავისი სუვერენიტეტი უნდა ჰქონოდა!





## სტალინის გარდაცვალების შემდეგ ნაძირალა ხრუშჩოვმა საქართველოს ჰიმნი შეაცვლევინა და ტექსტიდან სტალინის სახელი ამოაღებინა.

ჰიმნის ახალ, დამახინჯებულ და გადაკეთებულ ვერსიაში უფრო მეტია საუბარი კომუნიზმზე, ასევე გაუკუღმართებულია საბჭოთა კავშირში საქართველოს არსებობის ფაქტი. კერძოდ, წერია, რომ თითქოს საქართველო საბჭოთა კავშირამდე „ამაღლდა“! ჰიმნის ტექსტის თავდაპირველ რედაქციაში საგანგებოდ აქვს ხაზი გასმული საქართველოს მრავალათასწლოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციასა და უძველეს კულტურას და ნათქვამია, რომ საქართველოსა და ქართველი კაცის „აზრი, ხმალი და გამბედაობა უხსოვარი დროიდან ბრწყინავდა!“

უფრო მეტიც, ჰიმნის დასაწყისში გარკვევით არის მინიშნებული, რომ ჩვენს სამშობლოს ვინმეს და, მათ შორის, რუსი ერის წინაშე სამათხოვრო, სახვეწარი და სამადლობელი არაფერი აქვს, პირიქით, **რუსეთმაც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც და მთელმა დანარჩენმა მსოფლიომ აქეთ უნდა გადაგვიხადონ მადლობა და ჩვენზე ილოცონ, რადგან ჩვენ ის ხალხი და ერი ვართ, რომელმაც „ქვეყანას მისცა დიდი სტალინი — ხალხთა მონობის დამამხობელი!“**

**— სხვათაშორის, საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თავდაპირველ ტექსტს რეფრენად გასდევს ცნობილი სტრიქონები „სოსელოს“, ანუ იმავე სტალინის მიერ სიყმაწვილეში დაწერილი საქვეყნოდ აღიარებული ლექსიდან „დილა“, სადაც „ივერთ მხარის“ ნაცვლად ჩაწერილია „ქართველთ მხარე“ და ლექსი ასე იკითხება — „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ქართველთ მხარეო!“**

— შეცვლილ ტექსტშიც კი გარკვევით წერია, რომ საქართველო **„მზიურ ბაღნარად“** რუსმა ერმა კი არ გადააქცია, როგორც ეს ესტონეთის გარდა დანარჩენი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნებშია ხაზგასმული, არამედ ჩვენი სამშობლოს წარმატების საფუძველია **„თავისუფლება და შემართება“...** მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მეორე ვერსიიდან ხრუშჩოვის ბრძანებით, სტალინის სახელი ამოშანთეს და ლენინის, ოქტომბრისა და კომუნიზმის „თემები“ შეჩურთეს, ეს აბსოლუტურად სუვერენული, ამაყი და თავისუფალი ერის ჰიმნია, რომელიც გაჟღენთილია ეროვნული ღირსების გრძნობით!

**— რა გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოსა და ესტონეთის გარდა ყველა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა რუს ერს მადლობას უხდიდა გადარჩენისა და სახელმწიფოებრიობის შექმნისთვის? ასეთი ჰიმნი სტალინმა გვაჩუქა?**

— გასაგებია, რომ სტალინის ინიციატივით მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბადა და შეიქმნა ასეთი ფრაზა — **„დიდი რუსი ერი, რომელმაც მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა!“** — მაგრამ ამ ფრაზას საქართველოში არავითარი გასავალი არ ჰქონია. ქართველმა კაცმა ყოველთვის იცოდა, რომ მისი სახელმწიფოებრიობა რუსეთის ისტორიის წიაღში არ დაწყებულა. ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ სტალინის სიცოცხლეში საბჭოთა საქართველოს ცეკა მხოლოდ ქართველებით იყო დაკომპლექტებული მაშინ, როცა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელ პოსტებზე ძირითადად რუსები სჭარბობდნენ. ნიკოლსკების ეპოქა საქართველოში სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**ისტორიკოსის თვალით ★**

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ ვასილი სტალინი თანამდებობიდან მამის სიცოცხლეში, თანაც, მისი ბრძანებით მოხსნეს. ზოგი ამის მიზეზად იმას თვლის, რომ ვასილის გამო საჰაერო აღლუმის დროს თვითმფრინავი ჩამოვარდა. სხვები სხვა ავიაკატასტროფას ასახელებენ, როდესაც სამხედრო-საჰაერო ძალთა ჰოკეისტების გუნდი დაიღუპა. მოგვიყევით, რა მოხდა სინამდვილეში?

**ვასილი სტალინი** თანამდებობიდან მამამისის ბრძანებით ორჯერ მოიხსნა — 1943 წელს, როდესაც **ვასილი პოლკოვნიკი** იყო და საავიაციო პოლკს მეთაურობდა და **1952 წელს,** როდესაც ის **მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალთა მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი გახლდათ.**

პირველად მოხსნის მიზეზი პოლკის ოფიცრების წამოწყებული თევზაობა გახდა. ისინი თევზს დინამიტით ხოცავდნენ, ამის შედეგად ერთი ოფიცერი დაიღუპა, ორი კი, მათ შორის **ვასილი,** დაიჭრა. **სტალინმა მაშინვე გაათავისუფლა შვილი თანამდებობიდან.** მისი საკუთარი ხელით დაწერილ ბრძანებაში ნათქვამია: **„დაუყოვნებლივ მოიხსნას პოლკის მეთაურობიდან პოლკოვნიკი ვ.ი. სტალინი და ჩემს განკარგულებამდე არცერთ სამეთაურო თანამდებობაზე არ დაიშვას. პოლკს და მის ყოფილ მეთაურს გამოეცხადოს, რომ პოლკოვნიკი სტალინი თანამდებობიდან ლოთობის და პოლკის გარყვნის გამო იხსნება.“** ეს ბრძანება **1943 წლის 26 მაისით** არის დათარიღებული, სექტემბერში კი თანამოსაგრეებმა დაიყოლიეს **სტალინი,** შვილი სამსახურში დაებრუნებინა.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, წითელი მოედნის თავზე საჰაერო აღლუმის დროს თვითმფრინავი მართლაც დაიღუპა, ოღონდ არა ცაში, არამედ ჩკალოვის აეროდრომზე დაშვებისას. საგანგებო კომისიამ დაადგინა, რომ ტრაგედია მფრინავის დაუდევრობით მოხდა — დაჯდომისას მან გაურკვეველი მიზეზით გამორთო მარჯვენა ძრავა. თვითონ აღლუმმა კი წარმატებით ჩაიარა და **ვასილი სტალინმა,** როგორც მისმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, სარდლობისგან მადლობა მიიღო.

**ჰოკეისტების გუნდი 1950 წელს, სვერდლოვსკში, თვითმფრინავის დაჯდომისას დაიღუპა. ვასილი** აქ არაფერ შუაშია. ტრაგედია დისპეტჩერის ბრალი იყო. მაშინ მთელი გუნდიდან მხოლოდ დისკვალიფიცირებული **ვინოგრადოვი** და **ვსევოლოდ ბობროვი** გადარჩნენ, რომელსაც დაეძინა და რეისს ვერ მიუსწრო.



ვასილი სტალინის პირველი მეუღლე გალინა ბურდონსკაია და ვაჟიშვილი საშა, 1943 წელი

თანამდებობიდან კი **ვასილი** სულ სხვა საავიაციო აღლუმის შემდეგ მოხსნეს, რომელიც ტუშინოში გაიმართა. აღლუმმა, როგორც ყოველთვის, წარმატებით ჩაიარა და სარდლობის მადლობა დაიმსახურა. გახარებულმა მეთაურმაც თანამოსამსახურეებთან ერთად კარგად გადაჰკრა. ზუსტად ამ დროს იგი სასწრაფოდ გამოიძახეს **მამასთან — სტალინმა** წარმატების აღსანიშნავად თავის აგარაკზე ავიაციის მთელი სამეთაურო შემადგენლობა შეკრიბა. **ვასილი** ყველაზე გვიან გამოცხადდა. მამამ მაშინვე შეატყო სიმთვრალე. **„მთვრალი ხარ,** — უთხრა სტალინმა, — **წადი აქედან.“ ვასილი** რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ **სტალინმა** გაიმეორა: **„ახლავე გაბრძანდი აქედან.“** ბანკეტის შემდეგ **სტალინმა** აგარაკზევე მოაწერა ხელი ბრძანებას შვილის პოსტიდან გათავისუფლების შესახებ და სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდალს, ავიაციის მარშალ ჟიგარევს მისი დაქვეითება და ყველაზე შორეულ გარნიზონში გაგზავნა უბრძანა. **მარშალმა გაჭირვებით დაიყოლია სტალინი, რომ ვასილი გენშტაბის აკადემიაში სასწავლებლად გაეშვათ.**

აკადემიაში **ვასილი სტალინი** დიდხანს არ დაყოვნებულა. იგი **1952 წლის სექტემბერში ჩარიცხეს, 1953 წლის მარტში კი შეიარაღებული ძალებიდან „ფორმის ტარების უფლების გარეშე“** დაითხოვეს. მიზეზი არ აუხსნიათ. იმავე წლის **28 აპრილს** იგი შეთხზული ბრალდებით დააპატიმრეს და 8 წელი ციხეში გაატარა. ბელადის უმცროსი შვილი **1962 წლის** მარტში ქ. ყაზანში გადასახლებაში ყოფნისას გარდაიცვალა. იგი 40 წლისა იყო.

## 1941 წლის 22 ივნისის მოლოტოვის ცნობილი გამოსვლიდან ყველამ ვიცოდით, რომ გერმანია თავს ომის გამოუცხადებლად, ვერაგულად დაგვესხა. ამასწინათ ხელში რიბენტროპის მოსკოვში გამოცემული წიგნი „ლონდონსა და მოსკოვს შორის“ ჩამივარდა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ გერმანული ჯარების მიერ საზღვრის გადაკვეთამდე მან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, საბჭოთა ელჩი გამოიძახა და შესაბამისი ნოტა გადასცა. ვის დავუჯეროთ – მოლოტოვს და საბჭოთა პროპაგანდას თუ რიბენტროპს?

მოცემულ შემთხვევაში იძულებული ვართ, გერმანელ მინისტრს ვერწმუნოთ. წიგნში, რომელიც **რიბენტროპმა ნიურნბერგის ციხეში** სიკვდილით დასჯამდე დაწერა, მართლაც დაწვრილებით არის აღწერილი, რომ **22 ივნისის ღამის 3 საათზე მან ვილჰელმშტრასეზე თავის კაბინეტში გამოიძახა საბჭოთა ელჩი ვლადიმერ დეკანოზოვი,** საზღვარზე საბჭოთა ჯარების კონცენტრაციის შესახებ განცხადება გააკეთა და აუწყა, რომ გერმანული მხარე იძულებულია, პრევენციული დარტყმა განახორციელოს. ამის შემდეგ ელჩს გერმანიის მთავრობის მემორანდუმი გადასცეს. ნახევარი საათის შემდეგ გერმანული არმიის ნაწილებმა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე საზღვარი გადაკვეთეს და ომი დაიწყო. **რიბენტროპის** ამ მონათხრობს მთლიანად ადასტურებს თარჯიმან **ვალენტინ ბერეჟკოვის** მოგონება. იგი დეკანოზოვს ახლდა თან და იხსენებს, რომ, როდესაც ფორმალური მხარე დამთავრდა და **დეკანოზოვი** მასთან ერთად კაბინეტიდან გადიოდა, რიბენტროპი შემდეგი სიტყვებით გამოედევნა: **„გადაეცით სტალინს, რომ მე ეს არ მინდოდა.“** დეკანოზოვი მისკენ არც კი მიბრუნებულა. ეს სახასიათო ეპიზოდი რიბენტროპის წიგნში არ შესულა.

მეტსაც გეტყვით. დაახლოებით იმ დროს, როდესაც სსრკ-ის ელჩი **ვილჰელმშტრასეზე** გამოიძახეს, მოსკოვში გერმანიის ელჩმა **გრაფმა ფონ დერ შულენბურგმა მოლოტოვს** მნიშვნელოვანი სამთავრობო განცხადებისათვის აუდიენცია სთხოვა. კრემლში დაბრუნებულმა **მოლოტოვმა სტალინს** აუწყა — **„გერმანიამ ომი გამოგვიცხადა.“** ასე რომ, ომი ოფიციალურად გამოცხადდა, თუმცა, ეს გამოცხადება, პრაქტიკულად, გერმანიის არმიის მასირებულ შეტევას დაემთხვა. ამასთან, თავდასხმა მართლაც ვერაგული გახლდათ, რადგან გერმანიამ მის მიერ დადებული თავდაუსხმელობის პაქტი დაარღვია. საგულისხმოა, რომ ორივე ელჩი — **დეკანოზოვიც** და **შულენბურგიც** — საკუთარმა მთავრობებმა იმსხვერპლეს. **შულენბურგი 1945 წლის იანვარში ჰიტლერის** წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით ჩამოახრჩვეს. **დეკანოზოვი კი 1953 წლის დეკემბერში დახვრიტეს, როგორც ბერიას უახლოესი თანამოაზრე.**




## მართალია თუ არა, რომ რუმინეთის ყოფილი ლიდერი ნიკოლაე ჩაუშესკუ ახალგაზრდობაში სისხლის სამართლის დამნაშავე იყო? რას აღარ წერენ ამ ჩაუშესკუზე, მისი სახელი უკვე საზოგადო გახდა. როგორ მოახერხა ბოროტმოქმედმა, სახელმწიფოს ხელმძღვანელი გამხდარიყო?

ამ ავანტიურის ისტორიამ ჩვენამდე **მოლოტოვის,** იუგოსლავიელი გენერლის **პეკო პოპივოდას** და სხვათა მონათხრობით მოაღწია: ომის დროს, დაახლოებით **1943 წელს, სტალინმა** ბრძანება გასცა, ბუქარესტის ფაშისტური ციხიდან რუმინელ კომუნისტთა თავკაცი **გეორგე გეორგიუ-დეჟი** გამოეხსნათ. საბჭოთა მზვერავებმა ციხის დაცვაში სუსტი რგოლი მოძებნეს, ერთ-ერთი გუშაგი პატიმრის გაქცევაში დახმარებას დაჰპირდა, მაგრამ საფასური ოქროთი მოითხოვა. ამ ოქროს ციხეში გადაგზავნა რთულ პრობლემას წარმოადგენდა. სწორედ ამ დროს ერთმა ჯიბის ქურდმა, რომელიც სასჯელს იმავე ციხეში იხდიდა და დამნაშავეთა სამყაროში ფართო ნაცნობობა ჰქონდა, ამ საქმეში შუამავლობა შესთავაზა.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. **გეორგიუ-დეჟი** მოსკოვში გადაიყვანეს, **1944 წელს კი, წითელი არმიის წარმატებული შეტევის შემდეგ, ოფიციალურად დაბრუნდა ბუქარესტში, როგორც პარტიის და სახელმწიფოს ლიდერი.** მან არ დაივიწყა ახალგაზრდა კაცი, რომელიც გაქცევაში დაეხმარა, მისი ბედით დაინტერესდა და აღმოაჩინა, რომ ის მორიგი ქურდობისათვის სახალხო ხელისუფლების დროსაც კვლავ ციხეში ყურყუტებდა. **დეჟმა** თავისი მხსნელის გათავისუფლება ბრძანა, სასწავლებლად გაუშვა, დროთა განმავლობაში კი რუმინეთის კომკავშირის ხელმძღვანელად დააწინაურა. ასე დაიწყო კარიერა ყოფილმა ჯიბგირმა, რომელმაც შემდგომში რუმინეთის „ტახტზე“ თავად **დეჟი** შეცვალა.

ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ამ კაცს ნიკოლაე ჩაუშესკუ ერქვა. მისი შემდგომი ბედი და ტრაგიკული აღსასრული ყველასათვის კარგად არის ცნობილი.



ნიკოლაე და ელენე ჩაუშესკუები

## გთხოვთ, ფელდმარშალ ფონ პაულიუსის დატყვევების დეტალები გვიამბოთ. ყვებიან, რომ მიწის ქვეშ მდებარე მის შტაბზე წითელი არმიის შეტევის წინ პაულიუსმა ერთი ბოთლი კონიაკი მოითხოვა და სულ დაცალა, რათა რუსებს ფხიზელი არ დანებებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ფელდმარშალი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც ბერიას აგენტებმა ცოლი, ოჯახის წევრები და საყვარელი ქალი ჩამოუყვანეს. მართლა ასე იყო?

ფელდმარშალი **პაულიუსის** დატყვევების დეტალები ასეთია: **1943 წლის 31 იანვარს** წითელი არმიის ნაწილებმა სტალინგრადის უნივერმაღის სარდაფს შემოარტყეს ალყა, სადაც გერმანელთა შტაბი იმყოფებოდა. სარდაფიდან დანებების ნიშნად თეთრი დროშა გამოფინეს და მეავტომატეთა ჯგუფი მაიორის მეთაურობით შიგნით შევიდა. შტაბში რამდენიმე გერმანელი ოფიცერი და შტაბის უფროსი — გენერალი **შმიდტი** იმყოფებოდნენ. **პაულიუსი** იქ არ იყო. საბჭოთა მაიორმა სარდლის ადგილსამყოფელი იკითხა. **შმიდტმა** მეზობელ ოთახში გამავალი კარი უჩვენა, სადაც პისტოლეტმომარჯვებულ **პაულიუსს** მიუსწრეს. ჩანს, ფელდმარშალს თავის მოკვლა სურდა. **მან „ვალტერი“ ხელში შეატრიალა და მაიორს გადასცა.** არ არსებობს არცერთი მოწმობა იმისა, რომ **პაულიუსი** ამ დროს მთვრალი იყო. სხვათაშორის, ფელდმარშლის დატყვევება კინოფირზეა აღბეჭდილი და იგი იქაც სავსებით ფხიზლად გამოიყურება.



**პაულიუსი** დიდხანს არ თანხმდებოდა რუსებთან თანამშრომლობას. ის, რომ მან გერმანელ ჯარისკაცებს **1944 წელს** დანებების მოწოდებით მიმართა, ფრონტზე არსებულმა მდგომარეობამ და ჰიტლერზე თავდასხმის ჩაშლამ განაპირობა. სიკვდილით დასჯილ შეთქმულებს შორის ბევრი მისი ახლო მეგობარი აღმოჩნდა.

**პაულიუსის** მეუღლე, ქალიშვილი და შვილიშვილები ჰიტლერის ბრძანებით დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ, მაგრამ ვერსია საბჭოთა მზვერავის მიერ მათი იქიდან გამოტაცების და რუსეთში ჩამოყვანის შესახებ უბრალოდ ლამაზი ლეგენდაა. სინამდვილეში აი, რა მოხდა. **ბერიას** უახლოესმა თანამოაზრემ, გენერალმა **ამაიაკ ქობულოვმა** ტყვე ფელდმარშალს, რომელიც ძალზე განიცდიდა ახლობლების ბედს, ცოლის წერილი გადასცა. **პაულიუსი** მართლაც განაცვიფრა საბჭოთა მზვერავების მოხერხებულობამ. მაგრამ **ქობულოვს** მისთვის ამ ოპერაციის დეტალები არ გაუმხელია. ისინი არც ჩვენ ვიცით. პაულიუსის ორი ვაჟიშვილი ფრონტზე იბრძოდა. ერთი დაიღუპა. მეუღლე, ქალიშვილი და შვილიშვილები **1945 წლის** გაზაფხულზე მოკავშირეებმა გაათავისუფლეს. თავად პაულიუსი გდრ-ში **1953 წლის** ოქტომბერში დაბრუნდა. იგი დრეზდენში ცხოვრობდა, სახალხო პოლიციაში (ფოლკსპოლიცაი) ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა. გარდაიცვალა **1957 წლის 1 თებერვალს.**


გენერალისიმუსი
2023 წლის 23 იანვარი. № 6-7 (174-175)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www.asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**
ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

„როდესაც სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოდიოდა, რა თქმა უნდა, რუსეთთან იყო შეთანხმებული და ედუარდ შევარდნაძემ მას, ფაქტობრივად, ხონჩით გადასცა ძალაუფლება, რომელიც საქართველოში ჩამოსულმა იგორ ივანოვმა უკურთხა!“



## შოთა აფხაიძე:

# რუსეთი იბრუნებს ტერიტორიებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა!

***უკრაინის პრეზიდენტმა სანქციები დაუწესა პირებს, რომელთა შორისაა სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი, „კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის“ დირექტორი, მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი შოთა აფხაიძე, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია:***

— დიახ, მოვხვდი უკრაინის სახელმწიფოს მიერ დაწესებულ იმ სანქცირებულთა სიაში, რომელსაც ხელი პირადად უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ მოაწერა. პერსონალური სანქციები ითვალისწინებს აქტივების ბლოკირებას, სავაჭრო ოპერაციებისა და უკრაინის ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვას და სხვა ღონისძიებებს. ამას გარდა, უკრაინის ხელისუფლებამ მიმართა ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩემ მიმართ ანალოგიური ღონისძიებები მათაც განახორციელონ. არადა, უკრაინის სპეცსამსახურები, რომლებმაც ჩემ შესახებ ინფორმაციები შეკრიბეს, ძალზე უსუსურები აღმოჩნდნენ — ჩემი მოქალაქეობაც კი ვერ დააზუსტეს და რუსეთის მოქალაქედ მომიხსენიეს.

**— რის გამო გადაგეკიდათ ზელენსკის ადმინისტრაცია? ან რად უწოდებთ უკრაინის ხელისუფლებას „საქართველოს მტერს?“**

— ისინი დასავლეთის სპეცსამსახურების ჩვეულებრივი ლაქიები არიან. ამას გარდა, უკრაინის ხელისუფლებას არამხოლოდ შეფარებული, არამედ მაღალი თანამდებობებით და სასათბურე პირობებით უზრუნველყოფილი ჰყავს ცნობილი ნაცი დამნაშავეები, რომლებმაც საქართველოში სისხლის ტბები დააყენეს. თუნდაც **გიორგი ლორთქიფანიძე** ავიღოთ, რომელიც დაზვერვის უფროსად ჰყავთ დანიშნული! პირადად მე ზელენსკის რეჟიმი ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებად მიმაჩნია.

**— თანამდებობიდან გადადგა ოლექსეი არესტოვიჩი, რომელმაც უნებურად აღიარა, რომ რაკეტა, რომელმაც დნეპროპეტროვსკში საცხოვრებელი კორპუსი ააფეთქა, რუსებმა კი არა, უკრაინის საჰაერო თავდაცვის სისტემამ ისროლა.**

— **ოლექსეი არესტოვიჩმა** რაკეტის ჩამოგდებასთან დაკავშირებით თავის განცხადებას მეორე დღესვე სერიოზული შეცდომა უწოდა და ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ ფაქტია, **ოლექსეი გონჩარენკოს და ოლექსეი არესტოვიჩის** მსგავს კლოუნებსაც შეიძლება წამოსცდეთ სიმართლე... ახლა ამ ჯამბაზებს შორის მიმდინარეობს შიდა ბრძოლა, ვინ დაეპატრონება რეჟიმის წიაღში მეტ ფულს და ძალაუფლებას. **არესტოვიჩს** ამ წამოცდენის გამო შეუქმნეს გარემოება, თანამდებობა დაეტოვებინა, თუმცა, თვითონაც სურდა წასვლა — ის ხომ უკრაინის პრეზიდენტის სკამის დასაკავებლად ემზადება და ეცდება, ზელენსკის შეცდომებს დროულად გაემიჯნოს.

**— ამასობაში, ალბათ, უკრაინაში ომიც დასრულდება?**

— არა. ეს ომი კიდევ წელიწადნახევარს მაინც გაგრძელდება, ვიდრე უკრაინელებს სრულად არ ამოეწურებათ რესურსები. რაც მთავარია, ამ ომის დასრულება ამ ეტაპზე არც ამერიკას აწყობს და არც — რუსეთს. ამერიკა მართულ ქაოსს ქმნის, უკრაინელი მეომრების სიცოცხლის ფასად ცდილობს რუსეთის დასუსტებას, რომელსაც თავისუფლად შეეძლო, დაეკავებინა კიევი და ხარკოვი, მაგრამ ეს არ გააკეთა. რუსულმა ელიტამ — **აბრამოვიჩმა, ფრიდმანმა, უსმანოვმა** — პუტინი აიძულა, ჯარები უკან გამოეყვანა, რადგან ეს სამხედრო ოპერაცია არ იყო მათთან შეთანხმებული და არ სურდათ მილიარდების დაკარგვა. რუსებმა უკრაინა მთლიანად რომ დაიკავონ და კონტროლის ქვეშ მოაქციონ, ბევრი საფიქრალი გაუჩნდებათ, თანაც, ეს გარემოება აუცილებლად გამოიწვევს დიდ კონფრონტაციას როგორც დასავლურ საფინანსო სისტემასთან, ისე რუს ოლიგარქებთან; ამასთან, ამხელა ტერიტორიის გაკონტროლება ძალიან რთული იქნება. ამიტომაც ჭიანურდება ეს ომი.

**— რუსეთის ვერტიკალში ამჩნევენ, რომ საქართველო თავს იკავებს ომში ჩართვისგან. არსებობს იმისი ალბათობა, რომ ომის ქარცეცხლმა საქართველოს მაინც გადაუაროს?**

— რუსეთის მხრიდან საქართველოს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება. იგი სხვადასხვა ჟესტით გამოხატავს კიდევაც თბილისთან ურთიერთობების მოწესრიგების სურვილს. *„ვხედავთ, საქართველო, როგორც სხვა ქვეყნები, როგორ განიცდის ზეწოლას დასავლეთის მხრიდან, რომელიც ითხოვს, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შეუერთდნენ. ის, რომ პატარა ქვეყანას და მის ხელისუფლებას ყოფნის გამბედაობა, თქვან, რომ საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს თავად უხელმძღვანელებენ — პატივისცემას იწვევს“,* — განაცხადა ბრიფინგზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა.** ასე რომ, რუსეთი მომხრეა, აღდგეს საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლა, არც დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგია და, პირდაპირ თუ ირიბად, აქამდეც არაერთხელ მიუნიშნებია ამის შესახებ, თუმცა, საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით ვერ ბედავს ამის გაკეთებას. რუსეთს არ სჭირდება საქართველოსთან კონფლიქტი, სამაგიეროდ, დასავლეთის რეაქციული ძალები მაქსიმალურად ცდილობენ, საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრიონ. ამ მიზნით მათ საქართველოში საიმედო აგენტურული ქსელი ეგულებათ ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილის სახით.

**— თუმცა, საქართველოში სააკაშვილს უკვე დასავლეთის კი არა, რუსეთის აგენტად მიიჩნევენ. ეს პოზიცია დედამისის ჩანაწერის გასაჯაროვების შემდეგ უფრო გამყარდა...**

— **როდესაც სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოდიოდა, რა თქმა უნდა, რუსეთთან იყო შეთანხმებული და ედუარდ შევარდნაძემ მას, ფაქტობრივად, ხონჩით გადასცა ძალაუფლება, რომელიც საქართველოში ჩამოსულმა იგორ ივანოვმა უკურთხა.** რუსეთთან იყო შეთანხმებული ის ცვლილებები, რაც სააკაშვილს უნდა განეხორციელებინა, მაგრამ ის გავიდა კონტროლიდან, მაკ-კეინის მეგობარი გახდა და ბუშის ადმინისტრაციის მითითებით მოამწიფა მოვლენები, რასაც შედეგად 2008 წლის აგვისტოს ომი მოჰყვა. სააკაშვილის გარშემო მუდამ ფუსფუსებდნენ რუსეთში მოღვაწე ქართველი ოლიგარქები, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იგი რუსეთის აგენტია. **სააკაშვილი არის ფსიქიკურად დაავადებული პირი, რომელსაც დასავლეთი ოპტიმალურად იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. თავის მხრივ, რუსეთმაც სათავისოდ გამოიყენა ის გარემოება, რაც სააკაშვილმა თავისი სიხარბით და თავდაჯერებულობით შექმნა.** ახლა, როცა სააკაშვილი პატიმრობიდან თავის დაღწევას ლამობს, იგი ბოლომდე გაშარჟდა რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში, თუმცა, საქართველოს ხელისუფლებას არ ყოფნის ვაჟკაცობა, თავდაჯერებულად აღუდგეს დასავლელ ლობისტებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ, ქართველ ხალხს თვალებში ნაცარი შეაყარონ და უამრავი მძიმე დანაშაულის ჩამდენი სააკაშვილი პატიმრობიდან გამოიხსნან. ამის მიუხედავად, საქართველოს მაინც არ გააჩნია ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივა.

**— უკრაინაში ომი აისახა თუ არა რუს საზოგადოებაზე? მოსკოვის ქუჩაში გამვლელს ეტყობა, რომ ომში ჩაბმული ქვეყნის მოქალაქეა?**

— რუსეთში დიდად არ იგრძნობა, რომ ქვეყანა ომშია ჩაბმული. დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა, 1993 წელს აფხაზეთში ქართველი ახალგაზრდების ნაწილი სიცოცხლეს რომ სწირავდა და ამ ფონზე თბილისის რესტორნებიდან ტაშ-ფანდურის ხმა გამოდიოდა! თუმცა, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას ომი ჯერ არ დაუწყია, ჯერ მხოლოდ საბრძოლო ოპერაციას ატარებს... რუსეთს უზარმაზარი რესურსი აქვს ომის ხანგრძლივად წარმოებისთვის. **როგორც მინიმუმი — ამ ომის დასრულების შედეგად რუსეთი დაიბრუნებს „მალოროსიას“, ანუ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა!**

**— არადა, ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ საქართველოსთვის ბედნიერი ხანა მას მერე დადგება, რაც რუსეთი ომში დამარცხდება. თქვენი აზრით, რა ელის საქართველოს ომში რუსეთის დამარცხების ან გამარჯვების შემთხვევაში?**

— მხოლოდ უგუნურს შეიძლება ეგონოს, რომ რუსეთის დამარცხების შემთხვევაში საქართველოსთვის პოზიტიური პერსპექტივები გამოიკვეთება! ჯერ ერთი, რუსეთი ისე არ ჩამოიშლება, რომ საქართველოზე კონტროლი სამუდამოდ დაკარგოს; ასეც რომ მოხდეს, საქართველო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება მის მიმართ აგრესიულად განწყობილი ისლამური ქვეყნების გარემოცვაში, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დაგლეჯენ და დაინაწილებენ! საბედნიეროდ, გამორიცხულია ამ ომში რუსეთის დამარცხება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



ვოლოდიმირ ზელენსკი და ვლადიმერ პუტინი



„ეს ომი კიდევ წელიწადნახევარს მაინც გაგრძელდება, ვიდრე უკრაინელებს სრულად არ ამოეწურებათ რესურსები!“

# ერეკლეს შურისძიება

*როცა ქართველ ფსევდოლიბერალთა ყიამყრალი გურუ ლევან ბერძენიშვილი ერეკლე მეფეს სამშობლოს მოღალატედ აცხადებდა, ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ქართველთა სათაყვანებელი გვირგვინოსნის ხატება ბედისწერასავით აედევნებოდა და მოსვენებას არ მისცემდა!*



## ქართველების საყვარელმა მეფემ ყვარლიდან ყიამყრალი ლევან ბერძენიშვილი გააბუნძულა!

ჰოდა, **ამა წლის 15 იანვარს ერეკლე მეფემ ლევან ბერძენიშვილი კახეთიდან, კერძოდ, ყვარლიდან გამოაბუნძულა,** სადაც იგი ილია ჭავჭავაძის შესახებ საჯარო ლექციის წაკითხვას აპირებდა.

**კახელებმა ბერძენიშვილის ავტომობილს გზა გადაუკეტეს და ერეკლე მეფის მოღალატედ შემრაცხველს საშუალება არ მისცეს, ყვარლის „ევროკლუბში" შესულიყო.**

როგორც ყვარლის „ევროკლუბის" ხელმძღვანელმა **ნიკა ბურინმა** განაცხადა, ბერძენიშვილს უნდა წაეკითხა ლექცია თემაზე **„ილია და აქტივიზმი".**

დაუკვირდით ლექციის თემას — **„ილია და აქტივიზმი".**

მარტო სახელწოდებაც ცხადყოფს, რომ ბერძენიშვილის ლექცია იმ „ოპერიდან" უნდა ყოფილიყო, რომელიც თანამედროვე ქართველ კვაზილიბერალთა მიერ ილია ჭავჭავაძის მისაკუთრებასა და თანამოაზრედ გამოცხადებას გულისხმობს. **ვითომ ილია ისეთივე ლიბერალი იყო, როგორებიც ბერძენიშვილი, ბოკერია, ჩერგოლეიშვილი, მშვილდაძე და სხვა ნაც-გეი-აქტივისტები არიან.** ანტიეროვნული, ანტიეკლესიური, ანტიტრადიციული, ე.წ. ლგბტ თემის უფლებების დაცვასა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ორიენტირებული იდეოლოგია, რომლის ადეპტებსაც ზემოხსენებული გვამები წარმოადგენენ, ვითომ ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიაა და ილია რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, ბერძენიშვილისა და ბოკერიას, მშვილდაძისა და ჩერგოლეიშვილის, ბაია პატარაიასა და ეკა გიგაურის თანამზრახველი იქნებოდა...

თუმცა, ეს იქით იყოს!

**ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლევან ბერძენიშვილი ყვარლიდან მეფე ერეკლემ გამოაგდო!**

**მეფე ერეკლემ ბერძენიშვილს კიდევ ერთხელ დაანახვა და აგრძნობინა — ჩემი საქართველოს მოღალატედ გამოცხადება რომ მოინდომე, ეს ამბავი ასე ადვილად არ ჩაგივლისო!**

აკი, კახელები, რომლებიც ყვარელში ბერძენიშვილს დაუხვდნენ და ლექციის წაკითხვის საშუალება არ მისცეს, ხაზგასმით სკანდირებდნენ — **პაპა ერეკლეს შვილიშვილები ვართო!**

მარტო კახელები კი არა, ყველა პატრიოტი და პატიოსანი ქართველი თავს პაპა **ერეკლეს შვილიშვილად,** იმის სულიერ შთამომავლად მიიჩნევს და, ბუნებრივია, ბერძენიშვილს სადაც წააწყდება, იქ მოსთხოვს პასუხს სამშობლოსთვის სისხლდანთხეული და მრავალტანჯული მეფის შეურაცხყოფის გამო.



მთავარია, რომ ეს მშვიდობიანი, არაძალადობრივი და კანონიერი ფორმებით მოხდეს, როგორც 15 იანვარს ყვარელში იყო — **ბერძენიშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფა არავის მიუყენებია და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისთვის არც კარგად ცნობილი კახური „ცხრასართულიანები" მიუძღვნიათ.**

**უბრალოდ,** ავტომობილს გადაუდგნენ და არ გაატარეს!

**უბრალოდ,** აიძულეს, უკან გაბრუნებულიყო!

**უბრალოდ,** დაანახვეს, რომ მეფე ერეკლეს მოღალატედ გამომცხადებელს არც იმის მორალური უფლება აქვს, ილია ჭავჭავაძის სახელს ამოეფაროს, მითუმეტეს, რომ ბერძენიშვილი ერთ დროს ილიას სახელსაც ცუდად ატრიალებდა.

გაიხსენეთ მისი ნათქვამი: **„ილია ჭავჭავაძეს — ასეთ ქართველ მწერალს არ ვიცნობ!"**

სამაგიეროდ, ბერძენიშვილი **„აქტივისტ ილია ჭავჭავაძეს"** იცნობს და ამიტომ აპირებდა ყვარელში — ილიას მშობლიურ ქალაქში წაეკითხა ლექცია **„ილია და აქტივიზმი".**

მაგრამ **პატარა კახმა** არ დაანება!

**ქართველების საყვარელმა მეფემ ყიამყრალი ლიბერალი ყვარლიდან გააძევა!**





ცხადია, **ლევან ბერძენიშვილს** ცოცხალი თავით არ სურს იმის აღიარება, რომ კახეთიდან მის მიერ მოღალატედ შერაცხილმა **მეფე ერეკლემ** უკუაქცია და თითს ხელისუფლებისაკენ იშვერს — **„ქართულმა ოცნებამ" მარგინალური, ე.წ. პრორუსული ჯგუფები მომიქსია და ლექცია ჩამიშალაო!**

საერთოდ, ბერძენიშვილს სჩვევია, რომ საქართველოს პატრიოტი მოქალაქეების მიერ მის მიმართ გამოთქმული ყოველი პროტესტი თუ უკმაყოფილება ხელისუფლებას დააბრალოს; თითქოს ეს ყიამყრალი ლიბერალი სანთელივით წმინდა კაცია, ქვეყანაზე მაგინებელი არ ჰყავს და თუ ვინმე სადმე ფხას გამოუჩენს, ის აუცილებლად ვიღაცის დაქირავებული ან წაქეზებული უნდა იყოს.

მაგალითად, **ასე იყო 2019 წელსაც, როცა ბერძენიშვილს ნავთლუღის ბაზრობაზე, ერთ-ერთ მაღაზიაში, შხამქიმიკატი არ მიჰყიდეს და კარისკენ მიუთითეს — თქვენნაირ ნაძირალებს არ ვემსახურებითო!** ეს ამბავი სოციალურ ქსელში თავად ბერძენიშვილმა გაახმაურა: ***„ნავთლუღში, აგროსერვისის მაღაზიაში გამყიდველმა თუ მეპატრონემ ლოკოკინებთან საბრძოლველი ქიმიკატი არ მომყიდა, თქვენისთანა ნაძირალებს არ ვემსახურებით. მოსალოცად გაქვთ საქმე, ამხ. ქოცებო!"*** მანვე გამოაქვეყნა ვიდეოც, რომელშიც ჩანს, რომ ახალგაზრდა მამაკაცი მაღაზიის კარს აღებს და ბერძენიშვილს ეუბნება — ***„გაბრძანდით, თქვენისთანა ნაძირალებს არ ვემსახურებით!"***

მაშინ, 2019 წელს, ლევან ბერძენიშვილს **ერეკლე მეორე** ჯერ კიდევ არ ჰყავდა გამოცხადებული საქართველოს მოღალატედ, მაგრამ უამრავი სხვა ანტიქართული შხამის გადმონთხევა კი ბლომად მოესწრო და მაღაზიაში შხამქიმიკატი ამიტომაც არ მიჰყიდეს.

ვერაფერს იტყვი, **ერთობ უწყინარი და უვნებელი პროტესტის ფორმაა: ბერძენიშვილსა და მისნაირებს მაღაზიაში — გამყიდველი, რესტორანში — მიმტანი, სადალაქოში — დალაქი, ვულკანიზაციაში — ხელოსანი, ბენზინგასამართ სადგურზე — ოპერატორი, ბანკში მოლარე არ მოემსახუროს და ასე გასცეს პასუხი მის ანტიქართულ ყიამყრალობას!** დიახ,

**ბერძენიშვილმა ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, უნდა გადაიხადოს მორალური ფასი ერეკლე მეფის მოღალატედ გამოცხადებისა და ყველა იმ ანტიქართული, ქართველი ერის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი განცხადებისა თუ ქმედებისათვის, რაც აქამდე უკადრია და რასაც მომავალშიც არაერთხელ იკადრებს!**

ახლა მე-18 საუკუნე რომ იდგეს, ბერძენიშვილის მიერ შეურაცხყოფილი **ერეკლე მეორე** მასზე სულ სხვანაირად იძიებდა შურს, მაგრამ დიდმა მეფემ თავის მაგინებელს 21-ე საუკუნისთვის შესაფერისი მეთოდი დაუპირისპირა — **გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, არაძალადობრივი მეთოდით გააბუნძულა კახეთიდან!**

**როგორც ჩანს, პატარა კახის მაგინებელი ბერძენიშვილისათვის კახეთში მხოლოდ ერთადერთი ადგილია გამოყოფილი და ნებადართული — საზოგადოებრივი ტუალეტი თელავის ცენტრში, სადაც კახელებმა მისი გადიდებული და ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი ჩამოკიდეს!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



კუვეიტს აქვს **ნავთობის საბადო,** ჩვენ გვაქვს **მოღალატეების საბადო,** ამოდის და ამოდის.

„TV იმედი"

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას" დამფუძნებელი*



**გუბაზი გულს გვფხანსო!** ამიტომ დაატარებენ **შილაფლავივით** ოპოზიციური არხები.

„აიპრესი"

**ელიზბარ ჯაველიძე**
*ანალიტიკოსი*



ანეკდოტია, როცა დამნაშავე **რურუა,** რომელსაც გამსახურდიას ხელისუფლების დროს არაერთი საზარელი დანაშაული აქვს ჩადენილი და კრიმინალია, **ვანო მერაბიშვილისკენ** ხელს იშვერს და **რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას აბრალებს.** ახლა გახდა მიუღებელი მერაბიშვილი, რომელიც **სააკაშვილის დანაშაულებრივი სისტემის არქიტექტორია** და მთელი მისი ხელისუფლება ამ კაცს ეყრდნობოდა?

„რეზონანსი"

**გიორგი რურუა**
*ტელეკომპანია „მთავარის" ერთ-ერთი მფლობელი*



პირად საუბრებში ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან **მერაბიშვილი მიშა სააკაშვილს აბრალებდა ომის დაწყებას.** დიდი ეჭვი არსებობს მისი და **რუსული სპეცსამსახურების** ურთიერთობის შესახებ.

„აიპრესი"

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს" ლიდერი*



ნაციონალური მოძრაობა **მიდის თუ არა პოლიტიკური დასასრულისკენ,** ეს არის დამოკიდებული იმაზე, ნაციონალური მოძრაობა რა არჩევანს გააკეთებს და ვის სასარგებლოდ. **ვანო მერაბიშვილის** სასარგებლოდ თუ გააკეთეს არჩევანი, რა თქმა უნდა, **აბსოლუტური პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება.**

„ინტერპრესნიუსი"



# ხაბეიშვილის გადმოტრიალება

***17 იანვარს ლევან ხაბეიშვილმა საქართველოს გადარჩენის ფორმულა გამოიგონა და გამოგვიცხადა — რევოლუციური ცვლილებების გარეშე, ქვეყნის გადმოტრიალების გარეშე, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთისკენ გადაატრიალეს, მომავალი არა გვაქვსო!***

მოკლედ, თუ ამ 32 წლის წინათ ჯაბა, გოგა, ირინა, გიორგი, თენგიზი, მეორე თენგიზი, ელდარი, გოგია და მათი დამქაშები საქართველოს ხსნას **ქვეყნის გადატრიალებასა** და ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ხედავდნენ, რაც მათ რუსეთ-ამერიკის მხარდაჭერითა და ლოცვა-კურთხევით აღასრულეს კიდეც, **ხაბეიშვილი, მერაბიშვილი და კეზერაშვილი** საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ **გადმოტრიალება** გვიშველის!

ხაბეიშვილს რომ ტვინი მართლაც **გადმოტრიალებული** აქვს და ინტელექტის ნასახი არ გააჩნია, ცხადია, მაგრამ მისმა ნაბჟუტურებმა შეუძლებელია, არ გაგვახსენოს ქვეყნის მართლაცდა **მთავარი გადამტრიალებლის — შევარდნაძის** ცნობილი განცხადება, რომელიც ედუარდ ამბროსოვიჩმა პარლამენტში გამართული საგანგებო ბრიფინგის დროს გაავრცელა — **ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში გადატრიალდესო!**

მზისქვეშეთში არავის ისე ზუსტად არ აღუსრულებია შევარდნაძის ეს ანდერძი, როგორც სააკაშვილს. მართლაც, **როგორც კი შევარდნაძის ერთგული მოწაფე დარწმუნდა, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების გეგმა ჩაფლავდა,** კლინიკა „ვივამედის“ ლოგინში **ისე გადატრიალდა,** რომ ქალბატონი **ლიზა იასკოც გადმოატრიალა** და მშვენიერი **ჟასმინი** შექმნა!

ხაბეიშვილის მიერ გაჟღერებულმა **„გადმოტრიალებამ“** შეუძლებელია, არ გაგვახსენოს ჩემი კოლეგის **გელა ზედელაშვილის** მიერ წლების წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ერთი გეგმური ნაკვესი, სადაც იგი ჩვეული ენაკვიმატობით მოუთხრობდა საზოგადოებას, რომ **თვითგამოცხადებული ჟურნალისტი და სპეცსამსახურის ნომრიანი აგენტი ელისტრაკო კილაძე** თბილისის აეროპორტში გასკვანჩეს, **გადმოატრიალეს** და პაჭანიკებიანი ნიფხვიდან სულ დოლარების „პაჩკები“ ამოუღეს!

გელას ყალამმა, რომელმაც ნამდვილი ამბავი კომიკურ ფერებში ააჟღერა, ბუნებრივად გაგვახსენა ცნობილი სცენა კინოშედევრიდან **„ეს არის შეშლილი შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“,** სადაც ფულზე გაგიჟებულ სიდედრს ამოატრიალებენ, დაფერთხავენ და გასაღებს, რომელიც ძუძუკებში დამალა, ოსტატურად გააგდებინებენ.

პოზას, რომელშიც ეს გრძელნიფხვიანი ამერიკელი მსახიობია გადაღებული, **ამოტრიალება** ჰქვია. ამ პოზაში **ელისტრაკო კილაძეს** თბილისის აეროპორტში ვერაფრის დიდებით გაჩხრეკდნენ, რადგან მაშინ ეს ადამიანის მსგავსი არსება დაახლოებით 200 კილო მაინც იყო და ორი პოლიციელი ამოდენა ნეხვის კასრს ვერ აწევდა. ამიტომ **ზედელაშვილის** ვერსია **ელისტრაკოს „გადმოტრიალების“ შესახებ** უფრო ლოგიკური და სწორია. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხანს **ქუთაისში, საღორიის ტყეში, მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს** გაკვირვებული მუშები მხრებს იჩეჩენ, რადგან ვერაფრით აუხსნიათ ის ამბავი, რომ თითქმის ყოველი ხის ძირას პოულობენ ქალის „კრუჟაოიან“ ნიფხავს. **საკვირველი ამ ამბავში ის არის, რომ ოდესღაც დამარხული და ახლა უკვე ამოტრიალებული ნიფხვების ზომები არაადამიანურად დიდია, რაც იმის პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ ოდესღაც ქუთაისში მოსიარულე რომელიღაც არაადამიანი სწორედ ამ ნიფხვებით დადიოდა!**



კადრი ფილმიდან „ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“

ახლა კი მივუბრუნდეთ დუნდუკი **ლევან ხაბეიშვილის** მიერ დაგეგმილ **გადმოტრიალებას...** გავრცელებული ინფორმაციით, **ლევან ხაბეიშვილს** ხელებაპყრობილი ლოცავს **გიული ალასანიაც — ნუ გეშინიათ, ამ სიბერეში მეც გადმომატრიალეს, მაგრამ ხომ ხედავთ, იმის შემდეგ ქარივით დავქრივარო!**

მთელი ამ ისტორიის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ **გადმოტრიალება** არამხოლოდ ქალებს, არამედ შესაძლოა, კაცებსაც მოუწიოთ და ეს წყევლაკრულვიანი პროცედურა სწორედ ნაცმოძრაობიდან დაიწყოს! ასე, მაგალითად, **თუ დღეს ნაცმოძრაობაში ერთმანეთის „კეთილების“, „კარგებისა“ და „დედების“ ამოტრიალებით არიან დაკავებული, ვინმე გამორიცხავს იმას, რომ დაგეგმილი შიდა არჩევნების შემდეგ, რომლის შედეგებიც უკვე გაყალბებულია, ნიკანორ მელიამ ლევან ხაბეიშვილი ან ვანო მერაბიშვილი გადმოატრიალოს?**

ვფიქრობთ, ამის საფრთხე რეალურია!

ამიტომ **ხაბეიშვილსაც და მერაბიშვილსაც** ვურჩევთ, ზოომაღაზიაში **„კატის პრობკა“** იყიდონ და არჩევნების შემდეგ ყოველი შემთხვევისთვის „ერთი ადგილი“ ცოტა ხნით მაინც დაიცონ, რადგან **მოსალოდნელი გადმოტრიალებისას** ის არ დაემართოთ, რის გაკეთებასაც გათახსირებულ **თემურ უზნიას** 35 ლარად ყოველდღე ავალებდნენ.



**ხაბეიშვილსაც და მერაბიშვილსაც ვურჩევთ, ზოომაღაზიაში „კატის პრობკა“ იყიდონ და არჩევნების შემდეგ ყოველი შემთხვევისთვის „ერთი ადგილი“ ცოტა ხნით მაინც დაიცონ!**

აი, ეს ფიქრები აღგვიძრა ამასწინათ გაჟღერებულმა **„გადმოტრიალების“** თემამ, რომელიც საქართველოს ამჯერად ვერავითარ საფრთხეს ვერ შეუქმნის, რადგან **გადატრიალების** ბოროტ და გავლენიან მამამთავართაგან განსხვავებით, **გადმოტრიალების** ავტორი **ლევან ხაბეიშვილი** კეზერაშვილის მიერ ნაყიდ დრაფის პალტოში გამოწყობილი გიჟია!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატი*



რევოლუციური ცვლილებებისა და **ქვეყნის გადმოტრიალების** გარეშე არაფერი გამოვა.

„რეზონანსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**ხაბეიშვილის მხარემ გაავრცელა ჩანაწერი,** სადაც **მელია** აგინებს **სააკაშვილს.** საპასუხოდ **მელიას მხარემ გაავრცელა ჩანაწერი,** რომ **სააკაშვილი** გინების ღირსი იყო.

**ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის რუსულ ინტერესებზე ასხამდა წყალს!**

„კვირის პალიტრა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**მელიამ მერაბიშვილი და კეზერაშვილი** თავდაცვის პოზიციაში ჩააყენა, ჯერ „ხალასტოის“ გაუშვებს, შემდეგ ათიანში გაარტყამს. **მელია** კიდევ ბევრ რამეს იტყვის.

„რეზონანსი“

**მირდატ ქამადაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



რომელ **ლევან ხაბეიშვილს** უნდა დავუჯერო? რომელიც თავის დროზე პარტიიდან წავიდა და **ლანძღავდა მთელ ნაციონალურ მოძრაობას,** თუ რომელიც გვეუბნება **ნაციონალური მოძრაობის დნმ მაქვსო?**

„TV პირველი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ნაციონალებს რევოლუციის მოწყობა რომ შეეძლოთ, აქამდე ათჯერ მოაწყობდნენ. **ხაბეიშვილი** იქნება, **მელია, მერაბიშვილი თუ კეზერაშვილი** ნაცების თავმჯდომარე, მნიშვნელობა არა აქვს.

„ახალი თაობა“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში დაწვრილებით ყვება, როგორ მოაცურეს და გააპანღურეს ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან! მას შემდეგ, რაც, მისივე თქმით, **პრეზიდენტმა პოროშენკომ** ის, როგორც ოდესის გუბერნატორი, გამოიყენა **პრემიერ იაცენიუკის** თანამდებობიდან გადასაყენებლად, მისი ჯერიც დადგა:

***„26 მაისის დილას, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დარწმუნებული ვარ, თარიღი შემთხვევით არ შეურჩევიათ, საოლქო ადმინისტრაციის შენობაში დამხვდნენ ნიღბიანები, რომელთაც უკვე დაელუქათ რამდენიმე კაბინეტი ჩემი კაბინეტის გარშემო და იქაურობას ჩხრეკდნენ. როგორც მათ ამიხსნეს, ეძებდნენ თემურ ნიშნიანიძის დოკუმენტაციას. თემურ ნიშნიანიძე ამ დროისთვის უკვე აღარ მუშაობდა ჩემთან, თუმცა, თავდაპირველად მართლაც მეხმარებოდა საოლქო ადმინისტრაციაში. თავის დროზე ის იყო საქართველოს გენერალური კონსული ოდესაში და, როგორც სპეცრაზმის ხელმძღვანელმა განმიმარტა, ეძებდნენ მის მიერ საგადასახადო კოდექსის დარღვევის კომპრომატებს და ეს შეეხებოდა 2007-2008-2009 წლებს“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 299).*

მემუარისტი, რა თქმა უნდა, ვირეშმაკობს — პროკურატურა სწორედ გუბერნატორის ფინანსურ მაქინაციებს ქექავდა ადგილობრივ საპენსიო ფონდთან დაკავშირებით!

რაც შეეხება სააკაშვილისთვის ჩვეულ მისტიფიკაციას და დრამატიზებას, 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — **სპეციალურად დაამთხვიეს ჩემს ოფისში ნიღბიანი ძალოვნების შემოვარდნაო** — ეს სასაცილოც აღარ არის, რადგან უკრაინაში სააკაშვილის გარდა საქართველოს არავინ ებრძოდა!

ეს 2016 წელი იყო და სააკაშვილს უკვე გაყიდული ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა ოდესის ოლქის გუბერნატორის სავარძელში!

მოკლედ, სააკაშვილმა **პოროშენკოს** დაურეკა ვითარების გასარკვევად. მან კი კიევში ჩასვლა შესთავაზა, გენერალურ პროკურორ **ლუცენკოსთან** ერთად გავარკვიოთ ყველაფერიო. სააკაშვილი ასე აღწერს შეხვედრას პრეზიდენტის კაბინეტში, გენპროკურორის თანდასწრებით:

***„ლუცენკომ ძალიან მშვიდად მიპასუხა: ჩვენ ვიცით, მიშა, რომ მალე საქართველოში არჩევნები გექნება. რა თქმა უნდა, თუ შენ წახვალ და ჩამოსცილდები უკრაინის პოლიტიკას, ალბათ, მიგვიხვდი და გესმის, რომ ამ საქმეს არა აქვს პერსპექტივა. თუ ამას არ აპირებ და აქ გინდა კვლავ განაგრძო პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურობა და პრობლემების შექმნა, მაშინ შესაბამისი იქნება რეაგირებაც.*** *ამას ლუცენკო მეუბნებოდა პოროშენკოს თვალწინ, რომელიც, უბრალოდ, ჩუმად იყო და კვერს უკრავდა ლუცენკოს. რასაკვირველია, ასეთი მზაკვრობა ვერ მოვითმინე და პოროშენკოსთან მუშაობის პერიოდში პირველად ავუწიე ხმას. მივახალე ორივეს:* ***თქვენ ეტყობა, ვერ ხვდებით, რომ, პრაქტიკულად, იანუკოვიჩის გზას ადგახართ, ის, რასაც თქვენ აკეთებთ, სისხლის სამართლის ყალბი საქმეების აღძვრას, ამ საქმეებით ვაჭრობას და შანტაჟს, ეს არის ზუსტად ის, რასაც აკეთებდა იანუკოვიჩი და მან, როგორც იცით, ძალიან ცუდად დაამთავრა და თქვენც არაფერი გელოდებათ კარგიმეთქი“*** *(იქვე, გვ. 300).*

ანუ, თუ სააკაშვილს დავუჯერებთ, ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან გაპანღურების შემთხვევაში, ის პოროშენკოს რევოლუციით დაემუქრა!

ცალკე განხილვის თემაა ისიც, რომ სააკაშვილი ცოცხალი თავით არ ჩამოდიოდა საქართველოში, როგორც გენპროკურორმა **ლუცენკომ** შეახსენა, **საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია და იქნებ შენს გზას ეწიო და ჩვენც დაგვასვენოო!**

მოკლედ, რამდენიმე თვეში **სააკაშვილი** მაინც გააპანღურეს ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან და მანაც, დაპირებისამებრ, დაიწყო რევოლუციური მზადება — შექმნა პარტია **„მემარჯვენე ძალთა კავშირი“** და ერთ-ერთ უკრაინულ ოპოზიციურ არხზე სატელევიზიო გადაცემის წამყვანობაც იკისრა პრეზიდენტ **პოროშენკოს** პირდაპირ ეთერში საგინებლად:

***„ერთ-ერთი მოქმედი მებრძოლი უკრაინის შეიარაღებული ძალებიდან მოვიდა ჩემთან გადაცემაში, მოითხოვა სიმღერა და იმღერა სიმღერა პოროშენკოზე პირდაპირ ეთერში, „პოროშენკო — შოკოლადის უკანალი“. ვფიქრობ, ეს იყო ბოლო წერტილი, რამაც პოროშენკოს გადააწყვეტინა, შემდეგი ნაბიჯები გადაედგა. ამ გადაცემიდან ორი კვირის შემდეგ არხის დირექციამ დახურა ჩემი თოქ-შოუ, ხოლო კიდევ ათიოდე დღის შემდეგ გავემგზავრე ამერიკაში. მინდოდა მეგობრების მონახულება, მაგრამ ასევე რამდენიმე შეხვედრა მქონდა დანიშნული ამერიკის კონგრესში სენატორებთან, კონგრესმენებთან. იქ მალევე შევიტყვე, რომ უკრაინის მოქალაქეობა ჩამომართვეს“*** *(იქვე, გვ. 303).*

ამის შემდეგ მემუარისტი დაწვრილებით აღწერს, როგორ ჩაფრინდა ამერიკიდან პოლონეთში, სადაც პოლონეთის ხელისუფლების დახმარებითა და **პრეზიდენტ პოროშენკოსთან** დაპირისპირებული უკრაინის ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით, პოლონეთ-უკრაინის საზღვართან მობილიზებული ასობით აქტივისტის ფიზიკური ძალით, როგორც იტყვიან, საზღვარი გაარღვია და შეიჭრა ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებამ მოქალაქეობა ჩამოართვა:

***„ჩვენი მომხრეების ერთმა ნაწილმა გამოარღვია მესაზღვრეების სპეციალური კორიდორი და გამოემართნენ ჩვენკენ. ცხადია, მესაზღვრეები ვერ შეაჩერებდნენ მათ. ამ დროს დაბნეულმა იულია ტიმოშენკომ შემომხედა და მითხრა: ახლა რა უნდა ვქნათ, მიშა! მივუგე: იულია, რა უნდა ვქნათ, არაფერი, უბრალოდ, უნდა წავყვეთ ხალხს, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, ამის გარდა.***

*ხალხმა ხელში აყვანილნი გადაგვიყვანა უკრაინაში და მე აღმოვჩნდი, პრაქტიკულად, ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში...* ***ეს სიტუაცია: ხელში აყვანა, გარღვევა ძალიან ჰგავდა „ვარდების რევოლუციის“ რაღაც მომენტებს და ჩემზე ძალიან ამაღელვებლად იმოქმედა ხალხის შეძახილმა: „მიშა-მიშა“ სუფთა ქართულ ვარიანტში, მაგრამ ესენი იყვნენ უკრაინელები“*** *(იქვე, გვ. 307).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილს მაშინაც რევოლუცია ელანდებოდა, მაგრამ ის უკრაინის ხელისუფლებამ სახელმწიფო საზღვრის დამრღვევ დამნაშავედ გამოაცხადა და სამართალდამცავ ორგანოში დაიბარა! თუმცა, სააკაშვილი ქალაქიდან ქალაქში დადიოდა, ანტისახელისუფლებო მიტინგებს ატარებდა და არ მიდიოდა დაკითხვაზე!

ბოლოს, სპეცრაზმის დახმარებით, ის კიევის ცენტრში, საკუთარ მდიდრულ აპარტამენტებში აიყვანეს — უფრო ზუსტად, სახურავზე ამძვრალი ჩამოათრიეს! და რაოდენ საცნაურია, რომ კიევის ციხეში ჩაყუდებულმა **სააკაშვილმა** შიმშილობა დაიწყო:

***„პირველივე დღიდან გამოვაცხადე შიმშილობა, თუმცა, ხუთი დღე, რომელიც იქ დავყავი და ვშიმშილობდი, პატიმრებისთვის აღმოჩნდა სასიამოვნო, რადგან რაციონში უცებ გაჩნდა ქაბაბი, კარგი მწვადები, როგორც ამბობენ ხინკლებიც, შებრაწული კარტოფილი და ბევრი სხვა დელიკატესი, რომლებსაც სიზმრად თუ ნახავენ პატიმრები. განუწყვეტლივ ცდილობდნენ ჩემს ცდუნებას საჭმლით, მოჭქონდათ და მაძალებდნენ, რამე მეჭამა“*** *(იქვე, გვ. 314).*

სხვათაშორის, აქ სააკაშვილი პირდაპირ წერს, ყველაზე მეტად რამ შეაშინა და დათრგუნა პატიმრობისას:

***„ციხეში ყველაზე ძნელია, როდესაც ღრჭიალებს გასაღებები და ღრჭიალებს კარები, მუდმივად გიყურებს ბადრაგი იქედან და, რა თქმა უნდა, მუდმივი კონტროლი საბოლოო დათრგუნვისკენაა გამიზნული.***

***მართალია, იქ მხოლოდ ხუთი ღამე ვიყავი, მაგრამ განვიცადე საბჭოთა ციხის სრული კოშმარი, თან პერსონალი ლაპარაკობდა მხოლოდ რუსულად, პრაქტიკულად, უკრაინულად სიტყვას ვერ გაიგონებდით. ეს ისეთი განცდაა, თითქოს უკრაინაში კი არ ხარ, არამედ რუსეთში“*** *(იქვე, გვ. 314).*

მაგრამ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დასავლეთის ზეწოლით, სასამართლომ სააკაშვილი მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმით გამოუშვა გარეთ!

ჰოდა, ამის შემდეგ **პოროშენკოს** ერთადერთი გზა დარჩა — სააკაშვილი გაეპანღურებინა იქ, საიდანაც შემოაპანღურეს უკრაინაში — პოლონეთში!

სააკაშვილი ასე აღწერს ამ ბოლო დაკავებას და უკრაინიდან გაძევებას:

***„მათ მტაცეს ხელი, თმებით მითრიეს, ხელები ამომიტრიალეს, ჩამტენეს მანქანაში. უნდა გითხრათ, რომ ძალიან ეჩქარებოდათ, რადგან პოლიციის დაცვა არ ჰყავდათ, პრაქტიკულად, ბანდიტური თავდასხმა იყო... ისინი კერძო დაცვის სამსახურიდან იყვნენ. რამდენჯერმე თავზე დამახტნენ და კისერში ისე წამიჭირეს ხელი, ორჯერ დავკარგე გონება. მიმიყვანეს ვერტმფრენის მოედანზე. ორი ვერტმფრენით ავფრინდით, თან თავზე ჩამომაცვეს ქუდი და მუდმივად მინათებდნენ ფარანს. ქუდი ნახევრად გამჭვირვალე იყო და თვალები ზედმეტი განათების გამო მეწვოდა“*** *(იქვე, გვ. 317).*

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**




## მიხეილ სააკაშვილი:

## მათ მტაცეს ხელი, თმებით მითრიეს, ხელები ამომიტრიალეს, ჩამტენეს მანქანაში. ძალიან ეჩქარებოდათ, რადგან პოლიციის დაცვა არ ჰყავდათ, პრაქტიკულად, ბანდიტური თავდასხმა იყო...

**ისინი კერძო დაცვის სამსახურიდან იყვნენ. რამდენჯერმე თავზე დამახტნენ და კისერში ისე წამიჭირეს ხელი, ორჯერ დავკარგე გონება!**

***იმისათვის, რომ შაქრიანი დიაბეტი არ გართულდეს და ორგანიზმს საშიში თანმდევი დაავადებებითაც არ შეუტიოს, აუცილებელია, ფიზიკური აქტივობისა და კვების საგანგებო რეჟიმის დაცვა. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ ამ რეჟიმის შესახებ გვესაუბრება და აცხადებს, რომ დიაბეტიანებისთვის მკაცრი დიეტა და შიმშილობა სასტიკად აკრძალულია:***




## „ოხრახუში დიაბეტის მტერია!“



## კახა საბახტარიშვილი:

# დიაბეტიანმა ადამიანმა ყოველდღე ფეხით, მინიმუმ, 2-3 კილომეტრი მაინც უნდა იაროს!

— შაქრიანი დიაბეტი თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი უმძიმესი და ტოტალური გამოწვევაა. საქართველოში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად კატასტროფული სისწრაფით იზრდება. ამის მთავარი მიზეზი კვების არასწორი რეჟიმი და აქედან გამომდინარე ჭარბწონიანობაა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ჭარბწონიანთა 90 პროცენტი ან დიაბეტიანია, ანდა დიაბეტის ზღვარზე იმყოფება!**

**— ბატონო კახა, ვისაც შაქრიანი დიაბეტი უკვე აქვს, როგორ უნდა იკვებოს და რა რეჟიმით უნდა იცხოვროს, რათა დიაბეტური ანგიოპათია, ნეფროპათია, რეტინოპათია და სხვა უმძიმესი გართულება თავიდან აიცილოს?**

— უპირველეს ყოვლისა, საშიში გართულებების თავიდან ასაცილებლად დიაბეტიანმა ადამიანმა ყოველდღე ფეხით, **მინიმუმ, 2-3 კილომეტრი** მაინც უნდა იაროს! საუკეთესოა ცურვა და ველოსიპედით სეირნობა... ფიზიკური დატვირთვის დროს ადამიანი დიდ ენერგიას ხარჯავს მაშინ, როცა ამ ენერგიის წყარო გახლავთ გლუკოზა, რომლის სიჭარბეც სწორედ დიაბეტის განმაპირობებელია. **სიარულის, სირბილის, ცურვისა და ველოსიპედით სეირნობის დროს ორგანიზმში გლუკოზა, ანუ შაქარი „იწვება“, რაც ავტომატურად იწვევს სისხლში შაქრის დონის დარეგულირებასა და დაწევას.**

**— მხოლოდ ფიზიკური აქტივობით სისხლში შაქრის დონის დარეგულირება შესაძლებელია?**

— არა, ფიზიკურ აქტივობასთან ერთად აუცილებელია **სწორი კვებაც.** იმასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თუ რას, როდის და რამდენჯერ ვჭამთ! დიაბეტიანებისთვის მკაცრი დიეტა და შიმშილობა სასტიკად აკრძალულია. დიეტამ და შიმშილობამ დიაბეტიანი პაციენტი შესაძლოა, კომაში ჩააგდოს და მოკლას! დიაბეტიანებმა საჭმელი მცირე ულუფებით, ხშირად, ერთსა და იმავე დროს და დღეში ხუთ-ექვსჯერ უნდა მიიღონ. **დიაბეტიანებისთვის ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლების — შაქრის, თაფლის, ნამცხვრების, ტორტების, მურაბისა და თეთრი ფქვილისგან დამზადებული ცომეულის მიღება სასტიკად აკრძალულია!** საქმე ის გახლავთ, რომ ზემოხსენებულ პროდუქტებში შემავალ მარტივ ნახშირწყლებს ორგანიზმი სწრაფად ითვისებს და სისხლში შაქარი მომენტალურად მაღლა იწევს. სწორედ ამავე მიზეზით არარეკომენდებულია დიაბეტიანებისთვის ყურძნის, საზამთროს, ბანანის, ლეღვის, კივის, ხურმისა და ნესვის მიღება! სამაგიეროდ, **მათთვის ძალიან სასარგებლოა ვაშლი, მსხალი და განსაკუთრებით ბროწეული, რომელსაც შაქრის დამწევი თვისებაც კი გააჩნია.**

დიაბეტიანს თუ შესაძლებლობა აქვს, ნიგოზი სულ ჯიბეში უნდა ჰქონდეს, რომელიც შაქარს დაბლა სწევს! იგივე თვისება აქვს თხილს, ნუშსა და მზესუმზირას, მაგრამ მათ შორის ნიგოზი მაინც ყველაზე ეფექტურია. ნიგოზიც, თხილიც, ნუშიც და მზესუმზირაც დიაბეტიანმა ნედლი სახით უნდა მიირთვას! საქმე ის გახლავთ, რომ **მოხალვის დროს, მაღალ ტემპერატურაზე, ხსენებულ პროდუქტებში შემავალი ძვირფასი ცხიმოვანი მჟავები „კვდება“...** დიაბეტიანმა უპირატესობა რთულ ნახშირწყლებს უნდა მიანიჭოს. რთული ნახშირწყლები ორგანიზმში ნელა იშლება და სისხლში შაქრის დონის უეცარ მატებას არ იწვევს. შესაბამისად, პანკრეასის ჯირკვალიც ნაკლები დატვირთვით მუშაობს... ასეთი პროდუქტებია — **ლობიო, მუხუდო, ოსპი, ბარდა, დაცეხვილი ხორბლის პური...**

**— რისი ხორცი უნდა შეჭამოს დიაბეტიანმა და რისი — არა?**

— დიაბეტიანი უნდა მოერიდოს **ლორის ხორცს, ცხიმიან თევზს** და საერთოდ ცხიმიან ხორცს! **ქუპატი, მწვადი, ქაბაბი, ხაჭაპური „აჩმა“, ლორი, ყველანაირი ძეხვეული, ცხვრის ხორცი და ხორციანი ბულიონი დიაბეტიანისთვის არ შეიძლება!** ნებადართულია კურდღლის, ხბოს, ინდაურისა და ქათმის ხორცი და ისიც მოხარშული. **დიაბეტიანებმა უნდა შეზღუდონ კარაქის მოხმარებაც!**



## „დიაბეტიანებმა უნდა შეზღუდონ კარაქის მოხმარებაც!“



## „დიაბეტიანისთვის არაყზე უარესი ღვინოა!“



## „დიაბეტიანებმა არ უნდა გაეკარონ არცერთი სახეობის კანფეტს, ხოლო შავი, ანუ მწარე შოკოლადი, სადაც კაკაოს შემცველობა 70 პროცენტზე მეტია, მათთვის დასაშვებია!“

**— ბატისა და იხვის ხორცზე რას იტყვით?**

— არ შეიძლება, რადგან ბატისა და განსაკუთრებით იხვის ხორცი ძალიან ცხიმიანია!

**— არაერთი დიაბეტიანისგან მსმენია, რომ არაყი სისხლში შაქრის დარეგულირებას ხელს უწყობს! ეკრძალება თუ არა დიაბეტიანს ალკოჰოლური სასმლის მიღება?**

— მითია ის, რომ არაყი დიაბეტიანს არ ვნებს! მართალია, არაყი თავდაპირველად სისხლში შაქრის დონეს მართლაც დაბლა სწევს, მაგრამ ხანმოკლე დროის შემდეგ შაქარი ისევ მაღლა იწევს და საშიშ ზღვრამდე ადის. ეს გამოწვეულია იმით, რომ **ყველა ალკოჰოლური სასმელი მაღალკალორიულია და არყისა და ღვინის დალევის შემდეგ მადა მატულობს!** დიაბეტიანისთვის არაყზე უარესი ღვინოა, რომელიც პირდაპირ ყურძნის შაქრის საბადოა. აღარაფერს ვიტყვი შაქარზე დაყენებულ ღვინოზე, რომელიც, საერთოდ, საწამლავია...

**— რამდენად რეკომენდებულია დიაბეტიანისთვის მწვანილეული და ბოსტნეული?**

— **ოხრახუში დიაბეტის მტერია!** საერთოდ, ნებისმიერი მწვანილი და ბოსტნეული, რომელიც რთულ ნახშირწყლებს, ანუ უჯრედისს შეიცავს, დიაბეტიანისთვის ძალზე სასარგებლოა. უჯრედისი, როგორც წესი, ნაწლავებში იჯირჯვება და სიმაძღრის შეგრძნებას იწვევს. **კიტრი, პომიდორი, კომბოსტო, ყაბაყი და მწვანე ლობიო დიაბეტიანისთვის იდეალური საკვებია!** რაც შეეხება **სტაფილოს, ჭარხალს, კარტოფილს, წიწაკას** და, საერთოდ, სანელებლებს, დიაბეტიანი ამ პროდუქტებს უნდა ერიდოს, რადგან მათ მოხარშული სახით **მაღალი გლიკემიური ინდექსი** გააჩნიათ და სისხლში შაქრის დონის სწრაფ მატებას იწვევენ.

**— დაკვირვებული ვარ, რომ დიაბეტიანები ხშირად იკვებებიან სხვადასხვა ფაფებით! მაინც რომელი ფაფაა ყველაზე უფრო მარგებელი?**

— დიაბეტიანისთვის განსაკუთრებით მარგებელია **ქერის, შვრიისა და წიწიბურას ფაფა!**

**რაც შეეხება თეთრი ბრინჯის, მანანისა და ხორბლის ფაფებს, დიაბეტიანმა პაციენტმა მათი მიღება საკუთარ თავს უნდა აუკრძალოს, რადგან თითოეულ ამ პროდუქტს მაღალი გლიკემიური ინდექსი აქვს!**

**— რამდენად სასარგებლოა დიაბეტიანისთვის რძე, რძის პროდუქტები და კვერცხი?**

— **მოხარშული კვერცხი** დიაბეტიანისთვის სასარგებლო პროდუქტია, რადგან კვერცხის გული კარგ ქოლესტერინს შეიცავს, რომელიც დიაბეტურ ანგიოპათიასა და სხვა დაავადებებს ებრძვის. ერთი კვირის განმავლობაში დიაბეტიანმა პაციენტმა 7-8 მოხარშული კვერცხი რომც მიიღოს, ამით არაფერი დაშავდება. რაც შეეხება რძეს, განსაკუთრებით, ცხიმიანს, ასეთი რძე ცხიმსაც შეიცავს და რძის შაქარს, ანუ ლაქტოზასაც, რაც, ცხადია, დიაბეტიანისთვის მავნეა. დიაბეტიანები სწორედ ამ მიზეზის გამო მაწონს, ნაღებს, ხაჭოსა და კეფირს უნდა მოერიდონ!

**— რას ეტყვით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ იმ ადამიანებს, რომლებსაც ძალიან უყვართ შოკოლადი, ჩაი და ყავა?**

— **უშაქრო მწვანე ჩაი დიაბეტიანისთვის წამალია, მაგრამ მწვანე ჩაიზე ბევრად უკეთესია მოცვის ჩაი!** დღეში სამი-ოთხი ფინჯანი უშაქრო ყავა დიაბეტს არ ვნებს... დიაბეტიანები არ უნდა გაეკარონ არცერთი სახეობის კანფეტს, ხოლო შავი, ანუ მწარე შოკოლადი, სადაც კაკაოს შემცველობა 70 პროცენტზე მეტია, დიაბეტიანებისთვის დასაშვებია!

**— შაქრიანი დიაბეტის გამოსავლენად როდის უნდა გავიზომოთ შაქარი?**

— სისხლში შაქრის დონის გასაზომად იდეალური დროა დილა, როცა უზმოზე ვართ, არაფერი გვიჭამია და არც დაგვილევია. თუ ასეთ დროს სისხლში შაქრის დონე 3,9-დან 5,5 მილიმოლ/ლიტრზეა, ეს ნორმაა. თუ შაქრის მაჩვენებელი 5,6-დან 6,9-მდეა, ეს უკვე დიაბეტის წინარე სტადია, ანუ პრედიაბეტია, ხოლო 7 მილიმოლ/ლიტრს ზემოთ სახეზე გვაქვს ჩამოყალიბებული დიაბეტი! გვახსოვდეს — **თუ ნახშირწყლებით, ანუ შაქრით მდიდარი საკვების მიღების შემდეგ წამოვწვებით, მაშინ ზედმეტი გლუკოზა არ „დაიწვება“, ცხიმად გარდაიქმნება და ჩალაგდება ყველგან, მათ შორის, ღვიძლშიც.** საბოლოო ჯამში ცხოვრების ასეთი წესი გამოიწვევს წონის მატებას და შაქრიანი დიაბეტის პროგრესირებას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*2007 წლის 26 ოქტომბერს სააკაშვილის გარყვნილმა და კვაზიფაშისტურმა რეჟიმმა დააპატიმრა ქართველი მწერალი და ქველმოქმედი **მერაბ რატიშვილი,** რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ 2013 წლის 13 იანვარს რუსთავის №6 საპყრობილის №13 საკნიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. პიროვნება, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ ოპოზიციურ ძალებს აფინანსებდა და უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ქვეყანაში მომხდარი უკლებლივ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის აქტიური მონაწილეა, აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ვატიკანმა, პოლონეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთისთვის უკრაინის ხელიდან გამოგლეჯა დაგეგმეს:*



# მერაბ რატიშვილი:

# საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნება ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის!

## „რაც დღეს უკრაინაში ხდება, ცივილიზაციური და რელიგიური ომია, რომლის უკანაც ვატიკანი დგას!“

— საზოგადოებას უკვე ყელში ამოუვიდა და აღიზიანებს იმ პოლიტიკური გვამების წამდაუწუმ ხსენება, რომლებსაც თქვენ და თქვენი კოლეგები, ნებსით თუ უნებლიეთ, აპიარებთ. ცხადია, პირველ რიგში, ვგულისხმობ ამ უხსენებელს — **სააკაშვილს,** რომლის გვარ-სახელსაც დილიდან საღამომდე ატრიალებენ. **მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს მოსიარულე გვამი სასწრაფოდ უნდა დააბრუნოს იქ, სადაც მისი ადგილია — ციხეში და მის გარშემო შექმნას აბსოლუტური ვაკუუმი!** აი, ამის შემდეგ ბიძამისმაც და მისმა ლობისტებმაც, რომლებსაც კარგად ვიცნობ, იყიყინონ რამდენიც უნდათ! **თუ ხელისუფლება ამას სასწრაფოდ არ გააკეთებს, მაშინ მოჭრის იმ ტოტს, რომელზეც თავად ზის.**

**— ბატონო მერაბ, სერგეი ლავროვის განცხადებაზე ლიბერასტულმა მედიამ ერთი ღრიანცელი ატეხა — საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ქართული ოცნება“ რუსული პროექტიაო! საქმე ის გახლავთ, რომ ლავროვმა მოიწონა საქართველოს ხელისუფლების დისტანცირება რუსეთ-უკრაინის ომისგან და გამოთქვა სურვილი, რომ, თუ ქართველები, აფხაზები და ოსები ერთმანეთში შეთანხმდებიან, მაშინ რუსეთი ამ პროცესს ხელს შეუწყობსო!**

— **ლავროვი** იმ რანგის პოლიტიკოსია, რომელიც ბევრს ფიქრობს, ნაკლებს ლაპარაკობს და, რაც მთავარია, იცის, რასაც ლაპარაკობს! მე მისაუბრია აფხაზებთანაც, ოსებთანაც და სუყველა ამას ამბობს — ჩვენ მაინც ერთად ვიქნებითო! თუ როგორ მოხდება ეს და რა ფორმით, ამაზე უკვე უნდა ვიმსჯელოთ.

**ერთი რამ გვახსოვდეს:** რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიოში საქართველოს შესახებ წარმოდგენა აბსოლუტურად შეცვალა. ომამდე რუსეთშიც, თურქეთშიც და ევროპაშიც ჩვენ ვიყავით ერი, რომელიც ეძებდა პატრონს და ასეთ ვინმეს იპოვიდა თუ არა, მაშინვე გამოხრავდა. ამის შემდეგ ახალ პატრონს დავუწყებდით ძებნას, რათა ისიც გამოგვეწურა. **უკანასკნელმა პერიოდმა და უკრაინის ომისადმი საქართველოს ხელისუფლების პრინციპულმა და სწორმა პოზიციამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ, თურმე, პატარა საქართველოს თავისი ეროვნული ინტერესები ჰქონია და ვილაცების კარნახით ქვეყანა ომსა და საშინელებაში არ ჩაერთვება.** როგორც სამეზობლოში, ისე ევროპაში, ამან საქართველოსადმი პატივისცემა გაზარდა, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ, როცა ვამბობთ „ა“-ს, არ ვამბობთ „ბე“-ს და არ ვმოქმედებთ!

**— რას გულისხმობთ?**

— ეს ე.წ. „არასამთავრობოები“ და „კრიტიკული მედია“, რომლებიც რეალურად „მეხუთე კოლონაა“, სანამ ამ ხელისუფლებას არ დაამხობენ, მანამდე მათი დაფინანსებისა და მოქმედების არეალის შეზღუდვას ეს ხელისუფლება არ აპირებს? **მხოლოდ მათი მხილება არ კმარა, მათი დაფინანსების წყაროები უნდა შეიზღუდოს და ეს ყველაფერი დარეგულირდეს ზუსტად ისე, როგორც ამერიკასა და ევროპაშია! მერწმუნეთ, რაც უფრო პრინციპულები ვიქნებით და ღირსეულად დავიცავთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მტერიც და მოყვარეც უფრო დაგვაფასებს და ანგარიშს გაგვიწევს!** გაიხსენეთ, **მეთიუ ბრაიზათი** დაწყებული, **დილმის სირინოზით** დამთავრებული, ვინ არ მოინდომა ჩვენი მართვა. სხვათაშორის, ჩვენი პრინციპული პოზიცია რომ დაინახა, ამ ბოლო ხანს **დილმის სირინოზმაც** სხვანაირი ლაპარაკი დაიწყო!

**— „დილმის სირინოზში“ ამერიკის ელჩ კელი დეგნანს გულისხმობთ?**

— ეგ მე არ მითქვამს, თქვენ თქვით! *(იცინის).*

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომი სინამდვილეში ეს არის რუსეთის სამოქალაქო ომი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე გააჩაღეს?**

— რაც დღეს უკრაინაში ხდება, **ცივილიზაციური და რელიგიური ომია,** რომლის უკანაც **ვატიკანი** დგას! ვატიკანს ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან, ანუ პირველი რეფორმაციის დროიდან, თვალი უჭირავს ამ ტერიტორიებზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ რომის პაპს საბოლოოდ მხოლოდ **კათოლიკური პოლონეთი** შერჩა ხელში. ვატიკანს ჯერ პირველი მსოფლიო ომის დროს სურდა უკრაინაზე კონტროლის დაწესება, მერე ფაშისტების ხელით უნდოდა უკრაინის დამორჩილება... **ახლა აქვთ მესამე მცდელობა, კონტროლი დააწესონ უკრაინად წოდებულ ტერიტორიაზე, რომელიც კონფესიურად და ეთნიკურად ერთიანი არასოდეს ყოფილა.** საქვეყნოდ ცნობილია, რომ მდინარე დნეპრის მარცხენა მხარეს ისტორიულად რუსები ცხოვრობდნენ და ამ ტერიტორიას **„მალოროსია“** ერქვა. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე **„უკრაინელი“** ნიშნავდა **„რუსს“. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ვატიკანმა, პოლონეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთისთვის უკრაინის ხელიდან გამოგლეჯა დაგეგმეს, მაგრამ პროგრამული შეცდომა დაუშვეს — ვერ გათვალეს, რომ რუსეთი ხელს შემოუბრუნებდათ!**

**— რატომ არ ეგონათ, რომ რუსეთი ხელს შემოუბრუნებდათ?**

— დასავლეთს ჰქონდა იმის რწმენა, რომ რუსეთი ვერ დაუპირისპირდებოდა და ვერ დაარტყამდა დასავლეთს თუნდაც იმიტომ, რომ დაკარგავდა თავისი წიაღისეულის — ტიტანის, ალუმინის, ნიკელის, ნავთობის, გაზის, სასუქებისა და სხვა სტრატეგიული მასალების გასაღების ბაზარს! საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთმა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთი გაძარცვეს, რადგან ქვეყნიდან 11 ტრილიონი დოლარის ღირებულების ქონება გაიტანეს... 500 ტონა მხოლოდ „ურან-235“-ია გატანილი რუსეთიდან ამერიკაში... მართალია, მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის წილი 3-4 პროცენტს არ აღემატება, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთი ფლობს მსოფლიო მასშტაბით კრიტიკულად საჭირო და აუცილებელი ნედლეულის 46-52 პროცენტს, რაც მას ანიჭებს უდიდეს შესაძლებლობას, ზემოქმედება მოახდინოს გლობალურ პროცესებზე. აი, ასეთი ქვეყნის ინტერესებს რომ არ გაითვალისწინებ, მის სასიცოცხლო სივრცეში შეიჭრები, ბალტიისპირეთის ქვეყნებს ცხვირწინ „ფუკასავით“ აალები და მთელი რვა წლის განმავლობაში დონეცკსა და ლუგანსკს დაუბომბავ, ამის შემდეგ რუსეთი რომ კბილებს გიჩვენებს და მოხდება ის, რაც უკრაინაში ხდება, ვინმეს ეჭვი ეპარება? დიახ, რუსეთს დასავლეთმა სხვა გამოსავალი არ დაუტოვა, რადგან ამოდენა ქვეყანა ჯერ გამოხრა, ხოლო შემდეგ აბუჩად აიგდო და თავში წამორტყმაც დაუპირა. **აფხაზეთის ტრაგედიაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ!** აფხაზეთის ომი **უფროსმა ბუშმა** შევარდნაძეს კისერზე ჩამოჰკიდა, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოეპოვებინა და საქართველოსა და რუსეთს შორის მუდმივი დაძაბულობის კერა შეექმნა!

**— ანუ შევარდნაძემ აფხაზეთის ომი ამერიკელების კარნახით გააჩაღა?**

— კი, ეს ყველაფერი ამერიკელებთან იყო შეთანხმებული ისევე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა, რათა მას 2004 წელს, **უმცროსი ბუშის** არჩევნებისას, რუსეთის წინააღმდეგ ცხინვალში მორიგი სამხედრო კონფლიქტი გაეჩაღებინა. 2004 წლის ივლისში სააკაშვილმა ცხინვალში ომი მართლაც დაიწყო, მაგრამ ეს ომი გააჩერა **ზურაბ ჟვანიამ,** რის გამოც დასაჯეს და მოკლეს! 2008 წელს კი ჟვანია აღარ იყო და სააკაშვილს ხელის შემშლელიც არავინ ჰყავდა, რათა ამერიკელების გეგმა ბოლომდე მიეყვანა. **ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნება ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის!**

**— და მაინც, ჩაითრევენ თუ არა საქართველოს გლობალურ ომში?**

— **ირაკლი ღარიბაშვილს დიდ პატივს ვცემ და პირდაპირ ვაცხადებ:** ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს უკრაინის ომში ვერ ჩაითრევენ!



ეს იყო ომამდე: ვოლოდიმირ ზელენსკი, ემანუელ მაკრონი და ვლადიმერ პუტინი

## „ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს ომში ვერ ჩაითრევენ!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

### კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ერთ **„მოთამაშე თავმჯდომარეს“** როგორ გადააყოლეთ ამხელა პარტია?! მართლა **„ნაცმოძრაობა“** კი არა **„ნაც უძრაობა“** გახადა! რა თქმა უნდა, კმაყოფილი იქნება „ოცნების“ ხელისუფლება, იოცნებეს და **მელიამ** შეუსრულა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ, აღმოსავლეთ ევროპელებისგან განსხვავებით, შესანიშნავად იცის, რას წარმოადგენს **სააკაშვილი.** ის ისეთივე **ყალბი მედასავლეთეა,** როგორი ყალბიც არის ზოგიერთი ოპოზიციური ტელევიზია, რომელიც ხელისუფლების ხელშეწყობით ფინანსდება.

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*იურისტი*



სავარაუდოდ, **„სააკაშვილის სია“** შეიქმნება აშშ-ში, რათა შემდგომ მოხდეს ლობირება და შეიქმნას **„სააკაშვილის აქტი“.**

„კვირის პალიტრა“

*ზაფხულში გერმანიაში გახლდით ქორწილში დაპატიჟებული — ჩემი ახლობელი, 27 წლის გოგონა შესანიშნავ გერმანელ ყმაწვილს მისთხოვდა. სტუმართა შორის კიდევ 3 წყვილი ვნახე: — 2 ქართველ გოგონას უკვე შეექმნა ადგილობრივ ვაჟებთან ოჯახი, მესამე კი შემოდგომაზე აპირებდა ურთიერთობის გაფორმებას. ამ დინამიკამ მწარედ დამაფიქრა: ღმერთმა ყველას სიკეთე მისცეს, ვინც უცხოელ პარტნიორს აბედნიერებს და საცხოვრებლადაც უცხოეთში რჩება, მაგრამ რა ბედი ელის საქართველოს, ვინღა გამრავლდება ჩვენს კურთხეულ მიწაზე? უცხოელმა მკვლევარებმა რახანია, გამოგვიტანეს განაჩენი და ქართველი ერი მომაკვდავი ერების სიაში შეიყვანეს... მწვავე კითხვებით დემოგრაფს, პროფესორ* **ანზორ თოთაძეს** *მივმართე:* — *„ვერაფრით დაგამშვიდებთ. დემოგრაფიული მდგომარეობა ბოლო წლებში კიდევ უფრო დამძიმდა, მოსახლეობის რაოდენობა არამცთუ აღარ იზრდება, პირიქით — მკვეთრად მცირდება და თუ ხელისუფლება დაუყოვნებლივ არ დაიწყებს ზომების მიღებას, უახლოეს მომავალში უძველეს ქართველ ერს გადაშენება მოელის!“ — ამ საგანგაშო სიტყვებით დაიწყო საუბარი მხცოვანმა პროფესორმა:*



# „ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში უკვე აღადგინეს ეროვნების გრაფა და ჩვენს ხელისუფლებას მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ საქართველომაც მიბაძოს მათ მაგალითს!“

## ანზორ თოთაძე:

— საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 3 მილიონ 689 ათასი ადამიანი, მაგრამ 1992 წელს, როდესაც საქართველო ყველაზე ხალხმრავალი გახლდათ, მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონ 467 ათასს შეადგენდა. გამოდის, რომ 1992 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონ 778 ათასი ადამიანით შემცირდა! ამასთან, კლებას განსაკუთრებით მკვეთრი ხასიათი ჰქონდა 1992-2002 წლებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ 3 მილიონ 991 ათასამდე, ანუ ერთბაშად თითქმის მილიონნახევარი ადამიანით იკლო! ჩვენისთანა მცირე ერისთვის ასეთი ტემპი ნამდვილი კატასტროფაა. მიზეზებზე საუბარს არ შევუდგები — ყველამ ვიცით, რამხელა გაჭირვება და ომები გამოიარა საქართველომ ამ 10 წელიწადში!

მოსახლეობის კლება 2002 წლის შემდეგაც გრძელდება, თუმცა, გაცილებით ნაკლები ტემპით — 2014 წლამდე მოსახლეობის საერთო რაოდენობას კიდევ 300 ათასი ადამიანი დააკლდა. 2014 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა, მაგრამ ჩვენ ვფლობთ მონაცემებს, რომელთა თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად კვლავ სტაბილურად მცირდება.

**— მცირდება ქართველი ერის ხარჯზე? მოსახლეობის რამდენი პროცენტია ქართველი?**

— 1989 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 71 პროცენტს ქართველები შეადგენდა. ამჟამად ძნელია თქვენს კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, რადგან საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობიდან ამოღებულია ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, შესაბამისად, აღარ მუშავდება ინფორმაცია, რომელიც ერის რაოდენობის დადგენაში დაგვეხმარება... ამიტომ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის აღწერისას მაინც ხდებოდა ხოლმე ეროვნების მიხედვით დიფერენციაცია და შეიძლება გითხრათ, რომ 2014 წელს საქართველოში ქართველობა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 86 პროცენტს შეადგენდა.

**— დაუჯერებელია. ნუთუ 1989 წლის შემდეგ საქართველოში ქართველთა ხვედრითმა წილმა მოიმატა?**

— სამწუხაროდ, ასე არ არის. უნდა შევახსენოთ, რომ აღწერა ტარდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე, რომელშიც 2014 წელს, სამწუხაროდ, უკვე აღარ შედიოდა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ასე რომ, მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წილი გაიზარდა დემოგრაფიულად არცთუ პოზიტიური მაჩვენებლების მქონე ქართული ტერიტორიების დაკარგვის შედეგად! თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 1989 წლის შემდეგ საქართველო დატოვა და უცხო ქვეყნებში სამუშაოდ ან საცხოვრებლად გაემგზავრა მრავალი ეთნიკურად არაქართველიც, რამაც, თავის მხრივ, ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა განაპირობა. შემიძლია გითხრათ, რომ **თითქმის განახევრდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა;** 100 ათასი ბერძენიდან საქართველოში შემორჩა 5 ათასამდე; 55 ათასი ებრაელი შემცირდა 1450-მდე; 400 ათასი რუსიდან დარჩა მხოლოდ 26 ათასი და ა.შ... **რა თქმა უნდა, უცხოეთში უამრავი ქართველიც გაემგზავრა, მაგრამ პროცენტულად საქართველო დატოვა უფრო მეტმა ეთნიკურად არაქართველმა, ვიდრე ქართველი ერის წარმომადგენელმა.**

ვიმეორებ — ეს არაოფიციალური, მაგრამ მეტ-ნაკლებად სანდო მონაცემებია.

**— თბილისის მოსახლეობაზე რას გვეტყვით?**

— თბილისში მოსახლეობის ყველაზე მეტი რაოდენობა 1992 წელს ფიქსირდება — 1 მილიონ 267 ათასი, მაგრამ ეს რაოდენობა, 2002 წლის აღწერით, 200 ათასი ადამიანით შემცირდა! მართალია, მას შემდეგ თბილისის მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ რაოდენობისთვის, რაც იყო 1992 წელს! ამჟამად თბილისში 1 მილიონ 202 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ მატება უფრო ურბანიზაციის ხარჯზე ხდება, ვიდრე ადამიანების დაბადების კვალდაკვალ.

**— ასეთი მონაცემების მიხედვით, რა ელის ჩვენს ქვეყანას?**

— თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ემუქრება ემიგრაციული და იმიგრაციული სიკვდილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოვა ძალიან ბევრი უცხოტომელი და საქართველოს დატოვებს ძალიან ბევრი ადგილობრივი მკვიდრი, შესაბამისად, აქ დემოგრაფიული ბალანსი უცხოტომელთა, ანუ სხვა მენტალობის, აღმსარებლობის, ტრადიციების და ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანების სასარგებლოდ შეიცვლება. თქვენ წარმოიდგინეთ, მოსახლეობის რაოდენობა უკვე მცირდება აჭარაშიც, სადაც ადრე კლების ადგილი არ ჰქონია! 1992 წელს აქ მხარეში ცხოვრობდა 403 ათასი, ახლა ცხოვრობს 355 ათასი ადამიანი; განსაკუთრებით შემცირდა მოსახლეობა ყველაზე ხალხმრავალ იმერეთის რეგიონში, სადაც 1992 წელს 781 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ამჟამად კი 467 ათასია დარჩენილი! ქალაქ ქუთაისში 1992 წელს 233 ათასი მოსახლე იყო, ამჟამად ცხოვრობს 129 ათასი! ამასთან, **ქუთაისმა დათმო „მეორე ქალაქის“ ტიტული და ამჟამად მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თბილისის შემდეგ ბათუმი ლიდერობს!** კახეთის მოსახლეობა 1992-2014 წლებში 144 ათასი ადამიანით შემცირდა; სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა — 132 ათასით და ა.შ... თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ყველაზე რთული მდგომარეობა ქართველებით დასახლებულ რეგიონებშია!

# ქუთაისმა დათმო „მეორე ქალაქის“ ტიტული და ამჟამად მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თბილისის შემდეგ ბათუმი ლიდერობს!




**— როგორია შობადობისა და სიკვდილიანობის თანაფარდობა?**

— წინა წლებში საქართველოში უფრო მეტი ადამიანი იბადებოდა, ვიდრე კვდებოდა, თუმცა, ეს მაინც სხვა ეროვნების ხარჯზე ხდებოდა. ბოლო 2 წელია, საქართველოში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება! 2015 წელს საქართველოში დაიბადა 60 ათასი ბავშვი, ხოლო 2022 წელს — დაახლოებით 40 ათასი! ხვდებით? სულ რაღაც 5-6 წელიწადში შობადობა შემცირდა 20 ათასით! ეს ძალზე დამაფიქრებელია!

არანაკლებ მძიმე ვითარებაა რუსეთში, უკრაინასა და ბალტიისპირეთში, აზიის რესპუბლიკებისგან განსხვავებით, სადაც შობადობის საოცარი ბუმია! შედარებისთვის: 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობა აზერბაიჯანისას სჭარბობდა 300 ათასი ადამიანით; ამჟამად კი აზერბაიჯანის მოსახლეობა 10 მილიონს გადასცდა! დიდი მატება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებშიც და ეს საგანგაშოა, რადგან **დემოგრაფიაში მოქმედებს „ზიარ-ჭურჭლის“ პრინციპი და დაცარიელებული სივრცე დაუსახლებელი არ დარჩება!**

ისიც უნდა გითხრათ, რომ დემოგრაფიულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქორწინების საშუალო ასაკი, რამაც რთული ეკონომიკური პირობების გამო ბოლო დროს ძალიან მაღლა აიწია. **თუ ადრე ქალების საქორწინო ასაკი 23 წელი გახლდათ, ამჟამად 30 წელს გადასცდა. რა თქმა უნდა, რაც გვიან დაქორწინდება ქალი, მით ნაკლებ ბავშვს გააჩენს.**

**— მახსოვს, ადრე ქვეყნდებოდა შერეული ოჯახების (ქართულ-რუსული, ქართულ-სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური და ა.შ.) სტატისტიკა. ამჟამად თუ მიმდინარეობს კვლევა, მაგალითად, რამდენმა ქართველმა შექმნა ოჯახი თურქ, ირანელ, ინდოელ... ან შავკანიან პარტნიორთან?**

— როგორც უკვე მოგახსენეთ, მას შემდეგ, რაც პირადობის მოწმობიდან ამოღებულია ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, მსგავსი კვლევები ოფიციალურად აღარ ტარდება. ჩემი ინფორმაციით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში უკვე აღადგინეს ეროვნების გრაფა და ჩვენს ხელისუფლებას მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ საქართველომაც მიბაძოს მათ მაგალითს. სხვაგვარად ჩვენ დავკარგავთ ათვლის საშუალებას და ერთ არცთუ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ საქართველოში სხვა ერების წარმომადგენლები სჭარბობენ ქართველებს! ამის მერე კი, როცა ქართველი ერი უმცირესობაში აღმოჩნდება, მოვლენები სხვაგვარად, ჩვენთვის საკმაოდ პესიმისტურად განვითარდება! **სიყვარულს წინ ვერ აღუდგებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერისთვის შერეული ოჯახების სიმრავლე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს!**

**მინდა, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდო — დაუყოვნებლივ დაიწყოს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, თორემ გარწმუნებთ, 2024 წელს დაგეგმილი საქართველოს მოსახლეობის აღწერა გაცილებით საგანგაშო მდგომარეობას გამოააშკარავებს, ვიდრე ამ მომენტში გვაქვს!**

**— რას გულისხმობს „აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა“?**

— უპირველესად, შობადობის წახალისებას! გაითვალისწინეთ — ქვეყნის მოსახლეობა მაშინ კლებულობს, როდესაც, საშუალოდ, ოჯახებში იბადება მხოლოდ 1 ბავშვი! 2 ბავშვის დაბადების შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობა უცვლელი რჩება. მინიმუმ, 3 შვილის ყოლა თითოეული ქართველისთვის ნორმად უნდა იქცეს, რადგან მხოლოდ 3 ან მეტი ბავშვის დაბადება განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# „მინიმუმ, 3 შვილის ყოლა თითოეული ქართველისთვის ნორმად უნდა იქცეს!“

## კვირგვინოსნები

**სიმონ ბარამიძე**
*აკადემიკოსი*



ყველამ ვიცით, რომ **გაზის ხარისხი არ არის მაღალი, რადგან არ იწმინდება,** მოდის პირდაპირ, დაბალკალორიულია და დაბალი ხარისხისაა. ამით აიხსნება ისიც, რომ **გაზს დღეს არ უწერია ნომინალური კუბმეტრი,** რაც ნიშნავს, რომ გაზი აცდენილია ყველა საჭირო სტანდარტს.

„რეზონანსი“

**სოსო სიმონიშვილი**
*გაზის ხარისხის ექსპერტი, ეკონომისტი*



ვერაფერს უზამ **გაზის ქურას,** რომელიც ოთახში ანთია, მაგრამ **მის სიახლოვეს აუცილებლად უნდა იყოს სარკმელი, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირობაა.** მეტალოპლასტმასის ფანჯრების გაკეთებისას სარკმელზე არავინ ფიქრობს, დიდ ფანჯრებს კი სიცივის გამო არ აღებენ, არც სავენტილაციო არხები მუშაობს, **ამ დროს განიავება ნომერ პირველი უსაფრთხოებაა.**

„რეზონანსი“

**ივანე ჩხაიძე**
*პროფესორი*



ის, რაც ახლა ჩინეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გავრცელებულია, **„ომიკრონის“ მუტაციის მეხუთე ქვევარიანტის კიდევ ქვევარიანტია,** რომელსაც სამედიცინო ენაზე **XBB.1** ჰქვია.

„კვირის პალიტრა“



# რა არის ნევრიტების გამომწვევი მიზეზი?

***ნევრიტი ნერვის მწვავე ანთებაა, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, თან ახლავს ნერვის მგრძნობიარე დაბოლოების დაზიანება** (ნევრალგია). **მისთვის დამახასიათებელია ტკივილი დაზიანებული ნერვის გასწვრივ.***

**ნევრიტი** შეიძლება გამოიწვიოს თვით **ნერვის, ნერვული წნულის მახლობელ ორგანოებსა და ქსოვილებში მიმდინარე პათოლოგიებმა, ინფექციებმა, გაციებამ, ინტოქსიკაციებმა** და სხვა. ნევრიტისთვის დამახასიათებელია იმ კუნთების დამბლა (პარეზი), რომელთა ინერვაციასაც ახდენს დაავადებული ნერვი.

**ნევრალგიური** ტკივილი ძალზე მწვავე, შეტევითი ხასიათისაა **მჭრელი, მტეხი, მწველი შეგრძნებებით,** რასაც ახლავს იმ მიდამოს **დაბუჟება, გაფერმკრთალება** და **სიცივის შეგრძნება,** რომელიც ადამიანს აწუხებს. **ნევრალგიებს** შორის ყველაზე გავრცელებულია **სამწვერა, კეფის** და **ნეკნთაშორისი ნევრალგია.**

**სამწვერა ნერვის** ანთების მიზეზი მეტწილად **პირისა და შუბლის ღრუში მიმდინარე ჩირქოვანი და ანთებითი პროცესებია,** რომელთაც ქრონიკული ხასიათი აქვს. დაავადების პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა მარტივმა მოქმედებამ, როგორიცაა საკვების მიღება, მტკივნეულ ადგილზე უმნიშვნელო ზეწოლამ და სხვა. საერთოდ, **სამწვერა ნერვის** ყველაზე მძიმე დაზიანება **ტუჩების, ღრძილების, ლოყის, ნიკაპის მიდამოში აუტანელი ტკივილით ვლინდება.** ზოგჯერ **სამწვერა ნერვის ნევრალგია თავის ტკივილში ან შაკიკში ეშლებათ და მხოლოდ აუტანელი შეტევების შემთხვევაში მიმართავენ ექიმს.**

**სახის ნერვის ანთებას** წინ უძღვის ისეთი პათოლოგიები, როგორიცაა **შუა ყურის ანთება** (ოტიტი) და სხვა. **სახის ნერვის ანთება** ვიზუალურადაც შესამჩნევია. დაზიანებულ მხარეს ავადმყოფს **ტუჩის კუთხე დაშვებული აქვს და ვერ ახერხებს თვალის დახუჭვას, ქუთუთოს დაშვებას, წარბის აწევას, გაღიმებას** და სხვა. როგორც **ნევრალგიის** ყველა ფორმისთვის, **სახის ნერვის ანთებისთვისაც დამახასიათებელია ძლიერი ტკივილი.**

**ნეკნთაშუა ნერვის ანთება გულმკერდის ნეკნების კედელზე იწყება და გადადის მხრის, ბეჭის, ხელის მიდამოებში. ტკივილი ძლიერდება მოძრაობისას, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისას, ხმამაღლა საუბრისას.**

**კეფის ნერვის ანთება** ყველაზე ხშირად ემართებათ იმ ადამიანებს, ვისაც სჩვევია ნაბანი თავით ქუჩაში გასვლა. **დაავადება შეიძლება გამოიწვიოს კისრის მალების ოსტეოქონდროზმა, კისრის კუნთების ანთებამ და ჩვეულებრივმა გრიპმაც კი.** მისთვის დამახასიათებელია მუდმივი ტკივილი კეფის არეში, რომელიც ხშირად ყურსა და ქვედა ყბაზე გადაეცემა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ **კეფის ნერვის ანთებას ზოგჯერ იწვევს ინტოქსიკაცია** (მოწამვლა), **ჰერპესის ვირუსი და სხვა.** ამ დროს ადამიანი ტკივილის გარდა უჩივის ნერვის გასწვრივ მტკივნეულ და ბუშტუკოვან გამონაყარს.

**ნევრიტი მწვავე ან ქრონიკულია.** ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მცირე გაციებამ, უხერხულმა მოძრაობამაც კი შეიძლება დაავადების პროვოცირება გამოიწვიოს.

**ნევრიტების** დროს მედიკამენტებიდან გამოიყენება **ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, B ჯგუფის ვიტამინები.** მისთვის ძალზე ეფექტიანია (არა ყოველთვის) მასაჟი. საერთოდ, **ნევრიტების** მკურნალობა კომპლექსურია და მოიცავს განსაკუთრებულ რეჟიმს — **მედიკამენტურ, მანუალურ თერაპიას.** იშვიათად საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევაც.

**იმისათვის, რომ არ განვითარდეს რომელიმე ნერვის ანთება, თითოეულმა ჩვენგანმა დროულად უნდა უმკურნალოს ორგანიზმში მიმდინარე ანთებით პროცესებს, მოერიდოს მკვეთრ მოძრაობებს და, რაც მთავარია, დაიცვას თავი გაციებისგან და ვირუსული ინფექციებისგან.**



**სველი ეგზემის დროს კარგია კაკლის ფოთლების აბაზანა, რომელიც შეგიძლიათ შემდეგნაირად ჩაიტაროთ: აიღეთ 400 გრამი კაკლის ფოთოლი და დაასხით ადუღებული წყალი. 15-20 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და აბაზანაში** (წყლით სავსე) **ჩაასხით. წყალი ოდნავ გააგრილეთ** (38 გრადუსი) **და 15-20 წუთით ჩაწექით. ეს პროცედურა გაიმეორეთ ერთი კვირის მანძილზე ყოველდღე.**



## ათეროსკლეროზით გამოწვეული ჰიპერტონიის მკურნალობა

**არაყი — 0.5 ლ; თაფლი — 0.5 ლ; 3 კგ ხახვიდან** გამოწურული წვენი; **25 ცალი ბერძნული კაკლის** დაქუცმაცებული ტიხრები; აღნიშნულ შემადგენლობას კარგად ვურევთ ერთმანეთში და ვდგამთ სიბნელეში 10 დღით, რის შემდეგაც ვახდენთ ნაყენის გაწურვას.

**მიღება: დღეში 3-4 ჯერ თითო ს/კ ჭამის წინ. მკურნალობის კურსი — 2-3 თვე.**

# როგორ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე?

***ავსტრალიელ მედიკოსთა ჯგუფმა მელბურნის უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრიდან, აგრეთვე მათმა ჰოლანდიელმა კოლეგებმა დაასკვნეს, რომ შოკოლადის და ღვინის ზომიერი რაოდენობის რეგულარულად გამოყენება საგრძნობლად ამცირებს კარდიოლოგიურ დაავადებათა რისკს. ამასთან, ეს სიცოცხლის 5-6 წლით გახანგრძლივებას უწყობს ხელს.***

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ გარდა ამისა, ყოველდღიურ რაციონს უნდა დაემატოს **ხილი, ბოსტნეული, თევზი, ნუში და ნიორი,** რათა ადამიანის გულმა საათივით იმუშაოს.

სრულფასოვანი კვება არანაკლებ ეფექტიანია, ვიდრე ექიმების მიერ რეკომენდებული პოლივიტამინები. თანაც, მკაცრი დიეტა აუცილებელი სულაც არ არის, მთავარია, საკვებში შვიდივე **„ჯადოსნური ინგრედიენტი"** შედიოდეს. ამასთან, ბუნებრივი მოხმარება ბევრად უკეთესია, ვიდრე ფარმაკოლოგიური პრეპარატების გამოყენება. **კომპლექსურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ნატურალურ პროდუქტებს ორგანიზმი მთლიანად ითვისებს და ისინი იმუნური სისტემის მომაგრებას უწყობს ხელს. გარდა კარდიოლოგიური დაავადებებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარისა, ნატურალური პროდუქტები სიცოცხლის აქტიურ ფაზას ახანგრძლივებს და მას ექვსი** (მამაკაცებში) ან **ხუთი** (ქალებში) წლით ზრდის.





## მაყვლის ფოთლებით ათეროსკლეროზს მკურნალობენ

**ვიღებთ მაყვლის წვრილად დაჭრილი ფოთლის 1 ს/კ-ს, ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე 2 საათი და ვწურავთ.**

**მიღება:** ჭამის წინ 0,5 ჩაის ჭიქა თბილი ნაყენი დღეში 3-4-ჯერ. მკურნალობის კურსი: წელიწადში 4-ჯერ, 3-3 კვირა.

## ათეროსკლეროზის მკურნალობა

***ხალხურ მედიცინაში არსებობს მრავალი სახის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც დადებითად მოქმედებს ათეროსკლეროზის განკურნებაზე და ამით საშუალება ეძლევა ადამიანს, სიბერეში თავიდან აიცილოს ეს მეტად გავრცელებული და არასასიამოვნო დაავადება.***

ხალხური მედიცინა ათეროსკლეროზის სამკურნალოდ უამრავ რეცეპტურას წარმოადგენს, მაგრამ აქ წარმოვადგენთ უფრო მეტად გამოცდილ და მაღალეფექტიან მცენარეულ ნარევს, რომელიც ხელმისაწვდომობითა და წლის ნებისმიერი პერიოდისათვის მშრალად ან ნედლად მოსაპოვებელი მცენარეებია.

აღნიშნული რეცეპტის შედგენილობა ასეთია:

1. **ნიახურის ფოთლები** — 4 კგ;
2. **თაფლი** — 400 გ;
3. **ნიორი** — 400 გ;
4. **ლიმონი** — 8 ც;
5. **პირშუშხას ფესვები** — 400 გ.



აღნიშნულ 5 კომპონენტს ყველაფერს ერთად ვატარებთ ხორცსაკეპში. მასას გადავიღებთ მინის ჭურჭელში, დავახურავთ თავზე ბინტს და 12 საათის განმავლობაში ვდგამთ თბილ ადგილზე $30^0$ C-ის პირობებში. ამის შემდეგ მასიდან გამოვწურავთ წვენს, ჩამოვასხამთ ბოთლებში და ვათავსებთ მაცივარში.

მიღება: დღეში 3-ჯერ დესერტის კოვზით, ჭამამდე 15 წუთით ადრე. პარალელურად სასურველია საკვებთან ერთად რაც შეიძლება ხშირად მივიღოთ ნიორი, თანაც სასურველია, დავიწყოთ თავის 1 კბილიდან და დავამთავროთ 1, თავამდე.

# გავუფრთხილდეთ ზამთარში ტუჩებს

***ალბათ, ერთხელ მაინც გქონიათ ტუჩებზე ტკივილის, წვისა და სიმშრალის შეგრძნება. ეს პრობლემა უფრო ხშირად ზამთრის დადგომასთან ერთად იჩენს თავს. ზოგიერთნი ამას მხოლოდ ესთეტიკურ პრობლემად მიიჩნევენ და არცკი იციან, რომ დაავადებას ქეილიტი ჰქვია.***

**ქეილიტი ტუჩების ანთებაა.** განასხვავებენ დამოუკიდებელ და სიმპტომურ ქეილიტს, რომლებიც ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოს დაზიანებას, ნივთიერებათა ცვლას და არასწორ კვებას უკავშირდება. ქეილიტის სხვადასხვა ფორმა არსებობს: **ექსფოლიატიური, ალერგიულ-კონტაქტური, გლანდულარული, მეტეოროლოგიური და გრანულომური.**

**ექსფოლიატიური ქეილიტი** ქრონიკული დაავადებაა, რომელიც მკურნალობას თითქმის არ ემორჩილება. **ამ დროს დაავადება ტუჩების წითელ ნაწილზეა შემოფარგლული, არ აზიანებს კანს** (მიმდებარე ზოლს) **და არ ვრცელდება პირის ღრუს ლორწოვანზე.** ტუჩის დაზიანების ადგილი დაფარულია **თხელი მონაცრისფრო ქერქით.** ამ დროს ადამიანს აწუხებს წვა, ტუჩების დაჭიმულობა და სხვა.

**ალერგიულ-კონტაქტური ქეილიტი** ქიმიურ ნივთიერებათა მიმართ ტუჩის ქსოვილის რეაქციის შედეგად ვითარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ალერგია შეიძლება გამოიწვიოს კოსმეტიკურმა საცხებმა — **პომადამ, კრემმა, ტონალურმა საშუალებებმა** და სხვა. ქეილიტის ეს ფორმა სხვადასხვა ინტენსივობის სიწითლითა და აქერცვლით ვლინდება. **ალერგიულ-კონტაქტური ქეილიტი შედარებით მარტივად ემორჩილება მკურნალობას. ამისთვის გამოიყენება სტეროიდული კრემები, დამარბილებელი მალამოები და სხვა.**

**მეტეოროლოგიური ქეილიტის ეს ფორმა ტუჩების არაალერგიული ანთებითი დაავადებაა, რომელიც სხვადასხვა მეტეოროლოგიური ფაქტორის** (სიცივე, ყინვა, ქარი) **დროს ვითარდება.** ამ დროს ანთება ძირითადად ქვედა ტუჩებს აზიანებს. აღინიშნება ტუჩის სიწითლე, გარქოვანება და სხვ. მეტეოროლოგიური ქეილიტის მკურნალობისას მთავარი არასასურველი გარემო ფაქტორების გამორიცხვა გახლავთ. ძირითადად, ინიშნება სპეციალური მკურნალობა.

**გლანდულარული ქეილიტის დროს ზიანდება ქვედა ტუჩი. გადიდებული სანერწყვე ჯირკვლებიდან განუწყვეტლივ გამოიყოფა ნერწყვის წვეთები.** ნერწყვის გამუდმებული გამოყოფა და აორთქლება ტუჩის წითელი ზედაპირის გამოშრობას იწვევს, რის შედეგადაც ვითარდება ქრონიკული ანთება, ჩნდება წყლულები და ნახეთქები. თუ პროცესი გართულდა და ხანგრძლივი მიმდინარეობა მიიღო, შეიძლება ავთვისებიან წარმონაქმნად გადაიზარდოს.

**გრანულომური ქეილიტის** განვითარების მიზეზი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ეს დაავადება, ჩვეულებრივ, მწვავედ იწყება და რამდენიმე საათში ერთი ან ორივე ტუჩი სივდება ისე, რომ გადმობრუნებული ტუჩის ასოციაცია იქმნება. იცვლება ტუჩის ფერი, ზოგჯერ კი ძალზე მუქდება. დაავადება იმითაა საშიში, რომ შესიება შეიძლება გადავიდეს ენაზე, ცხვირზე, სახეზე და სხვა.

**ქეილიტების** დროს ზოგჯერ მეორეული ინფექციის დართვისას ვითარდება ზედაპირული ან ღრმა ჩირქოვანი **გლანდულარული** ქეილიტი. ამ უკანასკნელის გართულებაა ავთვისებიანი სიმსივნის ჩამოყალიბებაც. სხვა შემთხვევაში, თუ **ქეილიტს დროულად უმკურნალეთ, ეს დაავადება სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის.**

**ქეილიტებისგან თავდაცვა დროული მკურნალობაა, ანუ, თუ ტუჩზე შენიშნავთ არაბუნებრივ სიწითლეს, შეშუპებას, წყლულებს, ნუ დაიწყებთ მის წვალებას და თვითმკურნალობას. უბრალოდ, დროულად მიმართეთ ექიმს.**

თარაზულად: 1. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; 6. ინდიელთა ბელადი მექსიკაში; 9. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 10. ლეოპარდი; 11. ფრანგი მწერალი; 12. იაპონური მანქანა; 13. ეკლესიიდან განდევნა; 14. ძიუდოს საჭიდაო ჭილოფი; 15. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან; 16. ქართველი ოქრომჭედელ-კებელი (მე-12-13 სს.); 20. თევზის სახეობა; 21. მოკლე კაბა; 23. ხალხთა გადასახლება; 24. შოკოლადის ხე; 27. მაგნიტური ინდუქციის ერთეული; 28. განთქმული მოჭიდავე; 31. ქართული რძის პროდუქტების ფირმა; 32. სამოთხის ბაღი; 35. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება; 37. რუსული მანქანა; 40. ქართველი მსახიობი ქალი; 41. ურანოსის თანამგზავრი; 42. იტალიელი რეჟისორი; 43. ფილმის ცალკე სცენა; 44. ქართველი პრომეთე; 45. მქუხარე ტაში.

შვეულად: 1. ქალის სასიმღერო ხმა; 2. ზამთრის თვე; 3. მიუზიკლი; 4. ბანდის მეთაური; 5. წყალშეუვალი სელის ქსოვილი; 6. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 7. ღონისძიებები ჯანმრთელობის დაცვისათვის; 8. კინოს დიდი სიყვარული; 17. წამყვანი ბალერინა; 18; აღ. ჩასაბერი საკრავი; 19. გადასატანი რადიოსადგური; 21. ფრანგი მომღერალი ქალი; 22. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; 24. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 25. ტრამვაის წინამორბედი; 26. სასტუმრო; 28. კუნძულ ტაივანის პორტუგალიური სახელი; 29. კინოს გამომგონებელი; 30. ხელოვნური აბრეშუმი; 33. დენის უნარის მქონე — თხევადი; 34. ცხადი, ნათელი; 36. იგივეა, რაც არშიყი; 38. ქართველი კარდიოლოგი; 39. შავკანიანი.

## ვიქტორინა

**1. დაახლოებით რამდენი სანტიმეტრის ტოლია ძველი ქართული სიგრძის საზომი ერთეული — ბოჯი?** — ა. 4 სმ-ის; ბ. 5 სმ-ის; გ. 6 სმ-ის.

**2. რა ერქვა მსოფლიოში ყველაზე დიდ ალმასს, რომლისგანაც მოგვიანებით 105 ბრილიანტი დაამზადეს?** — ა. „ექსცელსიორი"; ბ. „მდინარე უოიე"; გ. „კულინანი".

**3. რომელ წელს აიგო ამჟამად უკვე დანგრეული ბერლინის კედელი?** — ა. 1959 წელს; ბ. 1961 წ.; გ. 1963 წ.

**4. ვინ შეასრულა შავლეგის როლი ელდარ შენგელაიას ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა"?** —ვ. ა. ჩხაიძემ; ბ. გ. ლორთქიფანიძემ; გ. დ. აბაშიძემ.

**5. რომელი სახელმწიფოს დროშაზეა გამოსახული ყვითელი ჯვარი ლურჯ ფონზე?** — ა. შვედეთის; ბ. ფინეთის; გ. ნორვეგიის.

**6. რა იყო ცნობილი გერმანელი მწერლის ნოვალისის ნამდვილი გვარი?** — ა. ჰარდენბერგი; ბ. გოლსენაუ; გ. შმიდტი.

**7. 1901 წელს პირველად ვის მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში?** — ა. ჰ. სენკევიჩს; ბ. ფ. სიული-პრიუდომს; გ. ს. ლაგერლოფს.

**8. რამდენი თანამგზავრი აქვს პლანეტა მარსს?** — ა. ორი; ბ. სამი; გ. ოთხი.

**9. ვინ არის ავტორი საბავშვო ბესტსელერისა „ჰარი პოტერი"?** — ა. ჯ. კოლინზი; ბ. ა. ლინდგრენი; გ. ჯ. როულინგი.

**10. რას უწოდებენ ომის მოწინააღმდეგეებს:** ა. „მშვიდობის მტრედებს"; ბ. პაციფისტებს; გ. პატრულებს.

**11. რა ეწოდება არქიტექტურულ და დეკორატიულ სტილს, რომელიც წარმოიშვა მე-18 საუკუნის საფრანგეთში?** — ა. ბაროკო; ბ. როკოკო; გ. ამპირი.

**12. ბრაზილიის რომელ საფეხბურთო კლუბში თამაშობდა „ფეხბურთის მეფე" — პელე?** — ა. „ფლამენგოში"; ბ. „ფლუმინენსეში"; გ. „სანტოსში".

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სპინოზა; 6. კასიკი; 9. ტურნე; 10. პანტერა; 11. რენანი; 12. მაზდა; 13. ანათემა; 14. ტატამი; 15. ნუნცი; 16. ოპიზარი; 20. ტარანი; 21. მინი; 23. მიგრაცია; 24. კაკაო; 27. ტესლა; 28. ფალავანი; 31. სანტე; 32. ედემი; 35. რემისია; 37. კამაზი; 40. შონია; 41. ობერონი; 42. ფელინი; 43. კადრი; 44. ამირანი; 45. ოვაცია.

შვეულად: 1. სოპრანო; 2. იანვარი; 3. ოპერეტა; 4. ატამანი; 5. ბრეზენტი; 6. კერატიტი; 7. სანიტარია; 8. კინომანია; 17. პრიმა; 18. ზურნა; 19. რაცია; 21. მატიე; 22. ნოსტე; 24. კასია; 25. კონკა; 26. ოტელი; 28. ფორმოზა; 29. ლუმიერი; 30. ვისკოზა; 33. დენადი; 34. მკაფიო; 36. აშიკი; 38. მელია; 39. ზანგი.





თარაზულად: 1. თევზის სახეობა; 6. რკინის „ადამიანი"; 9. იტალიელი ფილოსოფოსი ჯორდანო ...; 10. „ნართების" სასმელი; 11. ფრანგი კომპოზიტორი; 12. ავეჯის სახეობა; 13. პატარა ჩანთოსანი ცხოველი; 17. მსახიობ ჭანკვეტაძის სახელი; 18. „ხელის ჭუჭყი"; 20. საქონლის საზამთრო სადგომი; 21. კოლუმბის ხომალდი; 24. უნგრეთის ფულის ერთეული ევრომდე; 25. ქართველი ექსფეხბურთელი; 26. იტალიური გაზეთი.

შვეულად: 1. ანგარიში (ფინანს.); 2. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 3. ბრაზილიელი მწერალი; 4. ერთგვარი ფრინველი, ყაჯირი; 5. იაპონური ავტომობილი; 6. საოჯახო სანაყი ხელსაწყო; 7. შემოსავალ-გასავლის ჯამი (ბუხჰალტ.); 8. ჯულიეტას ნათესავი, რომეოს მსხვერპლი; 14. ტყის ყაყაჩო; 15. ფინური აბანო; 16. რაც ადვილად ტყდება; 18. უპირატესობის მიცემა სუსტი მოწინააღმდეგისათვის; 19. მდინარე რუსეთში; 21. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 22. ნაპოლეონის მარშალი; 23. დიდი, შხამიანი გომბეშო.

თარაზულად: 1. კალმახი; 6. რობოტი; 9. ბრუნო; 10. ნარზანი; 11. დელიბი; 12. სკამი; 13. ოპოსუმი; 17. ნინელი; 18. ფული; 20. გომური; 21. ნინია; 24. ფორინტი; 25. ჩივაძე; 26. უნიტა.

შვეულად: 1. კონტო; 2. ლარგო; 3. ამადუ; 4. იბისი; 5. სუბარუ; 6. როდინი; 7. ბალანსი; 8. ტიბალტი; 14. პეონი; 15. საუნა; 16. მყიფე; 18. ფორა; 19. ლენა; 21. ნიუ; 22. ნეი; 23. აგა.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

1. ა. — 4 სმ-ს; 2. გ. — „კულინანი"; 3. ბ. — 1961 წ.; 4. დ. — დ. აბაშიძემ; 5. ა. — შვედეთის; 6. ა. — ჰარდენბერგი; 7. ბ. —ფ. სიული-პრიუდომს; 8. ა. — ორი; 9. გ. — ჯ. როულინგი; 10. ბ.— პაციფისტებს; 11. ბ. — როკოკო; 12. გ. — „სანტოსში".



# მიხეილ ცაგარელი:
# მთვარე და ჩვენი კულინარიული შესაძლებლობები თუ კვების პრიორიტეტები

*— ვინ ანიჭებს უპირატესობას ტრადიციულ სამზარეულოს, ვინ არ ჩაანაცვლებს არასოდეს კარაქს მარგარინით და ვინ კმაყოფილდება სწრაფი კვების ობიექტების კერძებით? რა შემთხვევაშია ქალისთვის საკრალური საჭმლის მომზადების პროცესი, უყვარს სუფრის ლამაზად გაწყობა და საჭმელების მორთვა და, პირიქით ვინ არ ქმნის ამისგან კულტს და, შეუძლია, ერთდროულად საჭმლის კეთებაც, ტელევიზორის ყურებაც და ტელეფონით საუბარიც? ვისი ჰობია მებაღეობა-მებოსტნეობა და საკუთარი ხელით მოყვანილი მოსავლით გამასპინძლება, ანდა ვის ძალუძს, სადილობის დროს რთული პრობლემები გადაწყვიტოს და მიმდინარე საკითხები განიხილოს? რა შემთხვევაში არ არის მამაკაცისთვის უპირატესი საკვები, ანდა, პირიქით, როდის და რატომ უხარია სახლში დაბრუნება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი პირად ჰოროსკოპში მთვარის განლაგებისა და მისი სხვა პლანეტებთან ასპექტების მიხედვით, ამ ადამიანის კვების მიმართ დამოკიდებულების, კვების ჩვევებისა და კულინარიული შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ კი განვიხილოთ, თუ როგორია ადამიანთა კვებისადმი მიდრეკილებანი მთვარის ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანში განლაგების შემთხვევაში.**

— **2. კუროს ზოდიაქოში მთვარის განლაგება ტრადიციული კერძებისადმი მიდრეკილებას აყალიბებს,** ამიტომ ამ ადამიანს მოსწონს ის პროდუქტები და კერძები, რომლებიც ტრადიციულ სამზარეულოში გამოიყენება და მზადდება; ის, რაც ბავშვობიდან უყვართ და მუდამ ბავშვობას ახსენებთ. ასევე ის პროდუქტი ან კერძი, რომელიც მოგვიანებით დააგემოვნეს, თუმცა, რომელთა მიმართაც ცხოვრების მანძილზე აზრი არ ეცვლებათ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ადამიანს საკვების მიმართ აზრი ცხოვრების მანძილზე იშვიათად ეცვლება. ასეთი პლანეტური განლაგების მქონე ჩვენს თანამემამულეს, შესაძლოა, ქართული კერძების გარდა მოსწონდეს იტალიური, ფრანგული ან სლავური სამზარეულოც. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარი ადამიანები მშვიდად არიან, როცა მათ სახლში საკვების გარკვეული მარაგი ინახება. ამ შემთხვევაში მამაკაცს სახლში დაბრუნება ახარებს, რადგან ეგულება შემწვარი ვარია ან აივანზე თაროზე შემოდებული დიდ ქილაში დამჟავებული მწვანე პომიდორი. თუ მას დაინახავთ ქილასთან მისულს პომიდვრით ხელში, გირჩევთ, ნუ გაუჯავრდებით, რადგან ჯერ გაიბუტება, მერე განაწყენდება. შემდგომ კი შესაძლოა, გაბრაზდეს კიდეც, რაც ნამდვილად არ იქნება სასურველი. გარდა ამისა, ჰოროსკოპში ამგვარი მონაცემის მქონე ადამიანებს უყვართ ტკბილეული, მურაბები, ნამცხვრები, ნახარში და კარტოფილისგან დამზადებული ნებისმიერი კერძი. ასეთი მამაკაცი, ქალბატონის მიმართ სიმპათიის შემთხვევაში, აუცილებლად გასინჯავს მის მიერ დამზადებულ არაერთ კერძს, რათა, ერთი მხრივ, თავი მოაწონოს და, მეორე მხრივ, დარწმუნდეს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა და ამ ქალბატონის გვერდით მშიერი არასოდეს იქნება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი მამაკაცი ჭამა-სმის სიყვარულის მიუხედავად, თავად საჭმელს იშვიათად ამზადებს, რადგან თვლის, რომ საჭმლის მომზადება ქალის საქმეა. სამაგიეროდ, **ის ქალბატონები, რომელთა ჰოროსკოპშიც მთვარე განლაგებულია კუროს ნიშანში, საოცარი კულინარები არიან.** მათ შეუძლიათ ნებისმიერი სახის კერძის, დესერტის, აპეტაიზერის, ზამთრისათვის კონსერვების თუ სახელდახელო სენდვიჩების შესანიშნავად მომზადება. ისინი საკვებს სიყვარულითა და სიამოვნებით ამზადებენ. უფრო მეტიც, ამ პროცესს საკრალურადაც კი მიიჩნევენ, ამიტომ ცუდი განწყობის დროს საჭმლის მომზადებას თავს არიდებენ. მითუფრო, რომ ამ შემთხვევაში კერძიც ვერ გამოსდით გემრიელი და ნამცხვარსაც შესაძლოა, ძირი მიეწვას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ასეთი ქალბატონი ყოველდღიურადაც ლამაზ ქვაბსა და ტაფას იყენებს, ჭურჭელიც განსაკუთრებული აქვს და სუფრის მორთვასა და სერვირებას დიდ ყურადღებას აქცევს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუქი სასმისები, რომლებშიც არ ჩანს, თუ რა ასხია — არ უყვარს და უპირატესობას ანიჭებს გამჭვირვალე მინასა და ბროლს. ასეთი კულინარები ახალ მიმდინარეობებსა და ახალ კულინარიულ წესებს რთულად ეგუებიან. უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, კერძში არასოდეს შეცვლიან კარაქს მარგარინით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ადამიანებს უყვართ არამარტო საკვების მომზადება, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ ჰობს წარმოადგენს მებაღეობა და მებოსტნეობა. ამგვარად, ისინი საკუთარი ხელით მოყვანილი მოსავლით სიყვარულით ამზადებენ ყველაზე სასარგებლო და გემრიელ კერძებს, რომელსაც ოჯახის წევრებსა და სტუმრებს სიამოვნებით შესთავაზებენ.

**3. პირად ჰოროსკოპში ტყუპის ზოდიაქოში განლაგების შემთხვევაში ადამიანს უფრო მეტად უყვარს კულინარიული მიქსები, სხვადასხვა რაგუ, სუპ-პიურე, ფერად-ფერადი სალათი, სმუზი და კოქტეილები. ისინი უპირატესობას ანიჭებენ სწრაფი კვების და თვითმომსახურების ობიექტებს, ბისტროს, დიდი და ნათელი დარბაზების მქონე კაფეებს.** ასეთი სახის კვებით დაწესებულებებში თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ და, რაც მთავარია, შეუძლიათ, სწრაფად იკვებონ. **ამგვარი მონაცემების მქონე მამაკაცებისთვის საკვები უპირატესი არ გახლავთ,** მაგრამ, თუ მას სადილობისას გაესაუბრებით ახალი ამბების შესახებ ან მიმდინარე მოვლენებს განიხილავთ, იგი მეტად კმაყოფილი დარჩება როგორც თქვენთან კონტაქტით, ისე სადილით. ნიშანდობლივია, რომ ასეთი ადამიანი ახერხებს, სამსახურში სადილობისას არაერთი საკითხი გადაწყვიტოს. მას ძალუძს, ერთდროულად იკვებოს, ილაპარაკოს, სხვას უსმინოს და ამასთან სწრაფი ნაბიჯებით იაროს. **პირად ჰოროსკოპში მთვარის ტყუპის ზოდიაქოში განლაგების მქონე ქალბატონებს სწრაფი დიქცია აქვთ და ბევრს საუბრობენ. მათ შეუძლიათ ერთდროულად საჭმლის კეთებაც, ტელევიზორის ყურებაც და ტელეფონზე საუბარიც.** მათ უყვართ ბლენდერის და ელექტროგრილის მოხმარება. საუბარ-საუბარში ძალუძთ ხორცის მოხარშვაც, წვნიანისა და კატლეტის თუ სალათების მომზადებაც. შუალედში კი რაიმეს გამოაცხობენ, რათა ყველა კმაყოფილი დარჩეს. მათი დადებითი თვისებაა ისიც, რომ ამდენი შრომის მიუხედავად, კვებისგან კულტს არ ქმნიან და თუ დრო ანდა განწყობა არა აქვთ, უბრალოდ, მზა საკვებს შეიძენენ ან „პიცას“ შეუკვეთენ და, რაც მთავარია, ოჯახში ყველა დანაყრებული იქნება.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 23 – 29 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
თქვენი ოპტიმიზმი და თავდაჯერება იმატებს. საჭიროებისას მეგობრებისა და გავლენიან პირთა მხარდაჭერას ადვილად მიიღებთ. ხიბლი და კეთილგანწყობა ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარებაში დაგეხმარებათ, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება, ამიტომ შესაძლოა, ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტოთ. თქვენი სასიყვარულო კავშირი კი, შესაძლოა, სხვათა განხილვის საგნად გადაიქცეს.

**კურო (21.04-20.05)**
ახალი ნაცნობობისთვის, ახალი იდეების განსახორციელებლად და მომავალი საქმიანობის დასაგეგმად კარგი პერიოდია, თუმცა, ზედმეტად თავდაჯერებული არ უნდა იყოთ. სხვის ფულს ნუ გამოიყენებთ და კრედიტის აღებასაც თავი აარიდეთ. აუცილებლობის შემთხვევაში, რჩევისათვის გამოცდილ და ავტორიტეტულ პირებს მიმართეთ. შეყვარებულთან ეცადეთ, გულთბილი და გულღია იყოთ, რათა ურთიერთობა ჩიხში არ მოექცეს.

**ტყუპი (21.05-22.06)**
საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა უფრო მჭიდრო და სანდო გახდება, რაც ქმედითუნარიანობასა და თავდაჯერებას შეგმატებთ. მომაბეზრებელი სამუშაოსა და ვალდებულებებისგან გათავისუფლების მიზნით ოჯახის წევრები დაიხმარეთ. წინსვლისა და წარმატების მისაღწევად ეცადეთ, კომპლექსები დაძლიოთ და უფრო თვითკრიტიკული იყოთ. კარგი იქნება, თუკი ჯანმრთელობის გაკაჟებასა და ფინანსური საკითხის მოწესრიგებას დროს დაუთმობთ.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
კარგი პერიოდია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, მაგრამ ახალი პროექტის დაწყებამდე უმჯობესია, ძველი დაასრულოთ. შესაძლოა, თქვენი სანუკვარი ოცნება ახდეს. ბევრ მოულოდნელ ამბავსაც შეიტყობთ, მაგრამ არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ჯობს, არაფერი შეცვალოთ. ურთიერთობისას მეტი ტაქტი და თავდაჭერა გამოავლინეთ. ემოციებისაგან გასათავისუფლებლად კი სასიკეთო იქნება ქალაქგარეთ გამგზავრება და გართობა.

**ლომი (23.07-23.08)**
კარგი პერიოდია კარიერასა და პირად ცხოვრებაში აღმავლობის მოსამზადებლად. თქვენი მიზნები შეიცვლება, ამის გამო, შესაძლოა, სამოქმედოდ ახალ გზას მიმართოთ. უცხოთა შორისაც კი ადვილად მოიპოვებთ პატივისცემასა და ავტორიტეტს, ოღონდ საკუთარი პოზიციების აგრესიული სახით დაცვას მოერიდეთ. კარგი პერიოდია შორეული მოგზაურობისთვის. სასიყვარულო სფეროში ჰარმონიისთვის კი პრინციპული პოზიციების დათმობა მოგიწევთ.

**ქალწული (24.08-23.09)**
გარემოებათა ცვლილებანი სწრაფ რეაგირებას ითხოვს. ამ პერიოდში ნებისმიერი საქმის გადადება მომავალში პრობლემას შექმნის. თანამოაზრეთა გარეშე რადიკალურ ცვლილებას ნურც საქმესა და ნურც პირად ცხოვრებაში ნუ დაიწყებთ. ეცადეთ, შეყვარებულთან საქმე არ წაიხდინოთ, რათა უთანხმოება დიდხანს არ გაგრძელდეს. მყარი ჯანმრთელობის მიუხედავად, სასიკეთო იქნება დიეტის დაწყება ან გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება.

## 23 – 29 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
ახლობლებთან ან ნათესავებთან ერთობლივი საქმის წარმოებისას, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს გარკვეული დათმობების დაშვება. მიუხედავად ამისა, თქვენი პოზიცია მაინც მყარი იქნება. ვალისა თუ კრედიტის აღებას მოერიდეთ და ხარჯი აკონტროლეთ, მოგზაურობა-მივლინებები შედეგიანი აღმოჩნდება. შეყვარებულთან ემოციები შეიკავეთ და თქვენი პოზიცია არგუმენტების საშუალებით გაამართლეთ.

**მორიელი (23.10-22.11)**
ზღვარგადასულ დროსტარებასა და სიზარმაცეს მოერიდეთ. ჩვეულ ჰარმონიულ სიტუაციაში თავს მშვიდად იგრძნობთ და სამომავლო სტრატეგიის ზუსტად ჩამოყალიბებას შეძლებთ. კეთილგანწყობით ეგოიზმს ადვილად გადალახავთ და საწადელსაც მიაღწევთ, შესაძლოა, არაჩვეულებრივი და გრანდიოზული იდეები გაგიჩნდეთ, თუმცა, მათი განხორციელება ჯობს, გადადოთ. შესაძლოა, უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობა მოგიწიოთ, რაც კარგ შემოსავალს გიქადით.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
იღბლიანობა მოიმატებს და ინტუიციაც გაგიძლიერდებათ, ამიტომ ეცადეთ, ახალი პროექტების დროულად დამუშავება, ახალ იდეებზე ფიქრი და დაფინანსების მოპოვება შეძლოთ. ამ შემთხვევაში წარმატებაც არ დაიგვიანებს. ჩანაფიქრის დამოუკიდებლად შესრულება გაგიჭირდებათ, ამიტომ პარტნიორებისა და თანამოაზრეთა ძებნა აქტიურად დაიწყეთ. ეს კვირა ხელს შეუწყობს შორეულ მოგზაურობასა და უცხოელებთან კონტაქტს. სასიყვარულო ურთიერთობის მომავალი კი თქვენზე იქნება დამოკიდებული.

**თხის რქა (22.12-19.01)**
ენერგობალანსი კლებას იწყებს, ამიტომ ეცადეთ, ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ და ბუნების წიაღში ხშირად დაისვენოთ. მთელ ენერგიას შემოსავლის ზრდისკენ მიმართავთ, მაგრამ ცდუნებას ნუ აჰყვებით და გარისკვისგან თავი შეიკავეთ. შესაძლოა, მეგობრებმა დახმარების გაწევა ვერ შეძლონ. პირად ურთიერთობაში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა გული არავის ატკინოთ. ხალხმრავალ ადგილებს მოერიდეთ და მოგზაურობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**მერწყული (20.01-18.02)**
თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად მოიმატებს და თქვენს აზრს ბევრი ადამიანი გაითვალისწინებს. პირადული თვისებები და კოლეგებთან ჰარმონიული დამოკიდებულება საქმეების დროულად და ხარისხიანად შესრულებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების დასადებად. მოგზაურობა და ახალ ადამიანთა გაცნობა ცხოვრებას გაგიხალისებთ და საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით.

**თევზები (19.02-20.03)**
დამოუკიდებლობის მოთხოვნილება გაიზრდება და მეტ სიმშვიდესა და ჰარმონიულ ურთიერთობას მოისურვებთ. შემოსავალიც მოიმატებს, თუმცა, ამისათვის შესაძლოა, დამატებითი სამუშაოს შესრულება ან უცხოელებთან კავშირის გამყარება მოგიწიოთ. ეცადეთ, კოლეგებთან და პარტნიორებთან მიმართებით სამართლიანობა დაიცვათ. კარგი პერიოდია სასიყვარულო შეხვედრებისთვის, გართობისა და დასვენებისთვის. მყარი ჯანმრთელობა კი ძველი საქმეების დასრულებაში დაგეხმარებათ.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 23,25,28 და 29 იანვარი

**7 იანვარი – სავსემთვარეობა, პიკი – 03.09 საათზე;**
**22 იანვარი – ახალმთვარეობა, პიკი – 00.56 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 23 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.21 საათზე, ჩადის 18.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.40) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 09.49 საათზე, ჩადის 20.01 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 11.15 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.19 საათიდან 21.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღის თავისუფლებისა და რეფორმების მმართველი პლანეტა**ურანი** დირექტიული ხდება, რაც ხელს შეუწყობს რეფორმატორულ საქმიანობას, მეგობრულ კონტაქტებს, დემოკრატიული პრინციპების დანერგვას, ახალი კანონების მიღებას, ორიგინალურ თვითგამოხატვას, იდეის რეალიზაციას, არასტანდარტულ აზროვნებას, ახალი საქმის დაწყებას. დღის მეორიდან გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვას და მეტი დრო დაუთმეთ აქტუალურ საკითხებს. ნუ გადადებთ სხვა დროისათვის იმას, რაც შეგიძლიათ, დღეს გააკეთოთ. ამავდროულად, ორგანიზმი თვითგამწმენდას განიცდის, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. კარგი დღეა სწრაფად სიარულისათვის, სარემონტო სამუშაოებისთვის, მშენებლობისთვის, ელექტრო, აირხელსაწყოებისა და კომპიუტერული სისტემის შესაძენად. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი და საიდუმლოს გამხელა მეგობართა წრეშიც კი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ციტრინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიური** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 24 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.21 საათზე, ჩადის 18.06 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 10.20 საათზე, ჩადის 21.20 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 11.21 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მთავრობს ემოციურობა და მგრძნობელობა, რაც დღეს და ხვალ რეალობის შეგრძნებას შეამცირებს, ამიტომ ეცადეთ, ფანტაზიებს არ აჰყვეთ. კარგი დღეა ინტელექტუალური აქტიურობისთვის, მგზავრობისთვის, იურისტებთან კონტაქტებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქორწინებისთვის, კონტრაქტის დასადებად, შემოქმედებისთვის, სპონსორის მოძიებისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, საზოგადოებისადმი მიმართვისთვის. მაღალია ინფექციური დაავადებებით დასნეოვნებისა და ალერგიული რეაქციის გამოვლენის ალბათობა. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ფსიქოტროპული საშუალების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** ალექსანდრიტი, მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 25 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.20 საათზე, ჩადის 18.07 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.58) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 10.46 საათზე, ჩადის 22.35 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 11.36 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.11 საათიდან 22.58 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მგზავრობისთვის, სიარულისთვის, ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებისთვის, სპონსორის მოძიებისთვის, ქორწინებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, იურისტებთან კონტაქტისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, კუჭ-ნაწლავის საკურნალოდ. არ არის სასურველი სესხის აღება ან გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ექსპერტიზა, ახალი საქმის დაწყება, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება. დაეყრდნობით ფაქტებს და დაიოკეთ ფანტაზიები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, ნერვული სისტემა, მხედველობა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 26 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.19 საათზე, ჩადის 18.08 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 11.10 საათზე, ჩადის 23.47 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 11.44 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ეცადეთ, თავი აარიდოთ ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას. ნუ გადაიღლებით და შეეცადეთ, სუფთა ჰაერზე მეტი დრო გაატაროთ. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, წესების დარღვევა, თავის დაბანა და თმის შეჭრა, სტომატოლოგიური პროცედურები, ხელშეკრულების დადება, კაპიტალდაბანდება. კარგი დღეა ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, სწრაფად შესრულებადი სამუშაოებისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელობასთან კონტაქტისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, სპორტული ინვენტარის, მჭრელი საგნების შესაძენად, ვარჯიშებისთვის. ეფექტურია ენდოკრინული სისტემის, თირკმლების, შარდის ბუშტის, ყელის მკურნალობა. მოერიდეთ თვალების გადაღლას, სულსწრაფობას, სიჯიუტეს, აგრესიულობასა და ეგოიზმს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 27 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.18 საათზე, ჩადის 18.10 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 11.32 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 11.51 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოში (20 თებერვლამდე), რაც ურთიერთობისას გააძლიერებს მგრძნობელობას, რომანტიკულობას, ქაოტურობას, ემოციურობას, თანაგრძნობის უნარს, ინტუიციას, ესთეტურობას და ასევე ილუზიებს, წარსულზე ფიქრს, ტყუილისადმი მიდრეკილებას, ზედმეტ ნდობასაც. ასევე დაინტერესებას რელიგიური, ფსიქოლოგიური, ეზოთერული საკითხების მიმართ. დღეს არ არის სასურველი საფინანსო ოპერაციები, ქორწინება, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, თმის დაბანა, წესების დარღვევა, სულსწრაფობა და აგრესიულობა, კამათი. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკურ მოწყობილობებთან ურთიერთობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, სპორტული ინვენტარის, მჭრელი საგნების შესაძენად, ვარჯიშებისთვის, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ბრილიანტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიური**ა ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 28 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.17 საათზე, ჩადის 18.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.59) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 11.56 საათზე, ჩადის 29 იანვარს 00.57 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 12.00 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 19.20 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.01 საათიდან 03.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კარგი დღეა სარემონტო-აღმდგენი სამუშაოებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მშენებლობისთვის, ვაჭრობისთვის, უძრავი ქონების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, სამშენებლო მასალების, ცხოველების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული შეხვედრებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ხელი შეეწყობა შარდსასქესო სისტემის მკურნალობას, კანის მოვლასა და კვებას. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობები, ორპირ ქარში ყოფნა. აკონტროლეთ სიტყვებიც და საფულეც. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარგალიტი, ზურმუხტი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 29 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.16 საათზე, ჩადის 18.12 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 12.21 საათზე, ჩადის 30 იანვარს 02.05 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 12.11 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ დაძაბულ სამუშაოს და მშვიდად დაისვენეთ. მოთმინება გამოავლინეთ. იმატებს განაწყენება, მოერიდეთ ჭორებს, დაპირებების გაცემას, სულსწრაფობას. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, ვაჭრობისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, ცხოველების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, ახალი ნაცნობობისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებანი, კისრის მკვეთრი მოძრაობები, ორპირ ქარში ყოფნა, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება. საფულე გააკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის.

# ლიტერატურული კონკურსი

## „ფრთხილად, წინ მკითხველია!“




*თამაზ წივწივაძის* ფონდი და გაზეთი ***„ლიტერატურული საქართველო“*** *აცხადებენ თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს* ***„ფრთხილად, წინ მკითხველია!“***

კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:
წლის საუკეთესო
**კრიტიკული წერილი** (10 გვ.)
წლის საუკეთესო
**პუბლიცისტური წერილი** (10 გვ.)
წლის საუკეთესო
**პოეტური ნაწარმოები** (3-5 გვ.)
წლის საუკეთესო
**პროზაული ნაწარმოები** (8-10 გვ.)
წლის საუკეთესო
**საბავშვო ნაწარმოები**
(პროზა, პოეზია — 3-5 გვ.)
საკონკურსოდ მიიღება
**2022 წელს ჟურნალ-გაზეთებსა და ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მასალები უნდა წარმოადგინონ **4 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე:
**თბილისი, ზანდუკელის ქ. №1.**
**გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია, ბელა გველესიანს.**
ელექტრონული ვერსიებისთვის:
**tsivtsivadzis.fondi@yahoo.com**
კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან **2023 წლის 21 მარტს,** ჟურნალისტიკის დღეს.
ნომინაციების მიხედვით **პირველ ადგილზე გასული ნაწარმოებების ავტორებს** გადაეცემათ ფულადი ჯილდო, დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.

# საეკლესიო კალენდარი



**23 იანვარი - ხსენება მღვდელმთავრისა გრიგოლისა, ნოსელი ეპისკოპოსისა**

✝ 23 იანვარი. ორშაბათი. **გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსისა, ბასილი დიდის ძმისა**; ღირსისა დომენტიანესი, მელიტინელი ეპისკოპოსისა; ღირსისა მარკიანე ხუცისა და იკონომოსისა; ნეტარისა თეოსებია დედათდიაკონისა, ბასილი დიდის დისა; თეოფანე დაყუდებულისა, ვიშენსკელისა; ღირსისა ამონისა; ღირსისა ანტიპა ათონელისა.

✝ 24 იანვარი. სამშაბათი. **ღირსისა თეოდოსი დიდისა, ზოგადცხოვრებულთა თავისა;** ღირსისა ვიტალისა; წმიდისა მაირისა; ღირსისა თეოდოსისა, ტრაპეზუნდის მიტროპოლიტისა; ჰიგინოს რომის ეპისკოპოსისა; კრება წმიდათა ანგელოზთა დომნინოვში; მოწამისა ნიკიფორე კრეტელისა.

✝ 25 იანვარი. ოთხშაბათი. **მოწამისა ტატიანასი და მისთანა რომში წამებულთა;** მოწამისა მერტი მხედრისა; მოწამისა პეტრესი, პალესტინის სამარიის ავლონაში; ღირსისა ევპრაქსია ტაბენისელისა, უფროსისა, ეგვიპტეში მოღვაწისა; ღირსისა ელია მეუდაბნოისა, მეგვიპტელისა, სასწაულთმოქმედისა; მღვდელმოწამისა ტიგრი ხუცისა და მოწამისა ევტროპი წიგნისმკითხველისა; 8-თა მოწამეთა ნიკეელთა; დღესასწაული ხატთა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისათა: „რძით მასაზრდოებელი“ და „აკათისტო“; მოწამისა ფილოთეოზ ანტიოქიელისა; წმიდისა ეილიანოს რომაელისა, ბრიტანეთში მოღვაწისა; წმიდისა ბენედიქტესი, ანგლოსაქსისა.

✝ 26 იანვარი. ხუთშაბათი. **წარგზავნა ნათლისღების დღესასწაულისა.** მოწამეთა ერმილესი და სტრატონიკესი; ღირსისა იაკობისა, ნისიბინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ათანასესი; მოწამეთა პახომისა და პაპირინესი; ღირსისა მაქსიმე კავსოკალიბელისა, ათონელისა; ჰილარისა, პიქტაიველი ეპისკოპოსისა; რემიგიუსისა, რემანას ეპისკოპოსისა; კენტიგერნუსისა, კლაზგოს ეპისკოპოსისა.

✝ 27 იანვარი. პარასკევი. **წმიდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი,** ქართველთა განმანათლებელისა; ღირსთა მამათა, **სინასა** და **რაითს სარკინოზთაგან** მოწყვეტილთა: ესაიასი, საბასი, მოსესი და მოწაფისა მისისა მოსესი, იერემიასი, პავლესი, ადამისა, სერგისა, დომნესი, პროკლესი, იპატისა, ისააკისა, მაკარისა, მარკოზისა, ბენიამინისა, ევსევისა, ელიასი და სხვათა მათთანა; ღირსისა იოსებ რაითელი ანალიტინისა; ღირსისა თეოდულესი, ნილოს ბრძენის ძისა; ღირსისა სტეფანესი, შინოლაკოს მონასტრის აღმშენებელისა; საბა I-ისა, სერბელი პირველი მთავარეპისკოპოსისა, ქილანდარის მონასტრის ქტიტორისა; მოწამისა აგნიასი; ხსენება ბასილი დიდის წმიდისა ოჯახისა: მშობელთა მისთა ბასილისა და ემილიასი, ძმათა მისთა გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსისა, პეტრე სებასტიელი ეპისკოპოსისა და ნავკრატისა და დათა მისთა მაკრინასი და თეოსებიასი; ღირსისა ადამისა.

✝ 28 იანვარი. შაბათი. ღირსთა ამბა პავლე განშორებულისა, თებელისა და იოანე გლახაკისა; წმიდათა სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელისა; ღირსმოწამისა პანსოფი ალექსანდრიელისა; ღირსთა პროხორე პშინელისა და გაბრიელ ლესნოველისა; გერასიმე პალადასისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა, კრეტელისა; 6-თა ღირსთა მამათა, მეუდაბნოეთა; ღირსისა ალექსანდრე მღვიძარესი; წმიდისა იტა ირლანდიელისა.



**27 იანვარი - ხსენება ღირსთა მამათა, სინასა და რაითს სარკინოზთაგან მოწყვეტილთა**

✝ 29 იანვარი. კვირა. **თაყვანისცემა პატიოსანთა ჯაჭვთა წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა პეტრესი, რომელთაგან გათავისუფლებულ იქნა საპყრობილეში ანგელოზისა მიერ.** მოწამეთა: პევსიპესი, ელასიპესი, მესიპესი და მამისდედისა მათისა ნეონილასი; მოწამისა დანაქტი წიგნისმკითხველისა; მღვდელმოწამისა დამასკინ გაბროველისა; ღირსისა რომილე ვიდინელისა, ათონელისა და მისთანა: ნესტორისა, მარტინისა, დანიელისა, სისოსი, ზოსიმასი და გრიგოლისა; ღირსისა ონორატისა, არელატის მთავარეპისკოპოსისა.




## მაღაზია «ბუკვიცა»

**ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე**

***574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90***

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. პანასონიკი; 8. ჩიჩერონე; 12. სკიფი; 13. პერიტონიტი; 14. ნომინალი; 15. ნერპა; 16. ბიროზიჯანი; 21. დელტა; 22. ანგინა; 25. კალატოზოვი; 26. ნაგანი; 29. რემი; 32. იფ; 33. ელერონი; 37. რვალი; 38. ჩარხი; 39. ხალა; 40. ნისლა; 41. სირდარია; 42. ტიტა; 43. ნინია; 46. მადა; 49. მაქსველი; 53. პამირი; 56. კუტი; 57. ესე; 58. ნიტი; 60. ტურნირი; 51. ნოკია; 62. ზულუსები; 65. ნეიმარი; 66. არა; 67. არტერია; 68. ტერაკოტა; 69. კიკინი; 70. სიცილია.**

შვეულად: **2. აბელი; 3. აყირო; 4. ობოლი; 5. იზიდა; 6. ისინი; 7. მიგრენი; 8. ჩინარი; 9. ჩემოდანი; 10. რინოლოგია; 11. ნალია; 16. ბუკლე; 17. რილკე; 18. ბუტკო; 19. ჯაზში; 20. ნოველა; 23. გარანტია; 24. ტიფი; 27. ნიხრი; 28. გრატა; 30. ელია; 31. მის; 34. ლაიკა; 35. როდის? 36. ნერსე; 38. ჩანგი; 39. ხამი; 44. ნოხი; 45. ანტი; 47. დეუ; 48. ბისო; 49. მატონე; 50. ქორწილი; 51. ვაიმარი; 52. ლუიზიტი; 54. პიფერო; 54. მენი; 55. რეკორდი; 56. კოლერი; 58. ნანეტი; 59. ტუნისი; 63. საკი; 64. ბატი.**

**კონტრაბასილინონიუსინათლობაკარაქიშპილიბანი**
**პორტიშიფერიაშერიდანიელიტალიანოსირიშარიათი**

| ხემიანი საკრავი | წმინდა ბაპტისტი | ბრმა | უმაღლესი ხარისხის ბროლი | ჯიბრი, მეტოქეობა | აზიის სახელმწიფო |
|---|---|---|---|---|---|
| რთული სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს საწინააღმდეგოს | ბიზანტიის იმპერატორი | ვერნიერი | მონათვლის წეჩვეულება | ცხოველური ცხიმი | მაღალი სვეტი შენობის თავზე | კაცის სასიმღერო ხმა |



თარაზულად: 1. ელექტრონიკის მწარმოებელი იაპონური საერთაშორისო კორპორაცია; 8. გიდი იტალიაში; 12. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი; 13. მუცლის აპკის ანთება; 14. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე, ფულის ნიშნებზე; 15. სელაპის სახეობა; 16. ქალაქი რუსეთში; 21. ბერძნული დ-ს სახელი; 22. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 25. რუსი რეჟისორი; 26. ხელის ცეცხლსასროლი იარაღი; 29. რომულუსის ძმა; 32. მოწონების შორისდებული; 33. თვითმფრინავის ფრთების ბოლოების მოძრავი ზედაპირი; 37. იგივეა, რაც ბრინჯაო; 38. ლითონის დასამუშავებელი საბრუნებელი მანქანა; 39. კაკლის დასაბერტყი ჯოხი; 40. წაბლისფერი, ნაცრისფერი საქონელი; 41. მდინარე შუა აზიაში; 42. ყვავილი; 43. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი; 46. იშტა; 49. ინგლისელი ფიზიკოსი; 53. მთათა სისტემა შუა აზიაში; 56. საპყარი; 57. თავისუფალი ფორმის ნარკვევი; 58. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 60. სპორტული შეჯიბრი ჭადრაკში; 61. ფინური ტელეფონების ფირმა; 62. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრნი; 65. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 66. თუთიყუშის სახეობა; 67. სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს; 68. გამომწვარი ფერადი თიხა; 69. თხის ხმიანობა; 70. იტალიის კუნძული.

შვეულად: 2. კაენის ძმა; 3. მწარე გოგრა; 4. უდედმამო; 5. ნაყოფიერების ეგვიპტური ქალღმერთი; 6. ფილმი „... ჩამოვიდნენ მთიდან“; 7. შაკიკი; 8. ალვის ხე; 9. სამგზავრო ყუთი; 10. ცხვირის დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 11. სასიმინდე; 16. მსხვილად ნაქსოვი „კულულებიანი“ ქსოვილი; 17. ავსტრიელი პოეტი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 19. ფილმი „... მხოლოდ ქალიშვილები არიან“; 20. პატარა მოთხრობა; 23. საწინდარი; 24. ერთგვარი გადამდები დაავადება; 27. ტარიფი; 28. ყანის ჩიტი; 30. ბიბლიური წინასწარმეტყველი; 31. ქალიშვილი! — ინგლისურად; 34. ერთგვარი რბილი ტყავი; 35. რა დროს? 36. ქართლის ერისმთავარი (VII ს.); 38. სიმებიანი საკრავი; 39. შინ დართული ბამბის ქსოვილი; 44. ხალიჩა; 45. წინსართი, აღნიშნავს საწინააღმდეგოს; 47. კორეული ავტომობილი; 48. სოფელი დუშეთის რაიონში; 49. ქალის ერთგვარი დილის ხალათი; 50. ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 51. ქალაქი გერმანიაში; 52. საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება; 53. იტალიური ხალხური მუსიკალური საკრავი — სალამურის ნაირსახეობა; 54. აშშ-ის შტატი; 55. უმაღლესი მიღწევა სპორტში; 56. საღებავის ფერის ელფერი ფერწერაში; 58. თმის ერთგვარი ვარცხნილობა; 59. აფრიკის სახელმწიფო; 63. პეპლების საჭერი მოწყობილობა; 64. შინაური ფრინველი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| უნგრელი მოჭადრაკე | ზღაპრული ბრძნეული ქალი | ინგლისელი დრამატურგი | „უმაღლესი“ საზოგადოება | სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში | ფრანგი მსახიობი მამაკაცი | მცნებათა რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნავსადგური | მოდელი კლაუდია ... | ამერიკელი მომღერალი მამაკაცი | ... ჭონქაძე | ევროპის სახელმწიფო | სოფელი სენაკის რაიონში | მუსლიმანური სამართლის იურიდიულ და რელიგიურ ნორმათა ერთობლიობა |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.



რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 23 – 29 იანვარი №5 (1469)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰოსაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol